პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მეერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—31.

ხელმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 17 ნოემბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 266 (2309)

დღიური

— ინდოეთის მუსლიმანთა ყრილობა მოითხოვს ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას.
— საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება პუანკარეს მთავრობის წინააღმდეგ.
— ესტონეთის მთავრობის შედგენა გენ. სოოტსს დაევალა.
— კომუნისტების დევნის გაძლიერება ჩეხოსლოვაკიაში
— რუმინეთ-გერმანიამ შეთანხმებას მიაღწიეს ფინანსიურ-ეკონომიურ საკითხებში.
— გაფიცვები ბომბეის (ინდოეთი) საფეიქრო ფაბრიკებში.
— თბილისში მოემგზავრება სპარსეთის მთავრობის დელეგაცია.

სრ. საქართველოს პროფკავშირების მე-7 ყრილობა

მოწვეულია

ა. წ. 20 ნოემბერს, საღამოს 6 საათ. ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში

დღის წესრიგი:

1) საბ. კავშ. საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა (ამხ. კახიანი).
2) საქ. პროფსაბჭ. მუშაობის ანგარიში (ამხ. მაჩაიძე).
3) საქ. პროფსაბჭ. სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში (ამხ. მკირტუმოვი.)
4) საქ. მრეწველობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები (ამხ. ყურულიშვილი).
5) შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ (ამხ. თოდრია).
6) რესპ. სოც. დაზღვევის კომიტ. მუშაობის ანგარიში (ამხ. ნარჩემაშვილი)
7) რესპ. სოც. დაზღვევის კომიტეტის სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში. (ამხ. ფირიაშვილი).
8) არჩევნები.

ყრილობის კომფრაქციის სხდომა შესდგება იმავე დღეს, საღამოს 4 საათზე, ს. პ. კ. ს. მცირე დარბაზში.

დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებაში (შრომის სასახლე, მე-2 სართული, მე-8 ოთახი) 19 ნოემბრიდან, დილის 9 — 3 ს. და საღამოს 6—9 ს.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი

კოოპერატიულ მშენებლობის საკითხები

(საკავშ. კომპ. ცეკას დადგენილების გამო)

კოოპერაცია ერთ-ერთი მძლავრი იარაღთაგანია საბჭოთა მეურნეობისა და საზოგადოებრიობის მშენებლობაში. კოოპერაციის როლი სათანადოთ შეფასებულია პარტიის ყრილობებისა და ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანოების დადგენილებებით. აქედან თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები არ უნდა აკლებდნენ მზრუნველობას კოოპერაციის განვითარების საქმეს. მიღწევები ამ მხრივ უთუოდ დიდია. ყველა სახის კოოპერაცია შეუჩერებელი ნაბიჯით მიდის წინ. იზრდება კოოპერატიული მოძრაობა მატერიალურად, ორგანიზაციულად და იდეურად. დღეს, განსაკუთრებით სოფლად, კოოპერაცია ერთ-ერთი იმ უძლიერეს საშუალებათაგანია, რომლის მეოხებითაც ჩვენ შეუსუსტებლად ვუტევთ ეკონომიურ ფრონტზე სოფლის ყველა ჯურის კაპიტალისტურ ელემენტებს.

აქედან ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის მუშაობის სწორი გზით წარმართვას. ყოველგვარი მავნე გადახრა კოოპერატივის საქმიანობაში, ჩვენი ბრძოლის იარაღს ჩვენ წინააღმდეგვე მომართავს და ხელს შეუწყობს ექსპლოატატორულ ელემენტების გაძლიერებას. ამიტომ სავსებით გასაგებია ის ნაბიჯი, რომელიც გადასდგა საკავშირო კომპარტიის ცეკამ. საკავშირო კომპარტიის ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილებამ მთელ რიგ რაიონებში შეამოწმა სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა. სწორი კოოპერატიული პოლიტიკა დამოკიდებულია შემადგენლობასა და მისწრაფებაზე იმ ცოცხალ აპარატისა, რომელიც მართავს კოოპერატივს. რა დაგვანახვა ამ მხრივ შემოწმებამ?

გამოირკვა, რომ მუშაკების შემადგენლობის მხრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არაა. მომეტებით ეს უნდა ითქვას კოოპერაციის ქვედა საფეხურის ერთეულებზე. ხელმძღვანელი პოსტები საიმედო ელემენტების ხელშია. სამაგიეროთ ბევრ რაიონებში დამაღონებელ სურათს იძლევა კოოპერაციის დაბალი ქსელის მუშაკთა მასიური შემადგენლობა. აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ კოოპერაციის მუშაკთა კადრები კიდევ უფრო გაჯანსაღებულ იქნას, როგორც ამას მოითხოვს კოოპერაციის დღევანდელი მდგომარეობა. კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გამძაფრებული შეტევის დღევანდელ პერიოდში კოოპერაციის მუშაობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. საკავშირო კომპარტიის ცეკას გამოკვლევა, მართალია არ შეხებია საქართველოს კოოპერატიულ გაერთიანებებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ დეფექტებს, რომელნიც შემოწმებამ აღმოაჩინა, საქართველოშიაც არა აქვს ადგილი.

რაში მდგომარეობს ის ნაკლი, რომელიც გამოააშკარავა საკავშირო კომპარტიის ცეკამ? პირველ ყოვლისა, ბევრ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი არაა კოოპერაციის მუშაკთა სოციალური შემადგენლობა. არის მაგალითები, როცა კოოპერატიულ დაწესებულებებში დაბანაკებულია კლასობრივად ჩვენთვის უცხო და ბიუროკრატიული ელემენტები. კოოპერაციის აპარატის ამგვარი ელემენტებისაგან გაწმენდა მუშაობის გაჯანსაღების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა პარტიულ და ყველაზე უწინ თვით კოოპერატიულ ორგანოების ხელმძღვანელებმა. მაგრამ აპარატის გაჯანსაღების ამოცანა მარტო იმაში არ მდგომარეობს, რომ ჩვენ ჩამოვაშოროთ კოოპერაციას უცხო ელემენტები, ამავე დროს საჭიროა ზრუნვა ახალი კადრების მომზადებაზე. ამის შესახებ საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ აუცილებელია ზრუნვა ახალი კადრების შესაქმნელად, რომელიც უნდა წამოვაყენოთ ქალაქად მუშათა აქტივიდან, ხოლო სოფლად მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის მოწინავე ელემენტებიდან. არ კმარა მარტო იმით დაკმაყოფილება, რომ კოოპერაციის ამა თუ იმ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაწინაურების წესით წამოყენებულ იქნას მუშები და ღარიბი გლეხები. ამასთან ერთად კოოპერატიული აპარატის მუშებითა და ღატაკ გლეხკაცობით გაძლიერების ამოცანა ერთ-ერთ მორიგ, სერიოზულ ამოცანად უნდა დავისახოთ.

მეორე ნაკლი, რომელიც საკავშირო კომპარტიის ცეკას გამოკვლევამ ცხადჰყო, მდგომარეობს იმაში, რომ კოოპერაციის მუშაკებს ბევრ შემთხვევაში აკლიათ კვალიფიკაცია, აკლიათ ცოდნა იმ საქმისა, რომელიც მათ აბარია. განსაკუთრებით საგრძნობია ეს ნაკლი სასოფლო-სამეურნეო, შინასამრეწველო და სხვა სპეციფიურ დარგების კოოპერატიულ გაერთიანებებში. აქედან საჭიროა შესაფერისი დასკვნის გამოტანა, — უნდა მიღებულ იქნას ზომები კოოპერაციის მუშაკთა კვალიფიციურად გადამზადებისათვის. საზოგადოდ კოოპერატიულ განათლების საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე ეს დღემდე არის. დროა სერიოზულად და მთელი თავისი მნიშვნელობით დაისვას საკითხი კოოპერატიული მშენებლობის განვითარების შესახებ, რომლის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს კოოპერაციის კადრების სოციალურად შერჩევა და მათი კვალიფიციურად დაწინაურება.

საკავშირო კომპარტიის ცეკამ უკვე სთქვა ამის შესახებ თავისი სიტყვა. ადგილობრივ ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ცეკას ამ დადგენილების სისწორით და დროულად განხორციელებისათვის.

სამრეწველო საქონლის დამზადების გაძლიერების შესახებ

სახალხო მეურნეობის მიმდინარე წლის რთულ პირობებში პარტიამ განსაკუთრებულად ფხიზელი ყურადღება უნდა მიაქციოს ყველაზე სუსტ დარგებს, სადაც შეიძლება ახალი სიძნელეები წარმოიშვან ან გამწვავდნენ არსებული სიძნელეები.

ეჭვს გარეშეა, რომ წლის განმავლობაში ერთ-ერთი სუსტი დარგი იქნება მომარაგება სამრეწველო საქონლისა, რომლის ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობი იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეში. როგორც ვიცით, 1928-29 წლისათვის შემუშავებული სახ. საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად სახავენ სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის განვითარებას იმ მიზნით, რომ ხორბლეულ კულტურათა დაგროვება 10 პროცენტით გაიზარდოს, რომლის 7 პროცენტი უნდა უზრუნველჰყოს დათესილი სივრცის გაფართოებამ. ამ ამოცანის შესრულება არა თუ უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის წარმატებას, არამედ უფრო ხელსაყრელ პოზიციებსაც მოამზადებს 1929-30 წლის გაფართოვებული წარმოებისათვის.

პარტია და მთავრობა ზომებს იღებენ, რომ ეს ამოცანა მთლიანად განხორციელდეს. ამ ზომათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პურისა და ზოგიერთი ნედლეულის ფასის გადიდებას, კონტრაქტაციის დიდ ზრდას, დაბანდებული თანხების თვალსაჩინოდ გადიდებას სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ხაზით, სოფლის მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდებას და სხვ.

მაგრამ ყოველივე ეს საკმაო არ არის დასახული მიზნის მისაღწევად. საკმაო არ არის იმიტომ, რომ სამრეწველო და, მეტადრე, საწარმოო საქონლის დეფიციტი უკვე ამ კვარტალშია საგრძნობი ნედლეულის დამზადების გაშლა-განვითარების დროს, რაც საფრთხეს უმზადებს წარმოებისა და ექსპორტის განვითარებას. მაშასადამე, ყველა არსებული რეზერვი ამ ფრონტისაკენ უნდა მივმართოთ.

რომელი ხაზით უნდა ვეძიოთ ის გზა, რომელმაც მაქსიმალურად უნდა შეანელოს საქონლის მოთხოვნილების სიმწვავე? ბუნებრივია, რომ უპირველეს ყოვლისა ჩვენი ყურადღება მივაპყროთ სახელმწიფო მრეწველობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მრეწველობის ზრდა, შარშანდელთან შედარებით, გათვალისწინებულია 20 პროცენტით, აქ რჩება კიდევ ბოლომდე არ გამოყენებული საწარმოო შესაძლებლობანი. ეს შეეხება პირველ ყოვლისა იმ დარგებს, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამუშავებასთან და უფრო ნაკლებად შეიძლება შეეხებოდეს მსუბუქი ინდუსტრიის წამოწყებებს.

სახელმწიფო მრეწველობამ 1928-29 წლის საკონტროლო ციფრებით გაითვალისწინა თუჯის დეფიციტი დაახლოვებით 15 მილიონი ფუთის რაოდენობით. ამ, ერთის შეხედვით, აუცილებელი დეფიციტიდან გამომდინარეობდა ისეთი აბსოლიტიურად მიუღებელი წინადადებანი, როგორიცაა საზღვარგარეთიდან შავი ლითონისა და, კერძოდ, თუჯის იმპორტი.

მაგრამ მეტალურგიის საწარმოო შესაძლებლობათა უფრო გულდასმით გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ მეტალურგიული ქარხნების ზედმეტ თვალსაჩინო დატვირთვისა და ტეხნიკურად ჩამორჩენის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია, რომ 10-12 მილიონი ფუთი თუჯის ნაკლებობა შევავსოთ კაპიტალურ დაბანდებათა გადაჯგუფების გზით.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცდას ხე-ტყის მრეწველობაში. არსებულ საწარმოთა ძირითად კაპიტალში უფრო დიდი თანხების დაბანდებამ და ნაკლებად რთულსა, მაგრამ უფრო სწრაფი საწარმოო შედეგის მომცემ საწარმოთა ექსპლოატაციაზე გეზის აღებამ საშუალება მოგვცა თვალსაჩინოდ გაგვეფართოებინა ამ დარგის საწარმოო შესაძლებლობათა ფარგლები. საჭიროა ყოველმხრივ გამოვიყენოთ წინა წლების კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტივობა და ის უპირატესობანი, რომლებსაც ჰქმნის გეგმიანი მეურნეობა.

ამიტომ აბსოლუტურად დროულია ის დადგენილება, რომ საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭომ კიდევ ერთხელ შეამოწმოს მრეწველობის საკონტროლო ციფრები იმ მიზნით, რომ ბაზარზე გამოშვებულ იქნას მეტი პროდუქცია, ვიდრე ეს პირვანდელ ვარიანტშია ნაგულისხმევი.

თუმცა მთელი ეს მუშაობა მხოლოდ ეხლა იწყება, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ არა თუ მეტალურგიასა და ხე-ტყის მრეწველობას, არამედ სასოფლო-სამეურნეო მანქანათშენებასაც საერთო მანქანათშენებასაც, ქიმიურ მრეწველობასაც და ელექტროტეხნიკასაც ერთგვარი შესაძლებლობანი აქვთ, რომ გააძლიერონ თავიანთი პროდუქციის გამოშვება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული წარმოების რაოდენობის გარდა, მისი გადიდების ტემპი შეიძლება გაძლიერდეს დაახლოებით 2 ნახ.—3 პროცენტით, თუ დაბრკოლება არ გადაელობება ფინანსების მიწოდების მხრით.

ისეთი რთული ამოცანა, როგორიც არის სამრეწველო წარმოების შემდგომი გაფართოვება, შეუძლებელია განხორციელდეს ისე, თუ ამ საქმეში არ ჩავაბით მუშათა კლასის ფართო მასები. ეს ამოცანა არ არის მხოლოდ სახელმწიფო მრეწველობის აპარატის ამოცანა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ენერგიული მუშაობა უნდა აწარმოონ სამრეწველო წარმოების შემდგომი გაფართოვებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ წარსული წლის შედეგებს და სამეურნეო დაბრკოლებებთან ბრძოლის გამოცდილებას, ცხადი იქნება, რომ მიმდინარე წლის სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შევსძლებთ გლეხობასთან, ნორმალური საბაზრო ურთიერთობის ნიადაგზე, გავაფართოვოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია წარმოების დამატებით გაფართოვებასთან.

ამ ახალი საწარმოო ამოცანის დასმას მარტო აღნიშნული მოსაზრებანი არ გვიკარნახებენ. ამას გვიკარნახებს მრავალი სხვა მომენტიც, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობაში კაპიტალური მშენებლობის პრობლემა. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა კაპიტალურ სამუშაოთა ძირითადი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით უნდა განისაზღვროს მოცულობა და ფინანსების მიწოდება იმ კაპიტალურ სამუშაოთათვის, რომლებიც უნდა ჩატარდეს მრეწველობასა და ელექტრომშენებლობაში. მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თითქმის ერთი მილიარდი მანეთის გამოყოფა ამ მიზნისათვის დაკავშირებულია იმასთან, რომ მრეწველობას ვუდგენთ მეტად სერიოზულ მოთხოვნას — მან უნდა ასწიოს თავისი მუშაობის ხარისხობრივი დონე საქონლის გაიაფებისა და შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესების დარგში. თვითღირებულების შემცირება მთელ მრეწველობაში საშუალოდ 7 პროც.-ით და შრომის ნაყოფიერებას ზრდა 15-17 პროც.-ით უდაოდ წარმოადგენს ისეთ ამოცანას, რომელიც მრეწველობის მთელი აპარატის მეტად ენერგიულ და მძაფრ მუშაობას მოითხოვს. მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტის საქმეში დასახულია უკვე ზოგიერთი მომენტი, რომელიც საქმისადმი არა სწორი მიდგომის საფრთხეს ჰქმნის. ასეთ საფრთხეს წარმოადგენს, მაგალითად, ის, რომ ცდილობენ საკითხი რადიკალურად გადასწყვიტონ მუშა-ხელის შემცირების ხარჯზე.

რაციონალიზაციის ასეთი მეთოდები დასაწყისშივე უნდა აღმოიფხვრას. სოციალისტური რაციონალიზაცია სწორედ იმით განსხვავდება კაპიტალისტური რაციონალიზაციისაგან, რომ იგი დაკავშირებულია მუშათა კლასის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთანაც, საწარმოო ბაზის გაფართოებასთანაც და მუშახელის კვალიფიციური შემადგენლობის თანდათანობითი გადიდებასთანაც.

ამიტომ ყველა სამეურნეო მუშაკის და წარმოებასთან დაკავშირებული ყველა პარტიული და პროფესიონალური ორგანოს უახლოეს ამოცანას წარმოადგენს საწარმოო შესაძლებლობათა ერთხელ კიდევ შემოწმება, რათა ყველა მიმართულებით იქნას გაფართოვებული საწარმოო გეგმის დასახული ფარგლები და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწარმოო დანიშნულების საქონლის დამზადებას, რომელიც ასე აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. საჭიროა ამ საქმეში ჩავაბათ საწარმოო თათბირები და მოვახდინოთ მუშათა კლასის ძალთა მობილიზაცია.

„პრავდა“, 16 ნოემბერი.

დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა პუანკარეს

ჯავშნოსანის აგების საკითხის განხილვა გერმანიის რეიხსტაგში

ამერიკა მიიღებს მონაწილეობას სარეპარაციო საკითხის განხილვაში

პუანკარეს მთავრობის დეკლარაცია

რას მოითხოვს პუანკარე

პარიზი, 15 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ახალი მთავრობის დეკლარაცია მოითხოვს, რომ ბიუჯეტს კენჭი ეყაროს არა უგვიანეს 31 დეკემბრისა. რაც შეეხება ბიუჯეტის მე-70 და 71 მუხლებს, დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობა მოითხოვს, რათა საკითხი გადაჭრილ იქნას ნაციონალური ინტერესების მიხედვითო. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ რეპარაციების საკითხის გადაჭრის მიზნით უკვე სწარმოებს მოლაპარაკება“ (ადს).

საფრანგეთის მთავრობის პოზიცია მოიწონეს

პარიზი, 15 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„მინისტრთა საბჭომ მოიწონა მთავრობის დეკლარაცია, რომლითაც პუანკარე გამოვიდა პალატაში“ (ადს).

კაშენის სიტყვა

პარიზი, 15 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„კომუნისტი დეპუტატი კაშენი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც განაცხადა, რომ **სტაბილიზაციამ მეტად გაამწვავა სამუშაო ხელფასის საკითხი და გაალატაკა საშუალო კლასებიო.** კაშენმა აღნიშნა, რომ **სამუშაო ხელფასი დარჩა ძველ დონეზე, ხოლო სიძვირე გაიზარდა 25 პროცენტით; ნაციონალური თავდაცვის ბიუჯეტი აღემატება ომის წინა დროინდელ ბიუჯეტსო.** ცენტრის დეპუტატების შენიშვნებზე „ყაზახური რუსეთის“ შესახებ კაშენმა უპასუხა:

„რუსეთი ხარჯავს ორჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე საფრანგეთი“-ო.

ორატორმა მოუწოდა მშრომელთ, იბრძოლონ რეაქციისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ. სოციალისტებმა ორატორს სიტყვა შეაწყვეტინეს, რაზედაც კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს. სოციალისტი დეპუტატი მორისე მივარდა კომუნისტ დეპუტატს კლამამიუსს. შეტაკება თავიდან აცილებულ იქნა პარლამენტის ქვესტორის ჩარევით. (ადს).

უმრავლესობა უზრუნველყოფილია

პარიზი, 15 ნოემბერი. დეპუტატთა პალატის რადიკალ-სოციალისტების ფრაქციამ დაადგინა, თავი შეიკავოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ კენჭის ყრის დროს. ამგვარად, პუანკარეს მთავრობას უზრუნველყოფილი აქვს უმრავლესობა (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება

პარიზი, 15 ნოემბერი. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მოწოდება საფრანგეთის მუშებისა და გლეხებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია, **რომ ნაციონალური მთლიანობის ახალ მთავრობაში მძიმე მრეწველობის და მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლების ტარდიეს, მაჟინოს და პონსოს შესვლა მოწმობს, რომ მსხვილმა ბურჟუაზიამ გადასწყვიტა, დაიმორჩილოს წვრილი ბურჟუაზია და საბოლოოდ დაიმონოს პროლეტარიატი, გლეხობა და გაყვლეფილი კოლონიალური მასებიო. პოლიტბიურო მოუწოდებს მუშებს და გლეხებს, მჭიდროთ დაირაზმონ პარტიის გარშემო და შექმნან მთლიანი ფრონტი ქარხნებში, ყაზარმებში, მინდვრებში და სხვაგან.** (ადს).

პუანკარეს ნდობა გამოუცხადეს

პარიზი, 15 ნოემბერი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, დეპუტატთა პალატაში, შეკითხვების საპასუხოდ პუანკარემ განაცხადა, რომ ის ნაადრევად სთვლის პარტიათა შორის მშვიდობიანობის დარღვევას და არ ხედავს არავითარ მიზეზს პროგრამის შესაცვლელად ეძებოს ახალი ჯგუფები თანამშრომლობისათვის. შემდეგ პუანკარემ სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ მთავრობის შედგენა მოუხდა რადიკალების მონაწილეობის გარეშე; პუანკარემ საჭიროდ აღიარა ბიუჯეტის მე-70 და მე-71 მუხლები. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სასწრაფოთ იქნას მიღებული ბიუჯეტი, თან გამოსთქვა რწმენა, რომ შეერთებული შტატები მონაწილეობას მიიღებენ სარეპარაციო საკითხების გამო ექსპერტთა კომისიის მუშაობაში და რომ ამ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ორივე მატერიკის ბედი.

დასასრულ, პუანკარემ დასვა საკითხი ნდობის შესახებ. პალატამ 330 ხმით 129 ხმის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა პუანკარეს.

კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა 126 კაცმა, ამათში 110 რადიკალმა.

უმცირესობაში, რომელმაც წინააღმდეგ მისცა ხმა, შედიოდა 100 სოციალისტი, 12 კომუნისტი, 7 რადიკალი და რამდენიმე რესპუბლიკანელი სოციალისტი. კენჭის ყრის წინ 8 რადიკალმა განუცხადა დალადიეს, რომ ისინი პარტიიდან გადიან და ხმას მთავრობას მისცემენ. (ადს)

ჯავშნოსანის აგების გარშემო

ბერლინი, 15 ნოემბერი. ჯავშნოსანის აგების საკითხის განხილვის დროს რეიხსტაგის დარბაზი და გალერიები სავსე იყო ხალხით. დღის წესრიგში სამი წინადადება იყო: სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა — ჯავშნოსანის აგების შეწყვეტის შესახებ, კომფრაქციისა—გაუქმდეს მთავრობის გადაწყვეტილება ჯავშნოსანის აგების დაწყების შესახებ და, დასასრულ, ნაციონალისტებისა — გერმანიის საზღვაო ფლოტის გაძლიერების შესახებ. სოციალ-დემოკრატების წინადადების დასასაბუთებლად გამოვიდა პარტიის თავმჯდომარე ველსი, რომელსაც კომუნისტები სიტყვას აწყვეტინებდნენ ხმაურობით, სიცილით, კრიტიკული შენიშვნებით და უწოდებდნენ „თვალთმაქცს“. ველსი შეეცადა გვერდი აეხვია იმ ფაქტისათვის, რომ სოციალ-დემოკრატმა მინისტრებმა ხმა მისცეს ჯავშნოსანის აგებას. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებას ჯავშნოსანის აგების შეწყვეტის შესახებ ველსი ასაბუთებდა უმთავრესად სამხედრო ტეხნიკური მოსაზრებებით და იმით, რომ სოციალ-დემოკრატები „მომჭირნეობის რეჟიმის“ პრინციპიალური მომხრეები არიანო. ველსმა მოიყვანა ციტატა ნაციონალისტური „კრეიც ცეიტუნგ“-ის განცხადებიდან, რომ **ჯავშნოსანის აგება მიმართულია პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ველსმა არ უარჰყო ეს განცხადება. პირიქით, არაპირდაპირ დაადასტურა კიდეც.** მან სთქვა, რომ ჯავშნოსანი საკმაო არ არის საბჭოთა სამხედრო ფლოტის წინააღმდეგო. ველსი შეეხო ჯავშნოსანის გამოყენების შესაძლებლობას გერმანიის ნავთსადგურების ბლოკადის დროს და სთქვა:

„ჯავშნოსანი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბლოკადის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბლოკადას მოახდენს საბჭოთა კავშირი, მაგრამ საბჭოთა კავშირს შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივ მოახდინოს გერმანიის აღმოსავლეთი სანაპიროების ბლოკადა, რასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“.

დამახასიათებელია, რომ ველსი ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირის „მტრულ განზრახვებზე“, როგორც ნამდვილად არსებულ ფაქტზე.

კომფრაქციამ წინადადება შეიტანა, გამოქვეყნებულიყო ის მემორანდუმი, რომელიც რეიხსვერმა მთავრობას გადასცა და რომელიც შეიარაღების საკითხს შეეხებოდა. მაშინ მთავრობის სახელით გამოვიდა რეიხსკანცლერი **მიულერი.** მან გაილაშქრა მემორანდუმის გამოქვეყნების წინააღმდეგ, ვინაიდან ის მემორანდუმი საიდუმლოაო. კომფრაქციის წინადადება უარჰყვეს ყველა ხმებით კომუნისტების ხმების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატებმაც ამ წინადადების წინააღმდეგ მისცეს ხმა. (ადს)

სარეპარაციო საკითხი

საფრანგეთი პასუხს მოითხოვს

პარიზი, 15 ნოემბერი. „მატენ“-ი კომენტარიებს უკეთებს სარეპარაციო პრობლემას და აღნიშნავს, რომ თუმცა საკითხი ექსპერტების მომავალი კონფერენციის შემადგენლობისა და რწმუნებების შესახებ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს, მაგრამ **კონფერენცია მაინც არ იქნება მოწვეული მომავალ წლამდეო.** მემარჯვენე „გოლუა“ მოითხოვს, რათა საფრანგეთმა კონფერენციის მოწვევამდე გერმანიისაგან მიიღოს გარკვეული პასუხი შემდეგ კითხვებზე: თანახმაა თუ არა გერმანია სარკინიგზო და სამრეწველო ობლიგაციების კომერციალიზაციაზე რეინის ოლქის ევაკუაციის ნაცვლად, თანახმაა თუ არა გერმანია, რომ სარეპარაციო გადასახადის რაოდენობის და წესების დროს მხედველობაში იქნას მიღებული იმ თანხების რაოდენობა, რომელსაც მოკავშირეები უხდიან ყოველწლიურად შეერთებულ შტატებს, აგრეთვე საფრანგეთის ყოველწლიური ხარჯები მისი შინაური დავალიანების (დანგრეული ოლქების აღდგენასთან დაკავშირებით) ამორტიზაციის პროცენტების დასაფარავად. (ადს).

ამერიკა მონაწილეობას იღებს ექსპერტების კონფერენციაში

ბერლინი, 15 ნოემბერი. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ საბოლოოდ უზრუნველყოფილია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა ექსპერტების კომისიაში, რომელიც მოწვეული იქნება სარეპარაციო საკითხის განსახილველად. (ადს)

გერმანიის მელითონეთა ბრძოლა

მუშებს უარი უთხრეს დახმარებაზე

ბერლინი, 15 ნოემბერი. უმაღლესმა ინსტანციამ, რომელიც დახმარების საკითხებსა სწყვეტს, დუისბურგის სასამართლოს განაჩენის ძალით, დაადგინა, რომ ლოკაუტ გამოცხადებულ მუშებს, არავითარი ნება არა აქვთ უმუშევრობისათვის დახმარება მიიღონ. (ადს).

მოითხოვენ ინდოეთის დამოუკიდებლობას

ლონდონი, 15 ნოემბერი. ინდოეთიდან მიღებული ცნობით, კაუნპურში გაიმართა სხვადასხ. პოლ. პარტიების მომხრე მუსლიმანთა ყრილობა. **ყრილობამ დაადგინა მხარი დაუჭიროს ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას და ინდოეთის ფედერატიული რესპუბლიკის შექმნას.** საინტერესოა აღნიშნოს, რომ ეს რეზოლუცია უმთავრესად მიღებულ იქნა მუსულმან-ქალთა ზეგავლენით, რომლებიც ყრილობას დაესწრნენ არა როგორც დელეგატები არამედ როგორც გარეშე საზოგადოება. ქალებმა თავმჯდომარეს გადასცეს წერილობითი განცხადება, რომელშიაც აღნიშნავდნენ, რომ თუ მამაკაცებს არ ეყოფათ გამბედაობა დაადგინონ, რომ ემხრობიან ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას, მაშინ ქალები გამოვლენ პასიური მდგომარეობიდან და დაიჭერენ სათანადო ადგილს ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალების გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობის მონაწილეებზე. (ადს).

კომუნისტების დევნა ჩეხოსლოვაკიაში

კომუნისტ-სენატორების პროტესტი

პრაღა, 16 ნოემბერი. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის არსებობის ათი წლის თავის გამო შესდგა სენატის საზეიმო სხდომა. ჩეხოსლოვაკიის ნაციონალურ უმცირესობათა მდგომარეობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, სხდომას არ დაესწრნენ გერმანელი სოციალ-დემოკრატები, გერმანელი ნაციონალისტები და ნაციონალ-სოციალისტების ფრაქციები. სხდომაზე კომუნისტი სენატორები გამოვიდნენ პროტესტით კომუნისტური პრესის დევნის წინააღმდეგ. კომუნისტური პრესის დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა ამ ბოლო დროს. ასე, მაგალითად, პარლამენტის კომფრაქციას არ მისცეს თავიანთი მოამბის გამოცემის ნებართვა იმ საბაბით, რომ ეს მოამბე აკრძალული კომუნისტური გაზეთების მაგიერობას გასწევსო. პოლიციამ კომპარტიას ნება არ მისცა დაებეჭდა თავისი საარჩევნო პლაკატები.

კომუნისტის გასამართლება

პრაღა, 15 ნოემბერი. დეპუტატ კომუნისტს შაფრანკოს მიუსაჯეს სამი თვით დაპატიმრება 1924 წელს წარმოთქმულ სიტყვისათვის, რომელშიც შაფრანკომ განაცხადა, რომ სახალხო მასების მობილიზაცია სამოქალაქო ომად გადაიქცევაო. (ადს)

ნორვეგიის მემაღაროეთა კავშირის წინადადება

მოსკოვი, 16 ნოემბერი. მემაღაროეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა მიიღო ნორვეგიის კავშირის წინადადება—მოწვეულ იქნას შეერთებული თათბირი, რომელზედაც პრაქტიკულად გადასწყდება საკითხი ორი ქვეყნის კავშირებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების შესახებ. მემაღაროეთა კავშირის ცეკამ თანხმობა განაცხადა თათბირის მოწვევაზე. თათბირი მოხდება ოსლოში (ნორვეგია) მომავალი წლის იანვარში. (ადს).

„კრასინი“-ს ექსპედიციის მონაწილენი თბილისში

საზეიმო სხდომა სახელმწიფო ოპერაში

გუშინ საღამოს 9 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საზეიმო სხდომა. სხდომა გახსნა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

თავდაცვა-ავიაქიმის საზეიმო სხდომას პროფესიონალურ სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციებთან ერთად „კრასინი“-ს ექსპედიციის სახელოვან გმირების ჩამოსვლის გამო გახსნილად ვაცხადებ. (მქუხარე ტაში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ჩვენს შორის — განაგრძობს ამხ. ფილიპე — არიან ამხანაგები, რომლებმაც ისახელეს თავი და ასახელეს საბჭოთა კავშირი. მათ შორის არის პროფ. **სამოილოვიჩი** მფრინავი **სტრაუბე** და მეზღვაურები და ცეცხლფარეშები. (ყველა მათ დარბაზი მხურვალე და ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს). ჩვენი გულწრფელი სალამი და სიმპატიები „კრასინი“-ს პოლიარულ ექსპედიციის მონაწილეებს და აგრეთვე მალიგინის ექსპედიციის ხელმძღვანელებს პროფ. **ვიზეს** და მფრინავ **ბაბუშკინს!**

როგორ შეხვდნენ კაპიტალისტური ქვეყნები რადიოცნობას, რომელიც აუწყებდა მსოფლიოს ნობილეს დირიჟაბლის კატასტროფის ამბავს? როგორ გამოეხმაურენ ამ კატასტროფას ის სახელმწიფოები, რომელთაც ყოველგვარი საშუალება ჰქონდათ დახმარება გაეწიათ დაზარალებულთათვის? ისინი ისე შეხვდნენ ამ ამბავს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. 19 კაცისაგან შემდგარმა ექსპედიციამ ავარია განიცადა სადღაც ყინულიან უდაბნოში და ისინი სასიკვდილოთ განწირულნი აღმოჩნდნენ. ერთი შეხედვით ისეთ ცივილიზაციურ ქვეყნებს, როგორიცაა ინგლისი და ამერიკა უნდა მიეღო საჭირო ზომები ექსპედიციის წევრების გადასარჩენათ, მაგრამ ისინი სდუმდნენ. მხოლოდ ისეთი ქვეყნები გამოეხმაურნენ ნობილეს ექსპედიციის კატასტროფას, როგორიცაა შვეცია, ნორვეგია და ჩრდილოეთის სხვა წვრილი სახელმწიფოები.

ფართო და რეალური დახმარების გაწევა შესძლო მხოლოდ საბჭოთა კავშირმა. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. სწრაფად იქნა მოწყობილი ექსპედიცია, რომელსაც შეეძლო, თუ საჭიროება მოითხოვდა, მთელი წელიწადი გაეტარებია ყინულებში.

ექსპედიცია გავიდა ზღვაში. მან გადალახა არაადამიანური დაბრკოლებები და თავის მიზანს მიაღწია. საბჭოთა ექსპედიციას, რასაკვირველია, მიზნათ არ ჰქონდა დასახული ახალი მიწების და ქვეყნების დაპყრობა. ის გაეშურა ყინულოვან უდაბნოში, რომ დახმარება გაეწოდებია დირიჟაბლის დამტვრევის დროს დაზარალებულ მეცნიერებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ყოფილიყო ლაპარაკი არქტიკაში ჩინეთის, ინდოეთის და სხვა კოლონიალური ქვეყნების განაწილების შესახებ, კაპიტალისტური ქვეყნები ერთბაშად გაგზავნიდნენ თავის ჯავშნოსნებს და აეროპლანებს, რომ დაეღვარათ ადამიანის სისხლი, მაგრამ, ვინაიდან ისინი არაფერს გამოელოდნენ ნობილეს ექსპედიციის წევრების გადარჩენისაგან, ამიტომ თითიც არ გაანძრიეს მათ საშველად.

მარქსი ერთ თავის ნაწარმოებში მიმართავს რა კაპიტალისტურ ქვეყნებს ამბობს: თუ თქვენ გინდათ იცოდეთ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა, შეისწავლეთ პარიზის კომუნაო. ჩვენ შეგვიძლია გადავუსხვაფეროთ ეს სიტყვები და ვსთქვათ: თუ თქვენ გინდათ იცოდეთ რას წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერება და საბჭოთა საზოგადოებრიობა, შეისწავლეთ „კრასინის“ და მალიგინის ექსპედიციის გმირული მოქმედება.

გაუმარჯოს საბჭოთა საზოგადოებრიობას, მეცნიერებას, ტეხნიკას, „კრასინს“ და მალიგინს მის გმირებთან ერთად!

მისალმებანი

ამხ. ფილიპეს სიტყვის შემდეგ სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს პროფსაბჭოს სახელით ამხ. **ანთიძე,** საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა სექციის სახელით ამხ. **გ. ნიკოლაძე,** საქართველოს კომკავშირის ცეკას სახელით ამხ. **ჯავახიძე,** ლენინის რაიონის მუშების სახელით ამხ. **სტრუჩანინი** და პიონერების სახელით ამხ. **ჩიქოშვილი.**

პროფ. სამოილოვიჩის მოხსენება

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. სამოილოვიჩი, რომლის გამოჩენას ტრიბუნაზე დარბაზი ხანგრძლივი მქუხარე ტაშით და ვაშა-ძახილით შეხვდა. დიდი ხანია ოპერის თეატრს ასეთი ოვაციები არ უხილავს. ეს იყო უდიდესი აუდიტორიის არაჩვეულებრივი აღტკინება და ზეიმი.

პროფ. სამოილოვიჩი ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლების შემკეთებელი ქარხნის მუშებს შორის

წინასწარი სამზადისი ექსპედიციისათვის

მიმდინარე წლის 25 მაისს,—დაიწყო ამხ. სამოილოვიჩმა, — ჩრდილოეთის ყინულებში ავარია განიცადა იტალიის დირიჟაბლმა „იტალიამ“, რომელიც ჩრდილოეთ პოლიუსიდან ბრუნდებოდა შპიცბერგენზე. პირველ ხანებში ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. რამოდენიმე მილიონი რადიო მოყვარული გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ეთერის ყოველგვარ მოძრაობას და სცდილობდა დაეჭირა რაიმე ცნობა „იტალიადან“. პირველი რადიომოყვარული, რომელმაც შესძლო რადიოდეპეშის მიღება „იტალიადან“, იყო ახალგაზრდა შმიდტი, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო მიყრუებულ კუთხეში იჯდა თავის რადიო-აპარატთან და უსმენდა ნობილეს ექსპედიციის რადისტის სიგნალებს. თუმცა შმიდტის მიერ მიღებულ რადიოცნობაში სისწორით არ იყო აღნიშნული კატასტროფის ადგილი, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს არ იყო შმიდტის ბრალი. თვით ნობილეს ექსპედიციის წევრებს იმ დროს ნათლად არ ჰქონდათ წარმოდგენილი, თუ სად დაიმსხვრა მათი დირიჟაბლი.

28 მაისს, ე. ი. სამი დღის შემდეგ დირიჟაბლის კატასტროფიდან მოსკოვში მოეწყო „იტალიის“ დამხმარე კომიტეტი ამხ. უნშლიხტის თავმჯდომარეობით და აი, ამ კომიტეტმა გადასწყვიტა გაეგზავნა ნობილეს დასახმარებლად ორი ექსპედიცია. ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით. აღმოსავლეთით გაიგზავნა ყინულის მჭრელი მალიგინი, რომელსაც გაცილებით უფრო მძლავრ ყინულებთან უხდებოდა ბრძოლა, ვიდრე „კრასინს“. ეს იმ დროს, როდესაც მალიგინის მანქანების ძალა ნაკლები იყო, ვიდრე „კრასინის“ მანქანის.

თერთმეტ ივლისს მე მივიღე ბრძანება მოგვეწყო ექსპედიცია, რისთვისაც მოცემული გვქონდა სამი დღე. უნდა ითქვას, რომ ეს დრო ძალიან მცირეა პოლიარული ექსპედიციის მოსაწყობათ, მაგრამ საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციების და ლენინგრადის პროლეტარიატის დახმარებით ჩვენ ჩინებულათ შევსძელით დავალების შესრულება. „კრასინი“ დაიტვირთა 190.000 ფუთი ნახშირით (ორასი ვაგონი) და გავიდა ზღვაში. ჩვენ ვიცოდით, რომ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მივდიოდით და ამიტომ მოვიკრიფეთ მთელი ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, რომ გამარჯვებით დაგვეგვირგვინებია საბჭოთა საზოგადოებრიობის დავალება.

ჩუხნოვსკის გაფრენა

ყინულებთან ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, „კრასინი“ დაზიანდა. ჩვენ მაშინ მივხვდით, რომ საჭირო იყო უკვე სხვა ზომებისათვის მიგვემართა და მოვამზადეთ გასაფრენათ ჩუხნოვსკის თვითმფრინავი. 10 ივლისს ჩუხნოვსკი გაფრინდა ნობილეს ექსპედიციის ჯგუფების საძებრად. პირველი 17 წუთის განმავლობაში ჩვენ აეროპლანიდან არავითარი ცნობები არ მიგვიღია. მალე ჩუხნოვსკიმ შეგვატყობინა, რომ აეროპლანი განაგრძობს ფრენას და ჩქარა უკან დაბრუნდება. შემდეგ რადიო-გადაცემა შესწყდა და ბოლოს ჩვენ გავიგონეთ სამი სიტყვა, რომელმაც შემდეგ შესძრა მთელი ქვეყნიერება: აღმოვაჩინეთ მალმგრემის ჯგუფი. გავიდა ოთხი საათი და ჩუხნოვსკისაგან არავითარი ცნობა არ იყო, ეს იყო საშინელი ოთხი საათი, რომლის მსგავსი ჩვენ არ განგვიცდია მთელი ექსპედიციის განმავლობაში. ბოლოს ჩუხნოვსკიმ შეგვატყობინა, რომ ნისლის გამო მან ვერ მოაღწია „კრასინამდე“ და იძულებული იყო დაშვებულიყო ყინულზე. ჩუხნოვსკი მოითხოვდა, რომ ჯერ დახმარება აღმოგვეჩინა მალმგრემის ჯგუფისათვის და მხოლოდ შემდეგ წავსულიყავით მის წამოსაყვანათ.

ცაპის და მარიანოს აღმოჩენა

როდესაც ჩვენ დავუახლოვდით იმ ყინულს, რომელზედაც ცაპი და მარიანო იყვნენ, დავინახეთ, რომ ერთი კაცი იდგა ყინულის წვეროზე და ხელის ქნევით ცდილობდა მიექცია ჩვენი ყურადღება, მეორე კი ამ დროს ყინულზე იწვა და თავის და ხელების მოძრაობით გვანიშნებდა, რომ ის ცოცხალია. ჩვენ გავაგზავნეთ რამდენიმე კაცი ცაპის და მარიანოს წამოსაყვანათ. ცაპი საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა, მარიანო კი იწვა დაფლეთილ საბანზე ფეხგახდილი და დაგლეჯილ წინდებში. როგორც ჩვენმა ექიმმა გამოარკვია, ის სიკვდილის პირას იყო და ჩვენ რომ დროზე არ მივესწრო, რამოდენიმე საათის შემდეგ მოკვდებოდა.

ჩვენ ორივენი ავიყვანეთ გემზე. მარიანო მოვათავსეთ ლაზარეთში, ცაპი კი წავიყვანე ჩემს კაიუტაში, ჩავაჯინე ღრმა ინგლისურ სავარძელში და გამოვკითხე მალმგრემის ამბავი. ცაპ მიამბო, რომ მალმგრემმა, რომელიც დირიჟაბლის კატასტროფის დროს დაჭრილი აღმოჩნდა ხელში და მხარში, ვეღარ შესძლო მათთან სიარული და სთხოვა მათ ამოეთხარათ მისთვის საფლავი ყინულში, ჩაეწვინათ შიგ და თვითონ კი წასულიყვნენ ხმელეთის საძებრათ, ჩვენც ასე მოვიქეცითო, სთქვა ცაპიმ.

ჩვენი ექსპედიციის ზოგიერთი წევრები ფიქრობდნენ, რომ ცაპიმ და მარიანომ შესჭამეს მალმგრემი, მაგრამ მე პირადათ იმ აზრისა ვარ, რომ ეს არ უნდა იყოს მართალი, რადგან როდესაც ცაპიმ და მარიანომ მიატოვეს მალმგრემი, მათ ოცი დღის საგზალი ჰქონდათ და არ იყო საჭირო, რომ ასე მოქცეულიყვნენ მალმგრემის მიმართ.

ცაპის და მარიანოს გულმოდგინედ უვლიდა [illegible] სანიტარი შჩუკინი. ერთხელ ამ უკანასკნელმა ცაპის უწოდა ამხანაგო, რაზედაც თურმე ცაპი გაჯავრდა და უთხრა: მე ამხანაგი ცაპი კი არა ვარ, ბატონი ცაპი ვარო. შჩუკინი მოვიდა ჩემთან და შემომჩივლა. მე ვუთხარი მას, რომ როგორმე შეთანხმებით მოეგვარებია ეს საქმე ცაპისთან. შჩუკინმა შემდეგი გამოსავალი ნახა: ცაპის სახელი იყო ფილიპე. შჩუკინმა მას უწოდა ფილიპ პეტროვიჩი და შემდეგში ასე მიმართავდა ხოლმე მას.

ვილიერის ჯგუფის გადარჩენა

ცაპის და მარიანოს გადარჩენის შემდეგ გავემართეთ ვილიერის ჯგუფისაკენ. აქ ჩვენი გემი პირდაპირ მიადგა იმ ყინულს, რომელზედაც ეს ჯგუფი იყო მოთავსებული. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამ ჯგუფის გადარჩენის შემდეგ ჩვენ „კრასინის“ ბაქანზე ავიყვანეთ ჩუხნოვსკის თვითმფრინავის ეკიპაჟი და გამოვემგზავრეთ შპიცბერგენისაკენ, რომ გადაგვეცა „ჩიტა-დი-მილანოსათვის“ გადარჩენილი იტალიელები. გზაში, როდესაც ნორვეგიაში მივდიოდით გემის შესაკეთებლად, მივიღეთ სიგნალები უბედურების შესახებ გერმანიის გემ „მონტე-სერვანტესიდან“, რომელზედაც 1,800 კაცი იყო. გემი იღუპებოდა და კაპიტანი გვთხოვდა სასწრაფო დახმარებას. ჩვენც გავეშურეთ მისკენ და ექვსი დღის დაუღალავი მუშაობის შემდეგ შევაკეთეთ გემი იმდენად, რომ მას დამოუკიდებლად წასვლა შეეძლო.

დახმარება „მონტე-სერვანტესს“

როდესაც ტურისტებმა გაიგეს, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირიდან ვართ, ძალიან დაინტერესდნენ, „ველური ბოლშევიკებით“ და მოსვენებას არ გვაძლევდნენ თავისი ექსკურსიებით „კრასინზე“ და ათასგვარი შეკითხვებით. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი ისახელეს ტურისტმა ქალებმა, რომლებიც მუდამ ეხვეწებოდნენ ჩვენს მეზღვაურებს, რომ გადაეცათ მათთვის სახსოვრად დირიჟაბლ-იტალიის ნამსხვრევები. როდესაც უარმა არ გასჭრა და ჩვენმა მეზღვაურებმა ვერაფერი გააწყვეს, მათ მიმართეს ასეთ ხერხს: გამოიტანდნენ შეშის ნაფოტებს, დაურიგებდნენ ტურისტებს და ეუბნებოდნენ, რომ ეს იტალიის ნამსხვრევებიაო და ისინიც კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ „მონტე-სერვანტესზე“.

ნორვეგიაში

ჩვენი მისვლა ნორვეგიაში—ეს „კრასინის“ ნამდვილი ტრიუმფიალური მსვლელობა იყო. ჩვენ გვესალმებოდნენ, როგორც ზღვაში, ისე ნაპირებზე. ჩვენი დროშის წინაშე იხრებოდა ყველა ქვეყნების ნაციონალური დროშები. გემის შეკეთების შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ მეორე ექსპედიციაში, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ამუნდსენი და ვერც ნობილეს ექსპედიციის მეორე ჯგუფი ალესანდრის მეთაურობით. ამ ექსპედიციის დროს ჩვენ მივაღწიეთ ისეთ ადგილებამდე, სადაც ჯერ არ დადგმულა ადამიანის ფეხი. მაგ. ჩვენ მივედით ჩრდილოეთ განივის 81 გრადუსამდე და 47 წუთამდე. იქიდან გადავლახეთ ე. წ. ჯილისის მიწა და დავამტკიცეთ, რომ არავითარი ამგვარი მიწა არ არსებობს და ეს მიწა შეცდომით არის აღნიშნული რუკაზე. ამ ექსპედიციის დროს ჩვენ ვაწარმოებდით დიდ მეცნიერულ მუშაობას: ვზომავდით ზღვის სიღრმეს, ვაწარმოებდით მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, გავაკეთეთ 37 ჰიდროლოგიური სადგური და სხვა.

დაბრუნება ლენინგრადში

ამ დროს ჩრდილოეთში უკვე იწყებოდა ზამთარი. დაიწყო საშინელი ქარიშხალი და ყინვები, რომელიც ემუქრებოდა „კრასინს“, ამიტომ ჩვენ მივიღეთ ნობილეს ექსპედიციის დამხმარე კომიტეტის ბრძანება დავბრუნებულიყავით ლენინგრადში და 12 დღის შემდეგ ჩვენ მოვადექით ლენინგრადის ნავთსადგურს.

თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ გზაში ვიცოდით რადიოს საშუალებით, რომ ლენინგრადი ემზადებოდა ჩვენს შესახვედრად, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვათ, არ მოველოდით ასეთ გრანდიოზულ ზეიმს ჩვენი ჩამოსვლის გამო. ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება ლენინგრადის 200 ათას პროლეტარის მისალმება „კრასინის“ ექსპედიციის წევრებისადმი და ის დაუსრულებელი ოვაციები, რომლითაც ჩვენ გვხვდებიან საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი ექსპედიცია მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა პირმშო შვილია.

მოხსენების დასრულებისას, მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს პროფ. სამოილოვიჩს, რომელიც მორცხვათ სდგას თავჩაღუნული და არ იცის როგორ უპასუხოს ასეთ ერთსულოვან მისალმებას.

ამხ. სტრაუბეს მოხსენება

პროფ. სამოილოვიჩის შემდეგ ტრიბუნაზე ადის მფრინავი **სტრაუბე** (ჩუხნოვსკის თანაშემწე). დარბაზი მასაც ხანგრძლივი ტაშით და ვაშას ძახილით ხვდება.

ამხ. სტრაუბე დაწვრილებით უამბობს დამსწრეებს ჩუხნოვსკის ისტორიული გაფრენის ამბავს. 10 ივლისს, როდესაც ჩვენ აღმოვაჩინეთ მალმგრემის ჯგუფი და უკან დაბრუნებას ვაპირებდით, ჩვენ მოვექეცით ნისლში, რომელიც ხელს გვიშლიდა გვეფრინა დასახული მიმართულებით. ასეთ პირობებში ფრენა სახიფათო იყო იმ მხრივ, რომ შესაძლებელი იყო დავჯახებოდით ყინულიან მთებს, რომლებიც სრულებით არ ჩანდა ნისლში, მაგრამ გამოცდილმა მფრინავმა ჩუხნოვსკიმ ადვილათ დააღწია თავი ამ მძიმე მდგომარეობას და ისე დაეშვა ყინულზე, რომ თვითმფრინავს არავითარი სერიოზული ზიანი არ მიუყენებია. ოთხი დღე და ღამე გავატარეთ ჩვენ ყინულზე „კრასინის“ ცდაში. ამ ხნის განმავლობაში გვეძინა თვითმფრინავში. შემდეგ მოვიდა „კრასინი“ და გემის ეკიპაჟის დახმარებით დავშალეთ თვითმფრინავი და ავიტანეთ გემის ბაქანზე.

მეორე ექსპედიციის დროს—შპიცბერგენზე უკვე აღარ იყო არც ერთი სახელმწიფოს თვითმფრინავი, გარდა ჩვენისა. ყინვების მოახლოვების გამო უცხოელმა მფრინავებმა დასტოვეს შპიცბერგენი. ჩვენ მოვახდინეთ რამოდენიმე საცდელი გაფრენა, რომ გამოგვეკვლია ყინულების მდგომარეობა და ამით საშუალება მიგვეცა „კრასინისათვის“ უვნებლათ წასულიყო წინ.

ჩვენი ექსპედიციის ასეთი წარმატება,—ამბობს დასასრულ ამხ. სტრაუბე,—აიხსნება შემდეგი გარემოებით: საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით ჩვენი ექსპედიციის მუშაობაში, რადიოს, მეტეორლოგიის და ყინულისმჭრელის შეთანხმებულ მუშაობით და ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელების ნიჭით, ცოდნით და გამოცდილებით.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ ნაჩვენები იქნა დიაპოზიტივები „კრასინის“ ექსპედიციიდან.

პროფ. სამოილოვიჩი და ამხ. სტრაუბე ფაბრიკა-ქარხნებში

პროფ. სამოილოვიჩი რკინისგზელებთან

სტალინის სახელობის ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში მუშაობა გათავებულია, მაგრამ სახლში არავინ არ აპირებს წასვლას.

მუშებს თავი მოუყრიათ ყველაზე დიდ საამქროში, სადაც სწარმოებს „ავადმყოფ“ ორთქლმავლების შეკეთება, მრავლად არიან რკინის გზის № ლეგიონის არმიელებიც.

ყველანი მოუთმენლად მოელიან ჩრდილოეთ პოლიუსის გმირს—პროფ. სამოილოვიჩს. ყველას უნდა თავისი თვალით იხილოს ის, ვინც აალაპარაკა მთელი ქვეყნიერება.

გამოჩნდა პროფ. სამოილოვიჩი თავისი ცოლით. მათ მოჰყვებიან საქართველოს ავიაქიმის და ავიაქიმის თბილისის საბჭოს წარმომადგენლები.

მუშები პროფესორს ხვდებიან მქუხარე ტაშით და ვაშას ძახილით.

ძველი მუშა—რკინის გზელი ამხ. **ხართანია** გახსნილად აცხადებს საზეიმო სხდომას.

„ჩვენ ბედნიერი ვართ იმით, რომ საკუთარ სახელოსნოში ვხედავთ მას, ვინც გამოიჩინა

მფრინავი სტრაუბე მოხსენებას აკეთებს როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშათა კრებაზე

ბიბლიოთეკა

„კრასინ"-ის ექსპედიციის მონაწილენი თბილისში

ფადრესი გმირობა, მას, ვინც დაუმტკიცა მთელ ქვეყნიერებას, თუ რამდენად ძლიერია პროლეტარიატი და საბჭოთა მეცნიერება"—ამბობს ამხ. ხართანია.

პროფ. სამოილოვიჩს დიდ ხანს არ აძლევენ საშუალებას დაიწყოს თავისი მოხსენება: ისმის „ვაშას" ძახილი და ტაშის გრიალი.

მუშები დაწყნარდნენ და პროფესორმაც დაიწყო მოხსენება.

მაგრამ, ეს არ იყო მოხსენება, ეს იყო ამხანაგური საუბარი,

პროფ. სამოილოვიჩმა დაწვრილებით უამბო მუშებს, თუ როგორ წავიდა „კრასინ"-ი ჩრდილოეთისაკენ რა განწყობილება სუფევდა ექსპედიციის მონაწილეთა შორის.

მან უამბო აგრეთვე „იტალია"-ს ეკიპაჟის გადარჩენა და გააცნო „კრასინ"-ის ცდები ექსპედიციის სხვა მონაწილეთა მოსაძებნათ.

პროფ. სამოილოვიჩი დიდ ხანს შეჩერდა დაღუპულ შვედ მეცნიერ მალგრემის პიროვნებაზე. პროფესორმა გადასცა მუშებს თავისი საუბარი მარიანოსთან და ცაპპთან, რომელნიც იმყოფებოდნენ მალგრემთან ერთად და რომლებმაც მიატოვეს იგი უპატრონოდ ყინულებს შორის.

პროფ. სამოილოვიჩი ათავებს სიტყვას.

„ამხანაგებო"—ამბობს იგი—ჩვენ, ექსპედიციის ყველა მონაწილენი ვამაყობთ იმით, რომ ყველგან გვხდებიან ასე თბილათ. ის საქმე, რომელიც დაგვავალეს მშრომელებმა, ჩვენ შევასრულეთ კარგათ, რაც ვერ გააკეთა უცხოეთის 9 ექსპედიციამ, ადვილად შეასრულა „კრასინმა", რომელიც გაგზავნილ იყო ჩრდილოეთისაკენ შრომელების მიერ".

პროფ. სამოილოვიჩის ეს სიტყვები იფარება მქუხარე ტაშით.

პროფ. სამოილოვიჩს ესალმება ძველი რევოლუციონერი—მუშა **ლეონტიევი.**

„წარსულში ჩვენ გვტანჯავდნენ, კატორღაში და ციმბირში მრავალი მუშა ესალმებოდა თავის სიცოცხლეს. ეხლა კი, მშრომელებმა დაუმტკიცეს მთელ ქვეყნიერებას, რომ პროლეტარიატს მაღლა უჭირავს თავისუფლების და მეცნიერების დროშა"—ამბობს ამხ. ლეონტიევი.

მუშებმა პროფ. სამოილოვიჩი გააცილეს ვაშას ძახილით.

როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანაში

ქარხნის ეზოში ფუსფუსებენ მუშები, ელოდებიან მფრინავ სტრაუბეს.

კედლებზე გაკრულია სახელდახელოდ დაწერილი ლოზუნგები: „ჩვენი სალამი „კრასინი"-ს და მალიგინი"-ს ექსპედიციის გმირებს.

სრულ ორ საათზე ამხ. სტრაუბე, ავიაქიმის თბილისის საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად, ადის ტრიბუნაზე.

ეზოში სიჩუმეა, ისმის მხოლოდ ამხ. სტრაუბეს ლაპარაკი, რომელიც აცნობს ქარხნის მუშებს „კრასინის" გმირულ მუშაობას ჩრდილოეთის ყინულებში.

ამხ. სტრაუბე ათავებს სიტყვას. გრიალებს ტაში.

იწყება მილოცვები. მუშები და მუშა-ქალები ესალმებიან ამხ. სტრაუბეს სახით „კრასინი"-ს და „მალიგინი"-ს ექსპედიციის მონაწილეთ.

„ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ გვყავს მამაცი მეზღვაურნი და მფრინავები, რომლებმაც დაიპყრეს თვით ბუნება"—ამბობენ მუშები.

ტრამვაელთა შორის

ტრამვაის სახელოსნოებში მომუშავენი გულმოდგინეთ უგდებენ ყურს ამხ. სტრაუბეს მოხსენებას „კრასინი"-ს ექსპედიციის შესახებ.

მუშები კმაყოფილნი არიან კრასინელების სტუმრებით. თითქმის ყველას წაუკითხავს გაზეთებსა და ჟურნალებში მოთავსებული ანგარიში ექსპედიციის შესახებ, მაგრამ ინტერესი მოხსენებისადმი დიდია.

კმაყოფილებით და სიამაყით ისმენენ ამხ. სტრაუბეს იმ სიტყვებს, რომლებიც ეხება „კრასინ"-ის მიერ მალგრემის ჯგუფის გადარჩენას.

„დიახ! ჩვენი ეჭვი არ გვეპარება იმაზე, რომ საბჭოთა ექსპედიცია პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას"—ამბობენ ტრამვაელები.

მ. ხ—ლი.

კრასინელები ეროვნულ გალერეაში

გუშინ, დღის პირველ საათზე პროფ. სამოილოვიჩმა (ცოლით) და მფრინავმა სტრაუბემ დაათვალიერეს ეროვნული გალერეა და გაეცნენ ქართულ მხატვრობას.

პროფ. სამოილოვიჩის და მფრინავ სტრაუბეს მოხსენება

კვირას, 18 ნოემბერს, წითელი არმიის სახლში სამოილოვიჩი გააკეთებს მოხსენებას თბილისის გარნიზონისათვის.

ამავე დღეს პლეხანოვის სახელობის კლუბში შედგება მფრინავ სტრაუბის ლექცია.

კრასინელები სტუდენტებთან

დღეს კრასინელები დაათვალიერებენ სახ. უნივერსიტეტს, ბიბლიოთეკას და უნივერსიტეტის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებს.

უნივერსიტეტის პროფ. სამოილოვიჩი გააკეთებს მოხსენებას „კრასინ"-ის ექსპედიციის შესახებ.

პროფ. სამოილოვიჩის ლექცია

დღეს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგება პროფ. სამოილოვიჩის ფასიანი ლექცია.

ლექციის დროს ნაჩვენები იქნება სურათები.

პროფ. ბეგოუნეკი და ამხ. სამოილოვიჩი ნობილეს ექსპედიციის შესახებ

პროფ. ბეგოუნეკის განცხადება

(წერილი ბერლინიდან)

ხუთ ნოემბერს ჩეხო-სლოვაკიელმა პროფ. ბეგოუნეკმა, ნობილეს ექსპედიციის მონაწილემ, — ბერლინში გააკეთა მოხსენება ნობილეს ექსპედიციის შესახებ. ბეგოუნეკმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ალესსანდრის ჯგუფი, რომელიც 6 კაცისაგან შესდგება, ცოცხალი არის. ალესსანდრის თანამგზავრებს საკმაო სურსათი - სანოვაგე და ტანისამოსი მოეპოებოდა. თუ ისინი არ დაიწვენ ავარიის დროს, მათ აქვთ შანსები, რომ გაუმკლავდებიან არქტიკის მძიმე პირობებს.

ამის გამო პროფ. ბეგოუნეკი საჭიროდ თვლის მოეწყოს ახალი ექსპედიცია, ალესსანდრის ჯგუფის მოსაძებნად, ეს ექსპედიცია ბეგოუნეკის აზრით, უნდა მოაწყოს იტალიამ.

შვედ მეცნიერის მალგრემის დაღუპვის გამო, პროფ. ბეგოუნეკმა შემდეგი განაცხადა:

„ის, რაც მოხდა, იმდენად წარმოუდგენელია, რომ ძნელი დასაჯერებელია. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მალგრემი ცოცხალი იყო, მას გახადეს ტანისამოსი, აღარ აძლევდნენ საჭმელს და მისთვის წინასწარ გათხარეს საფლავი. დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ცაპპი თბილად იყო ჩაცმული და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, იმ დროს, როცა მარიანო ნახევრად გახდილი და სრულიად დაუძლურებული იყო. ყველა ეს ფაქტები მართლა რომ კოშმარულია".

დასასრულ ბეგოუნეკმა აღნიშნა, რომ იტალიის ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ მეტად ცუდად იყო მოწყობილი.

ა. ვ—ლი.

ბერლინი, 6 ნოემბერი.

ამხ. სამოილოვიჩი პროფ. ბეგოუნეკის განცხადების შესახებ

(საუბარი პროფ. სამოილოვიჩთან)

პროფ. ბეგოუნეკის ზემოთ მოყვანილ განცხადების გამო, ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა პროფ. სამოილოვიჩს, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

ჩვენმა ექსპედიციამ დაწვრილებით დაათვალიერა ის ადგილი, სადაც იმყოფებოდა ალესსანდრის ჯგუფი, მაგრამ იგი ვერ იპოვა. ჩრდილოეთ პოლიუსის ზღვა დიდია და, შესაძლებელია, ვერ მივაგენით ამ ჯგუფს.

თვით ნობილეს ექსპედიციის ზოგიერთი წევრი იმ აზრისა არის, რომ ალესსანდრის ჯგუფი დაიღუპა აფეთქების დროს.

შესაძლებელია, რომ ალესსანდრის ჯგუფი გადაურჩა აფეთქებას. შეიძლება ისიც, რომ ყველანი კარგათ არიან და ცხოვრობენ ყინულზე. მხოლოდ, უნდა ითქვას, რომ ძალიან ცოტა იმედია იმის, რომ ალესსანდრის ჯგუფი ცოცხალი იყოს.

მომავალ წელს საბჭოთა ექსპედიცია გაემგზავრება ფრანც იოსების მიწაზე. ეს ექსპედიცია მაინც განაგრძობს ალესსანდრის ჯგუფის ძებნას იმ რაიონში, სადაც მას მოუხდება მუშაობა.

მე, პირადათ, ვერ დავიჯერებ, რომ მალგრემი შეეჭამოთ მის თანამგზავრებს, თუმცა ზოგიერთნი დაჟინებით ამტკიცებენ ამას.

ჩვენ მიერ გადარჩენილ ცაპპის ტანთ ეცვა ოთხი კოსტიუმი; მანვე გვითხრა, რომ ქულაჯა, რომელიც მას ეცვა, მალგრემს ეკუთვნოდა.

ამავე დროს ჩვენ დიდათ გაგვაოცა იმ გარემოებამ, რომ მარიანოს ფეხებზე ეცვა მხოლოდ დახეული წინდები.

ჩვენ არ შევკითხივართ ცაპპის, თუ რა გზით იშოვა მან თავისი ტანსაცმელი.

საოპერო თეატრში

(შთაბეჭდილებანი)

პოლიარული ქვეყნების გმირების ჩამოსვლამ კვლავ მოაგონა თბილისელებს არქტიკის ტრაგედია და აღუძრა ძლიერი სურვილი ენახათ ლეგენდარული ექსპედიციის მონაწილენი და მათი ხელმძღვანელი, ამჟამად საქვეყნოდ ცნობილი ბოლშევიკი—პროფესორი სამოილოვიჩი.

საღამოს ოპერის თეატრს გარს შემოერტყა უამრავი ხალხი. თეატრში შესვლა შეუძლებელი იყო იმათთვისაც კი, ვინც დროზე მოიმარაგა შესასვლელი ბილეთი და ადგილი თეატრში.

დარბაზი სადღესასწაულოდაა მორთული. იარუსებზე გაკრულია გრძელი ტილოები წარწერით: „გაუმარჯოს შრომის და მეცნიერების განუყრელ კავშირს", „გაუმარჯოს პოლიარულ ქვეყნების სახელოვან გმირებს".

სხდომას ხსნის ამხ. ფ. მახარაძე. თავის შესავალ სიტყვაში ის აცნობს დამსწრეებს ძვირფას სტუმრებს.

სტუმრების გვარის დასახელებისთანავე დარბაზში გაისმის ისეთი მძლავრი ტაში და „ვაშა", რომლის მსგავსი ხშირად არ არის ამ თეატრში.

მაგრამ გათავდა მისალმებები. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა პროფ. სამოილოვიჩს.

დარბაზი გრიალებს. ყველა გაფაციცებით ელის პირველ სიტყვას ამ მორცხვად მდგარ სახელოვან კაცისაგან.

პროფ. სამოილოვიჩს მეტად სასიამოვნო ხმა აქვს, ლაპარაკობს ხმადაბლა, მაგრამ ყველას ესმის მისი ხმა. ეხერხება იუმორი, იცის ზომაც.

გულწრფელ სიცილს იწვევს პროფესორის სიტყვები, რომლითაც აღწერა მან მარილის ამბავი.

როდესაც ჩუხნოვსკი ყინულზე დაეშვა, მან და მისმა ამხანაგებმა მოკლეს ორი ირემი, შესწვეს მისი ხორცი, მაგრამ, როგორც რადიოთი იტყობინებოდნენ, ხორცი უგემური იყო, რადგან მათ თან არ აღმოაჩნდათ მარილი.

ეს რადიო-ცნობა დაუჯერია იტალიის გემ „ბრაგანცა"-ს, რომელმაც ნიშნად მადლობისა ცაპპისა და მარიანოს გადარჩენისათვის გადასწყვიტა მოეწყო ექსპედიცია 50 კილომეტრის მანძილზე მარხილებით და ძაღლებით ჩუხნოვსკისათვის მარილის გასაგზავნად.

ექსპედიცია წავიდა ფეხით ყინულებზე, მაგრამ აქ მოხდა ერთი კურიოზი: მარილის წასაღებად მოწყობილ ექსპედიციას დაავიწყდა... მარილი.

ისე ოსტატურად უამბობს ამას დამსწრეებს სამოილოვიჩი, რომ მისი მოთხრობა ერთსულოვან სიცილს იწვევს.

ქებით იხსენიებს პროფესორი ყინულიან უდაბნოს ერთადერთ მცხოვრებს — თეთრ დათვს.

ის უწყინარი მხეცია — ამბობს სამოილოვიჩი — არ გვინდოდა მათთვის ხელის ხლება, მაგრამ იძულებული შევიქენით მოგვეკლა რამოდენიმე. ჩვენ მხოლოდ ორი დათვი მოვკალით, მეტისთვის არ გვხლებია ხელი — თავს „იმართლებს" პროფესორი.

სტრაუბეს მოხსენება უფრო ფაქტების აღრიცხვაა უკომენტაროდ. ახალგაზრდა მფრინავს ეტყობა, რომ სიტყვის წარმოთქმაში არ არის გაწვეული. ლაპარაკობს ჩქარა, დიქცია ვერ არის ნათელი.

ორივე მომხსენებელი დაუსრულებელი ოვაციის საგანია მთელი საღამოს განმავლობაში.

დასასრულ, ნაჩვენები იქნა დიაპოზიტივები სამოილოვიჩის ახსნა - განმარტებით.

შ—ა.

მთავრობის კრიზისი ესტონეთში

მთავრობის შედგენა დაევალა გენერალს

რეველი, 15 ნოემბერი. ესტონეთის მთავრობის შედგენა დაევალა აგრარიების ფრაქციის წევრს გენერალ სოოტს. (ადს).

მემარჯვენეების დამარცხება

ბერლინი, 15 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის კონფერენციაზე ცეკას მიერ შეტანილ რეზოლუციას ხმა მისცა 960 დელეგატმა, მემარჯვენეთა რეზოლუციამ შეაგროვა 43 ხმა. (ადს)

ამხ. პერის საქმე

პარიზი, 15 ნოემბერი. გამასწორებელ სასამართლოში გაირჩა „ლიუმანიტე"-ს თანამშრომელის და „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტის პერის საქმე. პერის ბრალს სდებენ იმაში, რომ ის მოუწოდებდა ჯარისკაცებს, არ დამორჩილებოდნენ უფროსებს. განაჩენის გამოტანა ერთი კვირით გადადო (.ადს).

მღვდლების პროცესი

ბაქო, 16 ნოემბერი. დასრულდა ეკლესიის გარყვნილ მღვდელ - მოსამსახურეთა გასამართლების პროცესი, რომელიც 7 დღე გაგრძელდა.

პროცესის ცენტრალურ ფიგურებს, მათ შორის ხოკოლოვსკის და სამ მღვდელს აზერბეიჯანის უზენაესმა სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა თითოს ხუთ-ხუთი წლით. (ადს)

რუმინეთ-გერმანიის შეთანხმება

ვენა, 15 ნოემბერი. ბუქარესტში დაბრუნდნენ რუმინეთის ამ დელეგაციის ხელმძღვანელნი, რომელიც გაგზავნილი იყო ბერლინში ეკონომიური მოლაპარაკებისათვის.

პრესის ცნობებით, დელეგაციამ მიაღწია შეთანხმებას გერმანიასთან საფინანსო და ეკონომიურ საკითხებში. (ადს).

ლიტვა-შეერთ. შტატების ხელშეკრულება

კოვნო, 15 ნოემბერი. ვაშინგტონში ხელი მოაწერეს ლიტვასა და ჩრდილო-ამერიკის შეერთ. შტატებს შორის დადებულ ხელშეკრულებას. ხელშეკრულება შეეხება არბიტრაჟსა და შემარიგებელ პროცედურას.

მოუსავლობა ესტონეთში

რეველი, 15 ნოემბერი. მოხდა სამაზრო და სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორების თათბირი, რომელზედაც გამოირკვა, სოფლის მეურნეობის მეტად მძიმე მდგომარეობა. მრავალ მაზრებში სრული მოუსავლობაა. ზოგი მაზრა მოუსავლობისაგან დაზარალდა მხოლოდ ნაწილობრივ. არც საქონლის საკვები საკმაოა. მესაქონლეობა მცირდება. ზოგიერთ მაზრაში დაუთესავი დარჩა შემოდგომაზე დასათესი მიწები. მრავალ ადგილას გლეხებს პურის მოსავალი ეყოფა მხოლოდ რამდენსამე თვეს. (ადს).

ტყის ხანძარი

ბათომი, 16 ნოემბერი. 16 ნოემბერს, ღამით, მტირალის ტყეში (ჩაქვის რაიონი) ცეცხლი გაჩნდა, რომელიც დიდ მანძილზე მოედო ტყეს. ქობულეთსა და ჩაქვის აღმასკომებმა ენერგიული ზომები მიიღეს ცეცხლის ჩასაქრობად. ხანძარის ადგილას გაიგზავნენ ტყის მცველები და ჩაქვის სახალხო მამულის მილიცია. (ადს).

ქუთაისი, 16 ნოემბერი. 15 ნოემბერს, საღამოთი, ტყიბულიდან ექვსი ვერსის მანძილზე გამოურკვეველი მიზეზის გამო ტყეს ცეცხლი გაუჩნდა. ძლიერი ქარი ხელს უწყობდა ხანძარის გაფართოებას. ღამის 12 საათზე ტყიბულის მაღაროების მუშებისა და გლეხების ენერგიული მუშაობით შესაძლო გახდა ცეცხლის ჩაქრობა. საცხოვრებელი შენობები და წარმოება დაუზარალებულა. ქუთაისიდან ტყიბულში გაემგზავრა სპეციალური კომისია ცეცხლის გაჩენის მიზეზებისა და ზარალის გამოსარკვევად. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მზადდება ღალატი მუშების ზურგს უკან

მოსკოვი, 16 ნოემბერი. „პრავდა"-ს კორესპონდენტი გერმანიიდან იტყობინება შემდეგს:

გერმანელ რეფორმისტებმა გადასწყვიტეს ჩაახშონ რურის მუშების ბრძოლა. ყოველ ზომებს ხმარობენ, იმისათვის, რომ ინციდენტი მრეწველების გამარჯვებით დასრულდეს.

ბერლინიდან დიუსსელდორფში გაემგზავრა მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მრეწველებისა და პროფესიონალურ კავშირების მოლაპარაკებაში. მოლაპარაკების მსვლელობა მოცულია სრული საიდუმლოებით. ამრიგად, სურთ, რომ მუშები დააყენონ მომხდარი ფაქტის წინაშე.

კომპარტია ენერგიულ კამპანიას აწარმოებს რეფორმისტების მოღალატური მუშაობის წინააღმდეგ.

ამხ. გუსეინოვის სიტყვა საბიუჯეტო კომისიაში

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საკავშირო საბიუჯეტო კომისიის პლენუმის სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამიერ - კავკასიის წარმომადგენელი ამხ. გუსეინოვი, რომელმაც აღნიშნა ადგილობრივი ბიუჯეტის მძიმე მდგომარეობა ამიერ - კავკასიაში.

ორატორმა განაცხადა, რომ სუბვენცია ამიერ - კავკასიისათვის შეკვეცილია, და ეს მაშინ, როცა საშემოსავლო წყაროების მდგომარეობა მეტად რთულია. ის დავალებანი, რომელიც ეკისრება ამიერ - კავკასიის საფინანსო ორგანოებს გადასახადების დარგში, ამხ. გუსეინოვის სიტყვით, მეტად რთულია.

ცენტრი მოითხოვს ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებისაგან გააძლიერონ შემოსავალი ტყეებისაგან და ამასთან, ერთად, იძლევა სიტყვიერ დაპირებებს, რომ ყოველგვარ დახმარებას გაუწევს სატყეო მეურნეობას აღნიშნულ რესპუბლიკებში. სინამდვილეში კი ადგილი აქვს წინააღმდეგ სურათს. ამის საილიუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ მაგალითი საქართველოდან. საქართველოს ტყეების დაცვაზე, დაპირების თანახმად, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა გაიღოს 900 ათასი მანეთი. ნამდვილად კი ამ საქმეზე იხარჯება მხოლოდ 120 ათასი მანეთი. ასეთივე მდგომარეობაა ამიერ - კავკასიის ცალკე რესპუბლიკათა სატყეო მეურნეობის ფინანსიურად უზრუნველყოფის დარგში.

სპარსეთის გზათა სამინისტროს დელეგაცია მოემგზავრება თბილისში

მოსკოვი, 16 ნოემბერი. გაზეთ „იზვესტია"-ს კორესპონდენტი იტყობინება თეირანიდან, რომ სპარსეთის გზათა სამინისტრო გზავნის თბილისში სპეციალურ დელეგაციას, რომელსაც ევალება მოლაპარაკება აწარმოოს მთავრობასთან ვაგონებისა და ორთქლმავლების შეძენის შესახებ სპარსეთის რკინისგზებისათვის.

საჰაერო ხაზი მოსკოვი—თბილისი—ბაქო

მოსკოვი, 16 ნოემბერი. მომავალ 1929 წლის იანვარში გაიხსნება ახალი საჰაერო გზა მოსკოვი—თბილისი — ბაქო. ორი თვის განმავლობაში დასრულდება წინასწარი მუშაობა ხაზის გასახსნელად.

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომ-ტეტის პლენუმის რეზოლუციები

საბჭოების გადარჩევის შესახებ

მოისმინა რა ამხ. სუხიშვილის მოხსენება საბჭოების გადარჩევის მომავალი კამპანიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს:

I. რომ საბჭოების მომავალ ფართო საარჩევნო კამპანიას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და იგი ჩატარებულ უნდა იქნას, როგორც „საბჭოების მთელი მუშაობის, მთელი სახელმწიფო აპარატის გენერალური შემოწმება" საბჭოების შემდგომი გამოცოცხლების ლოზუნგით და მუშების, მოჯამაგირეების და სოფლის ღარიბი მოსახლეობის აქტივიზაციის ნიშნის ქვეშ.

II. საბჭოების გადარჩევის კამპანია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს იმ დაბრკოლებებთან დაკავშირებით, რომლებსაც განიცდის ჩვენი ქვეყანა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

„სოციალისტური მეურნეობის რიცხობრივ და ხარისხობრივ ზრდასთან ერთად, პროლეტარიატის ზრდასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ დიფერენციაციის ზრდას სოფლად, ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილ კლასთა (კულაკის და ნეპმანის) ზრდას".

III. 1927 წლის საარჩევნო კამპანიას დიდი მიღწევები ჰქონდა. მან გაამოძრავა მშრომელი მასები, პირველ რიგში, მუშების აქტივობის ზრდა, ხელი შეუწყო ღარიბი გლეხობის როლის გადიდებას არჩევნებში, ღარიბი და საშუალო გლეხების ბლოკის განმტკიცება და კულაკების იზოლაციას.

IV. მაგრამ 1927 წლის საარჩევნო კამპანიამ გამოამჟღავნა არსებითი დეფექტებიც. ასეთი დეფექტები იყო:

1). ზოგიერთ თემში გაფართოებით განმარტება ინსტრუქციებისა, როცა საარჩევნო უფლება წართმეულთა, კატეგორიაში ხვდებოდა საშუალო გლეხი, აგრეთვე ცალკე ფაქტები, როცა იმათ, ვისაც უნდა წართმეოდათ საარჩევნო უფლება, არა თუ არ ართმევენ ამ უფლებას, არამედ ისინი არჩევნებშიაც იღებდნენ მონაწილეობას და ზოგჯერ საბჭოებშიაც კი გადიოდნენ;

2) კლასობრივი ბრძოლის მომენტების სუსტი, არასაკმაოდ ღრმა და არა სრული გაშუქება წარსულ საარჩევნო კამპანიებში;

3). საარჩევნო - საანგარიშო კამპანიის არადამაკმაყოფილებლად ჩატარება, (განსაკუთრებით მაზრაში). საანგარიშო კამპანიის პერიოდში საბჭოს უბრალო წევრების არასაკმაოდ გამოყენება (როგორც ქალაქად, ისე სოფლად);

4). ქალების არასაკმაოდ ჩაბმა ხელისუფლების ორგანოებში იმ აქტივობასთან შედარებით, რომელიც მათ გამოიჩინეს საარჩევნო კამპანიის დროს;

5). ორგანიზაციულად შეუკავშირებელი ამომრჩევლების (შინამრეწველების, დიასახლისების, უმუშევრების და სხვ.) არა საკმაოდ ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში;

6). მოჯამაგირეების არასაკმაოდ ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში; განსაკუთრებით სათემო საბჭოების შემადგენლობაში;

7) საზოგადოებრივი ორგანიზაციების, განსაკუთრებით პროფკავშირების (მიწა-ტყის და განათლების მუშაკთა კავშირი სოფლად) და კოოპერაციის არასაკმაო მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში;

8). უყურადღებო, ხშირად ფორმალური დამოკიდებულება საჩივრებისადმი საარჩევნო უფლების წართმევის შესახებ და არასაკმაო ყურადღება სათემო საარჩევნო კომისიების შერჩევისადმი;

9). და, ბოლოს, არასაკმაო ყურადღება საარჩევნო კამპანიის ტექნიკისადმი (დიდი საარჩევნო უბნები, უწყებების ნაგვიანევი დაგზავნა, არჩევნებისათვის მოუხერხებელი ვადის დანიშვნა და სხვ.).

V. თბილისის კომიტეტის პლენუმი, აღნიშნავს, რა 1927 წლის საარჩევნო კამპანიის ამ ძირითად დეფექტებს, სთვლის, რომ საბჭოების მომავალ არჩევნებში როგორც ქალაქად, ისე სოფლად აშორებულ უნდა იქნას წარსული საარჩევნო კამპანიის ყველა ეს დეფექტები. გარდა ამისა, საჭიროა შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა:

1). მომავალი საარჩევნო კამპანია უნდა ჩატარდეს, როგორც ფართო, ღია, მასიური პოლიტიკური კამპანია.

„გადარჩევა უნდა გადაიქცეს ძლევამოსილ შეტევად ჩვენი კლასობრივი მტრების—კულაკის, ნეპმანის, ბიუროკრატის და მათი დამქაშების წინააღმდეგ. არა თავდაცვა კულაკებისა და მათი დამქაშების თავდასხმისაგან, არამედ შეტევაზე, გადასვლა, როგორც საერთო პოლიტიკური ხაზით, ისე კულაკების აქტივობის ცალკე გამოხატულების წინააღმდეგ სოფლად. თავდაცვის ნაცვლად შეტევა, რათა კულაკი კიდევ უფრო დავახევინოთ უკან, ხოლო საშუალო გლეხი სავსებით და მთლიანად გადავიყვანოთ პროლეტარიატის მხარეზე".

2). მთელი პარტორგანიზაციის, კერძოდ თემსაბჭოების ფრაქციების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მომავალ საარჩევნო კამპანიის დროს სავსებით უზრუნველყონ სწორი ხელმძღვანელობა ღარიბ გლეხობასა და მოჯამაგირეებზე, გააძლიერონ მუშაობა მათ შორის და ამაღლონ მათი როლი თემსაბჭოებში, რათა მომავალ საარჩევნო კამპანიის დროს ღარიბმა გლეხობამ და მოჯამაგირეებმა შესძლონ გაიყოლიონ საშუალო - გლეხობის ძირითადი მასა და მთლად მოუსპონ კულაკების კაპიტალისტურ ელემენტებს საბჭოებში მონაწილეობის მიღება და ამომრჩეველთა მასებზე გავლენის მოხდენის საშუალება.

3). მომავალი საარჩევნო კამპანია უნდა გადაიშალოს ფართო კრიტიკისა და თვითკრიტიკის პირობებში; საჭიროა მაქსიმალურად მოვიზიდოთ მუშათა და გლეხთა მასები ანგარიშებისა და დავალებების საქმიანი განხილვის ჩასატარებლად, რათა ამ გზით გავაძლიეროთ სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მასების აქტივობა.

4). მომავალ საარჩევნო კამპანიას საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი დაბრკოლებების დაძლევა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდეს ამოცანათა შესრულება (ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი იყო და რჩება სოციალისტური მშენებლობის ძირითად ლოზუნგად), ჩვენი სოფლის მეურნეობის გარდაქმნა კოლექტივიზაციის და საბჭოთა მეურნეობების და კოოპერატიულ მშენებლობის საფუძველზე.

5). ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ რყევასა და ქანაობას თბილისის ორგანიზაციამ უნდა დაუპირისპიროს სოფლისა და ქალაქის პროლეტარული მასების დარაზმული ფრონტი. საარჩევნო კამპანიის დროს გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს პროლეტარული კლასის ყველა ერთ მერყევ ელემენტების ქანაობას, რაც გამოწვეულია წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონის გავლენით, და ყოველგვარ ნაციონალისტურ ხულიგნობას, განსაკუთრებით ქართულ შოვინიზმს, ყველა იმ ანტი-საბჭოთა ელემენტებთან ერთად, რომელნიც ცდილობენ საარჩევნო კამპანიის ამა თუ იმ სახით გამოყენებას.

6). თბილისის კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს მთელ პარტორგანიზაციას, საარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, გადაჭრით ებრძოლოს ყოველგვარ დამახინჯებას, მოდუნებას, დაბნეულობას და პარტიული ხაზის დარღვევას.

თბილისის კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს მთელ პარტორგანიზაციას—მზად იყოს საბრძოლველად და შემჭიდროვოს თავისი რიგები იმისათვის, რომ საარჩევნო კამპანია, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ჩაატაროს ბოლშევიკურად, განამტკიცოს პარტიის პოლიტიკური პოზიცია, გააძლიეროს პროლეტარიატს, ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების პოზიციები მათი კავშირის განმტკიცებით საშუალო გლეხთან კულაკისა და ნეპმანის წინააღმდეგ გადამწყვეტი და დაუზოგავი ბრძოლის საფუძველზე.

საარჩევნო კამპანიის ამ ძირითად საერთო-პოლიტიკურ ამოცანების მიხედვით, თბილისის კომიტეტის პლენუმი საჭიროდ სცნობს:

1). კომპარტიისა და ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის რაიონულ კომიტეტების გაფართოებულ პლენუმებზე, თემის პარტკრებებზე და აგრეთვე კომპარტიისა და ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის, ქალაქისა და სოფლის ყველა უჯრედის კრებებზე დაისვას განსახილველად მოხსენებები მომავალ საარჩევნო კამპანიის შესახებ.

2). განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საარჩევნო კამპანიას მაზრაში, სადაც გაგზავნილ უნდა იქნეს მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

3). ქვედა საფეხურის პარტიულ ორგანიზაციებს თავის დროზე მიეცეს სათანადო დირექტივები.

4). წარმოებულ იქნეს პრესაში ფართო კამპანია საბჭოების მომავალ არჩევნების მნიშვნელობის განსამარტებლად.

5). მომავალ საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად ფართოდ იქნეს მოზიდული ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (პროფკავშირები, ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი, კოოპერაცია, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, განსაკუთრებით საშეფო საზოგადოებანი და სხვ.).

6). თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილოს და გადაჭრას საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხები.

ა.ლ.კ.კ. თბ. კომიტეტის მოხსენების გამო

ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის ორგანიზაცია საერთოდ ჯანსაღია და მტკიცედ იცავს ლენინურ ხაზს, ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციას უეჭველად აქვს მთელი რიგი მიღწევები: მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას შორის ანტისაბჭოთა განწყობილებებთან ბრძოლის, ტროცკისტულ ოპოზიციის ლიკვიდაციის, ორგანიზაციის ხარისხობრივი და რაოდენობითი ზრდის, პოლიტგანათლების საქმეში ერთგვარი წარმატების, ახალგაზრდა მუშების ინტერნაციონალური შეკავშირების განმტკიცების, საკავშირო მუშაობის ახალ ფორმებზე გადასვლის, წარმოებაში უფრო კონკრეტული მონაწილეობის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში ერთგვარი გარდატეხის დარგში. მაგრამ მის მუშაობაში მაინც აქვს ადგილი მთელ რიგ მნიშვნელოვან დეფექტებს, სახელდობრ:

1) საკავშირო მუშაობის ფორმები და მეთოდები ჯერ კიდევ თვალსაჩინოდ ჩამორჩებიან კომკავშირის მასების აქტივობისა და მოთხოვნილებების ზრდას. ორგანიზაციას ჯერ კიდევ არა აქვს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა მუშაობის ახალ კურსზე; სუსტად არის გამოყენებული კომკავშირელთა მასების თვითმოქმედება და ინიციატივა კავშირის პრაქტიკული მუშაობის ცალკე საკითხების ირგვლივ.

2) საკმაო არ არის ორგანიზაციაში ახალგაზრდა მუშებისა და მოჯამაგირეების მიღების ტემპი. ჯერ კიდევ დაძლეული არ არის, თუმცა თანდათან კლებულობს, ზრდის ზოგიერთი სიძნელე (კავშირიდან გასვლა, შემადგენლობის ცვალებადობა, „მკვდარი სულები" და სხვ.).

3) სუსტია აქტივის მომზადება: აქტივი საკმაოდ არ იცნობს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებებს აქტივის ნაწილი მოწყვეტილია მასებს და მასში ადგილი აქვს მთელ რიგ ავადმყოფურ მოვლენებს (ლოთობა, დაუდევრობა, მასების საჭიროებებისადმი უყურადღებობა და სხვ.).

4) ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მუშაობა ახალგაზრდა მუშების საწარმოო და პროფტექნიკური განათლების დარგში. სუსტია ახალგაზრდა მუშების თვითმოქმედება და ინიციატივა საწარმოო ცხოვრების ირგვლივ, ვინაიდან ადგილი არა აქვს ახალგაზრდობის ჯანსაღი მოთხოვნილებების აღრიცხვას; ხანგრძლივად ჰიანურდება ერთსა და იმავე თანრიგში დატოვება; საკმაოდ დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული ინდივიდუალური და ბრიგადული მომზადება მუშაობისა.

5) სოფლის უჯრედების მუშაობაში ადგილი აქვს დიდ დეფექტებს. კომკავშირის უჯრედები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ ღარიბ გლეხობასთან და მოჯამაგირეებთან წარმოებულ მუშაობაში, მათ სუსტად აქვთ შეთვისებული პარტიის ამოცანები და ღონისძიებები სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დარგში. ზოგიერთ უჯრედს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა არა აქვს კლასობრივ დიფერენციაციაზე სოფლად; მკაფიოდ არ ტარდება პარტიის ხაზი სოფლად (კულაკისადმი დათმობის შემთხვევები, კულაკური ელემენტების შეღწევა ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირში).

6) ინტერნაციონალურ აღზრდას ჯერ კიდევ საკმაო ადგილი არ უჭირავს კომკავშირის მუშაობის საერთო სისტემაში.

7) თვითკრიტიკის საკითხი სუსტად არის დამუშავებული კომკავშირის მასებში; ბევრ სასოფლო უჯრედს არც კი მიუღია ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას წერილი თვითკრიტიკის შესახებ.

ადგილი აქვს თვითკრიტიკის შიშს, ადგილ-ადგილ ჯანსაღი კრიტიკის ერთგვარ შევიწროვებას. სუსტია და სათანადოდ ჩამოუყალიბებელი „მსუბუქი კავალერიის" ჯგუფების მუშაობა.

8) პარტიის და კომკავშირის უჯრედები და სარაიონო კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობენ პიონერ-კოლექტივების მუშაობას.

აღნიშნავს რა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მუშაობის ზემოხსენებულ დეფექტებს, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი წინადადებას იძლევა:

1) ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტმა განაგრძოს სისტემატიური მუშაობა კომკავშირის ორგანიზაციის ლენინური მთლიანობის განსამტკიცებლად და აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა როგორც წვრილ-ბურჟუაზიული მერყეობისა და ქანაობის წინააღმდეგ ახალგაზრდობას შორის, ისე ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ, აგრეთვე პარტიისა და კომკავშირის სწორი ლენინური ხაზიდან ყოველგვარი გადახრისა და შემრიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ. ჩატარებულ იქნას ფართო კამპანია მემარჯვენე გადახრის ბუნების ახსნა-განმარტებისათვის, რათა კომკავშირელთა მასებს განემარტოს, რომ მემარჯვენე გადახრა წარმოადგენს პარტიის იმ გენერალური ხაზის გადასინჯვის ცდას, რომელიც დასახულია პარტიის მე-15 ყრილობის მიერ სოციალისტური მშენებლობის დარგში; კომკავშირელთა მასას უნდა განემარტოს აგრეთვე ის, რომ მემარჯვენე გადახრა სათანადოდ არ აფასებს კულაკურ საფრთხეს და არ სურს აწყენინოს კულაკს, ამ კამპანიით კომკავშირელებისათვის აშკარა უნდა გახდეს, რომ პარტიაში დაუშვებელია შემარიგებლობა ანტიბოლშევიკური განწყობილებანი და მთელი ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კომკავშირმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს პარტიას მემარჯვენე გადახრის აღმოფხვრის საქმეში.

2) საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას დირექტივა თვითკრიტიკის შესახებ ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს კომკავშირის მუშაობის სისტემაში. კომკავშირის მუშაობის გაცხოველება წარმოუდგენელია, თუ თვითკრიტიკა არ განვითარდა. ამისათვის საჭიროა: ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგების დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვითკრიტიკის საკითხს—პიროვნების განურჩევლად, ამ მუშაობის საფუძვლად აღებულ იქნას ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივები.

3) ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის ორგანიზაციაში ეძლევა ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა (წვრილ-ბურჟუაზიული წრიდან გამოსულ მოწაფეთა დიდი რაოდენობა, რთული ნაციონალური შემადგენლობა); ამ ხაზით გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მავნე და უცხო ნაციონალისტურ განწყობილებებს ახალგაზრდობაში.

ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტმა უნდა გააძლიეროს მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებისა და მოწაფეთა უჯრედებში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ინტერნაციონალურ აღზრდის საკითხს.

4) პარტხელმძღვანელობის გაძლიერების დარგში პარტიულმა კომიტეტებმა და უჯრედებმა შემდეგში ცოცხალი ყოველდღიური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კომკავშირის მუშაობას საკავშირო მუშაობის ცალკე საკითხების დამუშავებისა და გატარების საქმეში.

5) წინადადება მიეცეს ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტს უზრუნველყოს იმ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელება, რომლებიც დასახულია კომკავშირის ხელმძღვანელობის სისტემის რაციონალიზაციისათვის იმ ანგარიშით, რომ მოუცლელი ხელმძღვანელი მუშაკები თავიანთი სამუშაო დროის ნახევარს მაინც მუშაობდნენ ქვედა საფეხურის ორგანიზაციებში.

6) ახალგაზრდა მუშათა პროფტექნიკური განათლების დარგში საჭიროა ფართოდ მოეწყოს პროფტექნიკური წრეები, უნდა მოეწყოს ინდივიდუალური და საბრიგადო შეგირდების სწავლება პროგრამის მიხედვით, მიმდინარე წელს უნდა დამუშავდეს ახალგაზრდა მუშებისათვის საკვირაო უნივერსიტეტის დაარსების საკითხი.

7) ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ ჩატარებულ იქნას ფართო მუშაობა წინადადებათა შეკრებისათვის ხელშეკრულებათა იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ეხება ახალგაზრდა მუშებს. კატეგორიულად აეკრძალოს სამეურნეო ორგანიზაციებს სხვა კვალიფიციური მუშაკების მიღება, თუ საფაბრიკო-საქარხნო სკოლამ არ ამოწურა კვალიფიკაციის შევსება — ბრიგადირები.

8) განმტკიცებულ იქნას ის მიღწევები, რომლებსაც ადგილი აქვს ახალგაზრდა მუშათა მონაწილეობის ხაზით მრეწველობისა და ტრანსპორტის რაციონალიზაციისათვის წარმოებულ მუშაობაში, შემდეგში შემოღებულ იქნას თათბირები, საუბრები, სხვადასხვა წარმოებათა ახალგაზრდა მუშების მიერ ერთმანეთის გამოსაცდელის და სხვ. მოწყობა. მიზანშეწონილად ჩაითვალოს კომკავშირელთა სპეციალური ბრიგადების გამოყოფა დიდ საამქროებში. გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადოს საწარმოო კომისიებისა და თათბირების უყურადღებობას იმ წინადადებებისადმი, რომლებსაც აყენებენ ახალგაზრდა მუშები რაციონალიზაციის დარგში.

9) საჭიროა უფრო გაფართოვდეს „მსუბუქი კავალერიის" მუშაობა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან საბრძოლველად.

ამასთან ერთად უნდა გაძლიერდეს საბჭოთა უჯრედების მუშაობა. ამ უჯრედის ძირითად მუშაობას უნდა შეადგენდეს ნამდვილი მონაწილეობა თავისი დაწესებულებების ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და მუშაობა აპარატის რაციონალიზაციისათვის.

10) ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტმა უნდა გააძლიეროს ორგანიზაციაში მუშა და მოჯამაგირე ახალგაზრდობის მიღების ტემპი და გააუმჯობესოს აქტივის აღზრდელობითი მუშაობა, რისთვისაც უნდა მოაწყოს საუჯრედო აქტივის კურსები და სისტემატიური პოლიტიკური მუშაობა აქტივთან.

გაძლიერებულ უნდა იქნას კომკავშირის აქტივის დაწინაურება.

11) საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს სოფლის უჯრედების შემადგენლობის გულდასმით შემოწმებას, რათა გამორიცხულ იქნას სოციალურად უცხო ელემენტები.

უახლოეს დროში ახალგაზრდა ღარიბ და საშუალო გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის უნდა ჩატარდეს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა პარტიის პოლიტიკის შესახებ სოფლად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, კლასობრივ ბრძოლას სოფლად, აღებულ იქნას მტკიცე ხაზი კომკავშირელთა მეურნეობების კოლექტივიზაციისათვის და კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

12) წინადადება მიეცეს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტს დარაზმოს აქტივი საზოგადოებრივი აზრი პოლიტგანათლების საკითხების ირგვლივ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელმძღვანელი აქტივის მხრივ ყოველდღიური პრაქტიკული დახმარების გაწევა პოლიტგანათლების ქსელის განმტკიცებისა და ჩამოყალიბების საქმისათვის.

13) გაძლიერებულ იქნას კომკავშირის წევრთა სავალდებულო სამხედრო მეცადინეობა. ნორმალური მეცადინეობა დაწყებულ იქნას არა უგვიანეს ნოემბრის პირველი ნახევრისა.

ამასთან ერთად გაუმჯობესებულ იქნას ფიზკულტურის საქმის მდგომარეობა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომკავშირის წევრთა და ახალგაზრდა მუშათა ფართოდ ჩაბმას ფიზკულტურულ მოძრაობაში.

14) დამუშავებულ იქნას საკითხი პიონერორგანიზაციის შინაარსის გაუმჯობესების შესახებ; შემდეგში შემოღებულ იქნას მუშათა ბავშვების ბანაკის ყოველწლიური მოწყობა.

პროფ. რ. სამოილოვიჩის წერილი

ჩვენი ექსპედიციის თავგადასავალი

როდესაც „კრასინ"-ი ლენინგრადიდან გადიოდა, არავის ჩვენგანს ეჭვი არ შეჰქონდა, რომ ექსპედიცია გაიმარჯვებდა. ვიცოდით, რომ განვახორციელებდით იმ მიზანს, რომლის გულისთვისაც ჩვენ წინ მივდიოდით. ეს რწმენა არ გამოხატავდა პატივმოყვარეობისა ან თავმოწონების გრძნობას. არა, ჩვენ ვიცოდით, რომ ის მეთოდი, რომლის საშუალებითაც გვინდოდა დავხმარებოდით იმათ, ვინც მეცნიერებას თავის სიცოცხლეს სწირავდნენ, ყველაზე სწორი მეთოდია, ამ საქმეს ჩვენ მეცნიერულად მივუდგით. ჩვენ ვიცოდით პოლიარული ყინულების მდგომარეობა, ვიცოდით ის მიმდინარეობა, ის მეტეოროლოგიური პირობები, რომლებიც ჩვენ მოგველოდა. ყოველივე ეს მარტო ლიტერატურის მიხედვით არ ვიცოდით; კარგა ხნის განმავლობაში, მეტადრე უკანასკნელი წლების განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლება ასეთ არაჩვეულებრივ ყურადღებას აქცევს ყოველგვარ ექსპედიციისადმი ჩრდილოეთით. ჩვენ მივეჩვიეთ ნაოსნობას პოლიარულ ყინულებს შორის და ვიცოდით, თუ როგორ უნდა ვემუშავა. ვიცოდით აგრეთვე ის, რომ ჩვენი მიზნის განხორციელების ერთად-ერთ საშუალებას, ერთად-ერთ იარაღს წარმოადგენს მძლავრი ყინულის მჭრელი, რომელიც ლენინგრადის ნავსადგურის განკარგულებაში იმყოფებოდა. რამდენიმე დღის განმავლობაში მოეწყო უდიდესი ექსპედიცია. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ არაჩვეულებრივი დახმარების, იმ არაჩვეულებრივი ენერგიის წყალობით, რომელიც გამოიჩინა იტალიის ექსპედიციის დამხმარე კომიტეტმა. მან თავისი უდიდესი ავტორიტეტით, უდეკრეტოდ, ყოველგვარი დადგენილების გარეშე შექმნა არაჩვეულებრივი აღტყინება და დიდი თანაგრძნობა ჩვენი ექსპედიციისადმი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ გემზე გვყავდა 140 კაცი, რომ ჩვენ გვჭირდებოდა 3,000 ტონამდე ნახშირი, რომ ჩვენთვის საჭირო იყო სურსათ-სანოვაგის წლიური მარაგი და სხვა, მაშინ ადვილად გასაგები იქნება, რომ ყოველივე ამის უზრუნველყოფა მოვახერხეთ მხოლოდ მთელი საზოგადოებრიობის არაჩვეულებრივი დახმარების წყალობით.

მე დაწვრილებით არ დავახასიათებ ჩვენი ექსპედიციის თავგადასავალს. შევჩერდები მხოლოდ ჩვენი მუშაობის ყველაზე უფრო საინტერესო მომენტებზე.

როდესაც ჩრდილოეთისაკენ მივემგზავრებოდით, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო საკმაო ქვანახშირი. ბერგენში არაჩვეულებრივი სისწრაფით მოვიმარაგეთ კარდიფის ნახშირი, რომელიც ჩვენთვის აუცილებლად საჭირო იყო, ორი დღის შემდეგ ბერგენიდან გავედით და ჩრდილოეთისაკენ გავემართეთ. რაც შეიძლება ჩქარა უნდა მივსულიყავით ყინულებამდე, რომ დავხმარებოდით „იტალიის" ექსპედიციას.

ჩვენ სიხარულით შევედით ყინულებში, რომლებიც ჩვეულებრივ საშიშია ყველა სხვა გემისათვის, ყველა სხვა ექსპედიციისათვის. ჩვენთვის ყინულები სასურველ ხიდს წარმოადგენენ, რომლის საშუალებითაც უახლოესი გზით შეგვეძლო მივსულიყავით ჩვენს მიზანს. მაგრამ ისეთი მძლავრი ყინულისმჭრელისათვისაც კი, როგორიც „კრასინი"-ა, დაუძლეველი დაბრკოლებანი არსებობენ. „კრასინ"-ს წინსვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ყინულებს შუა მოიპოვება წყლის თუნდაც მცირე სივრცე. თუ ასეთი წყალი არ არის, „კრასინი" დიდის გაჭირვებით და ძალიან ნელა მიდის წინ.

იყო ისეთი მომენტი, როდესაც გემი, რომელიც გაშლილ წყალზე 12 მილს გადის, ე. ი. საათში 20 კილომეტრს, მხოლოდ ერთი კილომეტრით მიიწევდა წინ და მუდამ ყინულებს შორის იმყოფებოდა. „კრასინი" ამ ყინულებთან ბრძოლაში სახიფათოდ დაიჭრა. მას წაუხდა და დაუზიანდა თვალსაჩინო ნაწილები, მაგრამ ჩვენ ვთქვით: „უკან დახევა შეუძლებელიაო". ჩვენ ავამუშავეთ ის შესანიშნავი იარაღი, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო. მე ვგულისხმობ მფრინავ ნაწილს, რომელსაც შეადგენენ ჩვენი მეგობარი ამხ. ჩუხნოვსკი და მისი შესანიშნავი თანამშრომლები: ამხ. სტრაუბე, ალექსეევი და შელაგინი.

მათ ერთის მხრით უნდა მიეღწიათ იმ ადგილამდე, სადაც იტალიელთა ექსპედიციის ჯგუფი იყო, დაენახათ ისინი, თუ შესაძლებელი იქნებოდა გადაეგდოთ მათთვის სურსათი, ხოლო მეორეს მხრივ, უნდა შეემოწმებიათ, ყინულების მდგომარეობა და გამოერკვიათ, თუ რომელი მიმართულებით უნდა განეგრძო „კრასინ"-ს გზა. ჯერ მოხდა საცდელი ფრენა, რომელიც სრულიად შემთხვევით შეიძლებოდა უბედურებით დამთავრებულიყო. ერთმა საცურაომ ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო და მხოლოდ ჩვენი მფრინავების ბრწყინვალე ნიჭის წყალობით აეროპლანი მშვიდობიანად დაეშვა. ამ საცდელი გაფრენის შემდეგ მფრინავთა ჯგუფი წინ გაემართა, ჩვენ ვიცოდით, რომ მეტეოროლოგიური პირობები იმ დღეს საკმაოდ ხელშემწყობი არ იყო. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ჯგუფი. ის მაინც გაფრინდა.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ, „კრასინ"-ზე დარჩენილნი, ბევრად უფრო ცუდად ვგრძნობდით თავს, ვიდრე ჩვენი გაბედული მფრინავები ფოლადის ფრინველზე. ჩვენ შევედით ყინულისმჭრელის რადიოსადგურში, რათა მიგვეღო ცნობები, რომლებიც ჩუხნოვსკის უნდა გამოეგზავნა. აეროპლანიდან მიღებულ რადიო-ნიშნების ხმა, მე ვფიქრობ, საუკეთესო მუსიკა იყო, რომელიც კი ჩვენს სიცოცხლეში მოგვისმენია. ჩუხნოვსკიმ გვაცნობა:

„ჩვენ ლეი-სმიტის კონცხთან ვართო",—ეს არის შპიცბერგენის აღმოსავლეთი ნაწილი. შემდეგ: „ჩვენ უკან ვბრუნდებითო". გავიდა რამდენიმე ხანი, ნიშნებს ვეღარ ვიღებდით. შემდეგ ჩვენი უდიდესი მღელვარება გამოიწვია ერთმა სიტყვამ. ეს სიტყვა იყო „მალმგრენი". ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ ჩვენმა სახელოვანმა მფრინავებმა დაინახეს მალმგრენის ჯგუფი. მაგრამ ამ დროს კიდევ რაღაცამ შეუშალა ხელი გადმოცემას და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ გავიგეთ ერთი სიტყვა—„კარლოსი". ეს არის კარლოსის კუნძული, რომელიც აგრეთვე შპიცბერგენის აღმოსავლეთ ნაწილშია. ეხლა მივხვდით, რომ სადღაც კარლოსის კუნძულის მახლობლად ჩვენმა მფრინავებმა დაინახეს მალმგრენის ჯგუფი, საუბედუროთ, ამ დროს სქელმა ნისლმა დაფარა მთელი მიდამო, 200 მეტრის მანძილზე არაფრის დანახვა აღარ შეიძლებოდა. ჩვენ გავახურეთ ღუმელები, რათა მფრინავებს კომლით დაენახათ ყინულისმჭრელი. ჩვენს ყინულზე, ან, როგორც ვუწოდებდით, ყინულის აეროდრომზე, ცეცხლი წაუკიდეთ ზეთის კასრებს და დავანთეთ ვეებერთელა კოცონი. ვწვავდით ყველაფერს, რის დაწვაც კი შესაძლებელი იყო: ძველ ქურქებს, სხვა ტანსაცმელს და ყველაფერს, რაც ხელში გვხვდებოდა, იმ მიზნით, რომ კომლით დაგვენახებინა მფრინავებისათვის, თუ სად ვიყავით. მაგრამ ამაოდ—მფრინავები არ ჩანდნენ და არც რადიოთი გვატყობინებდნენ რამეს. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მათ გადმოგვცეს: „ნისლის გამო „კრასინ"-ისკენ გამოფრენა არ შეგვიძლია; ვეძებთ დასაშვებ ადგილს შვედი კუნძულის რაიონში". დიდი შიშით და მღელვარებით მოველოდით შემდეგ ნიშნებს. ოთხი საათის განმავლობაში,—დაუსრულებელი ოთხი საათის, რომელიც ჩვენს სიცოცხლეში არ დაგვავიწყდება,—აღარაფერი გაგვეგონა. ჩვენი რადისტები—ამხ. ეკშტეინი, იოდხინი და ბაკულინი, რომლებსაც არ შეიძლება არ მივესალმოთ იმ დაუღალავი სამსახურის გამო, რასაც ისინი გვიწევდნენ ექსპედიციის დროს,—ეძებდნენ ნიშნებს. ვუკვირდებით ამხ. იოდხინს, რომელიც გაფაციცებით უგდებს ყურს და ცდილობს დაიჭიროს რამე ნიშანი თვითმფრინავისაგან. ბოლოს, ჩვენდა საბედნიეროდ, ვატყობ სახეზე, რომ მან რაღაც დაიჭირა და აჩქარებით სწერს რადიო-ჟურნალში. შეშინებულებივით ვეცით ამ ჟურნალს და ვხედავთ, რომ იგი სწერს დეპეშას ჩუხნოვსკისას.

დავეშვით სავარძელზე, და პირველ წუთებში აღელვების გამო ვერ ვარჩევდით ამ ასოებს, რომლებსაც იოდხინი სწერდა. მაგრამ გავიგეთ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ დეპეშა გვატყობინებდა ჩვენი მფრინავების ჯანსაღად ყოფნას. შემდეგ წავიკითხეთ, რომ ისინი დაეშვნენ, თვითმფრინავმა მცირე ავარია განიცადა, მაგრამ მფრინავები კარგად არიან. დასასრულ, ჩუხნოვსკიმ თავისი დეპეშა დაამთავრა იმ სიტყვებით, რომლებიც ეხლა მთელმა მსოფლიომ იცის და რომლებიც სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენა, რადგან ჩვენ არც მოველოდით სხვა სიტყვებს ჩვენი ამხანაგებისაგან. იგი გადმოგვცემდა:

„**მალმგრენის ჯგუფის გადასარჩენად, ისინი ამა და ამ ადგილას იმყოფებიან. ჩვენთვის ნუ სწუხართო**".

გავსწიეთ წინ, პირველ ხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ იყო წუთი, როდესაც გავიფიქრეთ, რომ გადაულახავი დაბრკოლება გადაგვეღობება, სასწრაფოდ ვითათბირეთ ჩვენ სახელოვან კაპიტანთან და იმ თავდადებულ მეზღვაურებთან, რომლებსაც უნდა ვუმადლოდეთ წარმატებისათვის, და გადავსწყვიტეთ წავსულიყავით წინ. რამდენიმე საათის განმავლობაში მთელი ჩვენი ძალ-ღონით ვებრძოდით ყინულებს; მოველოდით რომ ამის შემდეგ გზა უფრო თავისუფალი იქნებოდა. ბოლოს, მივედით იმ ადგილას, რომელიც გვაჩვენა ჩუხნოვსკიმ, მაგრამ ამ რაიონში ვერავინ შევამჩნიეთ, რადგან მცურავ ყინულს ეს ჯგუფი დაეშორებინა ამ ადგილისაგან. დავიწყეთ ძებნა ამ რაიონში, გულდასმით ვათვალიერებდით ყოველ ყინულს. ბოლოს შტურმანმა ბრეინკოპფმა პირველმა დაინახა ცაპი და მარიანო. მოუთმენლად ველოდით, ვერ აგვიწერია იმ ადამიანების სიხარულის და ბედნიერებას, რომელნიც თავიანთ თავს დაღუპულად სთვლიდნენ და რომელთაც მოულოდნელად დაინახეს რაღაც ბუმბერაზი, რომელიც მათ მიადგა, როგორც გემი მიადგება ხოლმე ნავთსადგურს. ცაპი მხნედ იყო, ხოლო ავადმყოფი მარიანო იწვა ყინულზე, ხავშური ბედნიერებით იღიმებოდა, ხელს იქნევდა და ამით გამოხატავდა თავის სიხარულს, ბედნიერებას და მადლობას გადარჩენისათვის.

ჩვენი ეკიპაჟი ყინულზე ჩამოვიდა და დაეხმარა მათ გემზე ასვლის დროს. ცაპი თვითონ ავიდა, მარიანო კი ხელით ატანეს.

შემდეგ წავედით მეორე ჯგუფისაკენ—ვილიერისა და მისი თანამგზავრებისაკენ. აქ უფრო ადვილი იყო ყინულში გავლა. ქალაქში მცხოვრებისათვის ძნელი წარმოსადგენია, რა არის თვალუწვდენელი ყინულოვანი უდაბნო, სადაც არ მოიპოვება ცოცხალი არსება, სადაც მხოლოდ ყინულია.

მეტად ძნელია ადამიანების მოძებნა ასეთ უდაბნოში, თუნდაც რომ დანამდვილებით იცოდეთ ის ადგილი, სადაც ისინი იმყოფებიან, მიუხედავათ ამისა ჩვენმა შტურმანმა ლეგენდინმა შეამჩნია ჯერ ლუნდბორგის აეროპლანი, ხოლო შემდეგ ნობილეს, დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი კარავი, ნიშნის საშუალებით ვაცნობეთ ამ ხალხს, რომ შევამჩნიეთ ისინი და სწრაფად ვუახლოვდებით მათ. ზედ მივადექით იმ ყინულს, რომელზედაც ისინი იყვნენ და რომელიც გაცილებით უფრო დიდი იყო ცაპის და მარიანოს ყინულზე (ცაპი და მარიანო იმყოფებოდნენ ყინულზე, რომელსაც 8 მეტრის სიგანე და 10 მეტრის სიგრძე ჰქონდა; ვილიერის ჯგუფი იმყოფებოდა ყინულზე, რომლის სიგრძე 250 მეტრს უდრიდა, ხოლო სიგანე 100 მეტრს). მიუხედავად ამისა, ეს ჯგუფი მეტად საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყინული წყლით იყო დაფარული, იგი რამდენიმე ადგილას გაიბზარა. თამამად შეიძლება ვთქვა, რომ ჩვენ უკანასკნელ წუთში მივედით ამ ჯგუფთან.

როგორც აღვნიშნე, ზედ ყინულს მივადექით, ჩავუშვით საბარგო ტრაპი და ისე გადავედით ყინულზე, როგორც ხმელეთზე. ჩვენ, „კრასინ"-ზე მყოფნი, იმ დღეებში ჭეშმარიტად ბედნიერნი ვიყავით. მაშინვე ავუყვანეთ იტალიელები ყინულისმჭრელზე, ავიტანეთ დირიჟაბლ „იტალია"-ს ნაშთები, მათი კარავი და მთელი ის მცირეოდენი, მაგრამ მათთვის ძვირფასი ქონება, რომელიც ყინულზე იყო, საშუალება არ გვქონდა განვეგრძო შემდგომი ძებნა, ვინაიდან ჩვენმა ჰიდროპლანმა ავარია განიცადა; ყინულისმჭრელზე გვყავდა მარიანო, რომელსაც დაეწყო ფეხის განგრენა. ამასთან, იტალიის მთავრობა გვთხოვდა კინგსბეიში მიგვეყვანა იტალიელთა ექსპედიციის წევრები. ამიტომ ჩვენ გავემართეთ კინგსბეისაკენ, სადაც იტალიელები გადავეცით „ჩიტა-დი-მილანო"-ს.

გზაში ავუყვანეთ ჩვენი მფრინავები, რომლებიც ამ დროს კაპ-ვრედეხთან იყვნენ. როდესაც კინგსბეიში მივედით, „კრასინ"-ი წარმოადგენდა ყველა ეროვნების წარმომადგენელთა კრებულს. ბაქანზე და კაიუტ-კამპანიაში საუბრობდნენ რვა თუ ათ ენაზე. გაისმოდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, რუსული, შვედური, ნორვეგიული, ფინური, ესტონური და, დასასრულ, ლატვიური ლაპარაკი, ყველას მშვენივრად ესმოდა ერთმანეთის.

როდესაც იტალიელთა ჯგუფი გადავეცით ჩიტა-დი-მილანოს, უნდა შეგვეკეთებია გემი, რათა წავსულიყავით მესამე ჯგუფის საძებნელად. უნდა აღვნიშნო, რომ როგორც პირველი რეისის დროს, ისე მეორე მგზავრობაში ჩვენ დასახული გვქონდა ის ამოცანა, რომ მოგვეძებნა ჩვენთვის ძვირფასი ნორვეგიელი პოლიარული მკვლევარი როალდ ამუნდსენი, რომელსაც ყველა დიდათ აფასებს. ჩვენ გავემართეთ ნორვეგიისაკენ, უნდა შევსულიყავით სამხრეთ ნორვეგიის პატარა ქალაქ სტავანგერის დოკში, როდესაც ნორვეგიის ნაპირების გასწვრივ მივდიოდით ყოველი სახლიდან მეთევზეთა ყოველი სოფლიდან და როგორც ნორვეგიის, ისე სხვა ეროვნებათა გემებიდან დროშებით გვაძლევდნენ სალამს. რა თქმა უნდა ჩვენ ვამაყობდით, რომ გავაკეთეთ ჩვენი საბჭოთა კავშირის, ჩვენი ქვეყნისა სამშობლოს სასარგებლო საქმე. განსაკუთრებით არ შემიძლია არ აღვნიშნო საუცხოვო და გულთბილი შეხვედრა სტავანგერში. ნორვეგიელები, რომლებიც ბუნებით მშვენიერი მეზღვაურები არიან, რომლებმაც მოგვცეს მრავალი ისეთი სახელოვანი მკვლევარები, როგორც ნანსენი, სვერდრუპი, ამუნდსენი—ღირსეულად შეაფასეს „კრასინ"-ის მუშაობა. წინა დღით სტავანგერში შევხვდით საფრანგეთის ესკადრას. ესკადრის უფროსი ეწვია „კრასინ"-ს და საფრანგეთის მთავრობის და საფრანგეთის ფლოტის სახელით აღტაცება გამოთქვა „კრასინ"-ის მუშაობის გამო. როდესაც დავამთავრეთ გემის შეკეთება,—გავედით ზღვაში და შევიარეთ ბერგენს, სადაც მოსახლეობა კვლავ უდიდესი თანაგრძნობით შეგვხვდა.

ჩვენთვის ცხადი იყო, — და ამას არც ვმალავთ, — რომ მესამე ჯგუფისა და ამუნდსენის პოვნის იმედი მცირე იყო. მაგრამ ვფიქრობდით, რომ თუ არსებობს თუნდაც მცირედი შანსი მაინც მათ გადასარჩენად, ჩვენ უნდა წავიდეთ წინ და უნდა გავაკეთოთ ყოველივე ის, რაც შეგვიძლია. და აი, ჩვენც წავედით. ეს იყო აგვისტოს დამლევი, როცა ყინულის პირობები ჩრდილოეთში უფრო ხელსაყრელია, სამაგიეროდ კლიმატური პირობები — მეტად მძიმე იყო. ნორდკაპში შევჩერდით იმისათვის, რომ მოგვეცადა ჩვენი მფრინავებისათვის. 6 დღის განმავლობაში სასტიკი გრიგალი მძვინვარებდა. ვიდექით ლუზზე და სამივე მანქანით ვმუშაობდით, რომ გემი შეგვეკავებინა თავის ადგილზე. ცხადია, აეროპლანი ამ დროს ფრენა არ შეეძლო. როცა ქარი ჩადგა, მოგვესმა ჩვენი პროპელერების სასურველი ხმა და იმ დროს, როდესაც ყველა სხვა მფრინავებმა დასტოვა შპიცბერგენი, ჩვენი მფრინავები მოფრინდნენ ჩვენთან. ჩუხნოვსკი თავისი ამხანაგებით აქ ერთხელ კიდევ შეეცადა გაფრენილიყო წინ, მაგრამ ქარი კვლავ გაძლიერდა და გრიგალად გადაიქცა, გარდა ამისა, დაახლოებით 50 მილის სივრცეზე არსად არ მოსჩანდა ყინული, და მფრინავთა ჯგუფმა გადასწყვიტა უკან დაბრუნებულიყო.

აეროპლანი დავდეთ გემზე და წავედით ჩრდილოეთისაკენ. ვეძებდით მესამე ჯგუფს. მივედით 84°47'-მდე, ე. ი. იმ ადგილამდე, **სადაც ჯერ არც ერთი გემი არ მისულა.** მივდიოდით დიდ ყინულებს შორის, ტემპერატურა 11°-მდე აღწევდა, უკვე ჩნდებოდა ახალი ყინული სისქით 8 დიუმამდე. აღმოსავლეთისაკენ უნდა გვექნა პირი, ვინაიდან მესამე ჯგუფი მხოლოდ აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით შეიძლებოდა ვეძებნა. დავიწყეთ კარლის კუნძულამდე, შემდეგ კვლავ წავედით ჩრდილოეთისაკენ, იმ ლეგენდარული მიწისაკენ, რომელსაც 1707 წლიდან, ე. ი. 200 წლის განმავლობაში ეწოდებოდა ჯილესის მიწა და რომელიც ძალიან შორი მანძილიდან დაინახა მაკაროვმა — ჩვენმა ცნობილმა მეზღვაურმა, ხოლო 1925 წელს 80 მილის მანძილზე დაინახა, ინგლისელმა ვორსლეიმ. ჩვენ გადავსწყვიტეთ, მივსულიყავით ამ ადგილას, რადგან ყინულების მოძრაობას შეეძლო იტალიელები მიეყვანა ამ მიწამდე. **მაგრამ ეს მიწა არ აღმოჩნდა, იგი სულ არ არსებობდა.**

აქედან გავემართეთ ფრანც იოსების მიწის დასავლეთ ნაწილისაკენ. აქ გადავსწყვიტეთ, დაგვეტოვებია სურსათი და მოწყობილობა იმ შემთხვევისათვის, თუ გაჭირვებული იტალიელები მიაღწევდნენ ამ რაიონში. შემდეგ მივადექით ისეთ ადგილას რომელზედაც წინათ არავინ გადასულა. აქ შეჩერება საშიში იყო გემისათვისაც და ჩვენთვისაც, რადგან ეს იყო სავსებით გაშლილი ადგილი. ის იყო გადმოვტვირთეთ სურსათი და ხე-ტყის მასალა და გვინდოდა დაგვეწყო სახლის აგება, რომ ამოვარდა ძლიერი ქარი; ძლივს მოვასწარით ნაპირამდე და გემამდე მისვლა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მოვახერხეთ სურსათისა და ხე-ტყის მასალის დატოვება, და ის, ვინც იქ მოხვდება, თავისუფლად შეუძლია იცხოვროს მთელი წლის განმავლობაში.

22 სექტემბერს მივიღეთ ბრძანება — დავბრუნებულიყავით უკან.

არსებობს ჩვენი მუშაობის მეორე მხარე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ცნობილი და გამოქვეყნებული, — ეს არის ჩვენი ექსპედიციის სამეცნიერო მუშაობა. მთელი გზის განმავლობაში ჩვენ ვაწარმოებდით მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს. ჩვენმა გამოჩენილმა გეოფიზიკოსმა, ვ. ა. ბერეზკინმა თავის ზურგზე გადაიტანა მთელი მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მუშაობა. მან შეაგროვა მეტად ძვირფასი მასალა პოლიარული ზღვის ამ შორეული ნაწილების ოკეანოგრაფიის დარგში. მოვახდინეთ 37 ჰიდროლოგიური გაზომვა. გარდა ამისა, ვაწარმოებდით გეოლოგიურ მუშაობას. ყველა იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიყავით, დიდძალი გეოლოგიური მასალა შევაგროვეთ. ამ მუშაობას ვაწარმოებდით მე და ჩემი ახალგაზრდა თანაშემწე გეოლოგი ივანოვი. შევაგროვეთ მეტად ძვირფასი მასალა. ერთის სიტყვით, ჩვენ ვცდილობდით მეცნიერების სასარგებლოდ გაგვეკეთებინა ყოველივე ის, რაც შეგვეძლო.

მთელი ამ რთული მუშაობის ჩატარება ჩვენ შევძელით, ერთის მხრით, ჩვენ მეზღვაურთა შემადგენლობის მეოხებით, ხოლო მეორეს მხრით — ჩვენი მექანიკოსების პირადი შემადგენლობის მეოხებით. ეს არის უფროსი მექანიკოსი მიხეილ ივანეს ძე ერშოვი, რომელმაც შესძლო თავისი 11.000 ცხენის ძალის ალაგმვა, მაგრამ არც ეს იქნებოდა საკმაო, ჩვენი წრე, რომ ამხანაგურად, ძმურად არ შეკავშირებულიყო. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველანი ისიც, ვინც ხელმძღვანელობდა ექსპედიციას და ის ცეცხლფარეშიც, რომელიც 60 გრადუსი სითბოს ტემპერატურის დროს აცხურებდა გემის ქვაბებს,—ყველა ეხლა ერთნაირად ავეთდებით დიდ კულტურულ საქმეს.

Р. Самойлович

დღეს, შაბათს 17 ნოემბერს საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის შენობაში დანიშნულია

დელეგატ ქალების საზეიმო სხდომა

უჯრედის მდივნებთან და საფაბრიკო - საქარხნო და ადგილკომების წევრებთან ერთად მუშა და გლეხ-ქალთა პირველი ყრილობის ათი წლის იუბილეს ჩატარების გამო.

აღმშენებლობა სოფლად

აღმშენებლობითი მუშაობა სოფლად გაცხოველებით სწარმოებს—გლეხობა აშენებს სკოლების, სამკითხველოების და კლუბების შენობებს. — დიდ ჯიხაიში დამთავრდა სახალხო სახლის და სახერხი ქარხნის შენობების აგება.—სოფ. ვაკიჯვარში გლეხობამ ააგო სკოლის შენობა

სამაგალითო თემი

დიდი-ჯიხაიში, ქუთ. მაზრა

უკანასკნელ ხანებში დიდ-ჯიხაიშის თემში ძალზე გაცოცხლდა როგორც აღმშენებლობითი, ისე კულტურული საქმიანობა. დამთავრდა სახალხო სახლის აგება. აღმასკომის ინიციატივით აგებულ იქნა ხე-ტყის სახერხი ქარხანა. აღნიშნული ქარხანა შეუფერხებლად მუშაობს და დიდ სარგებლობას აძლევს როგორც ადგილობრივ გლეხობას, ისე ახლომდებარე თემებსაც. ბაზრის ქუჩები მოკირწყლულია, გაყავთ არხი, აგებულია სასაკლაოს შენობა. მოკლე ხანში დამთავრდება ტეხნიკუმის შენობაც. დამთავრდა აგრეთვე აღმასკომის შენობის შეკეთება და სწარმოებს მრავალი სხვა სამუშაოების შესრულებაც.

თემში გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი. მასში მოთავსებული წერილები ადგილობრივ თემის საჭირბოროტო საკითხებს ეხება, რისთვისაც კედლის გაზეთის მკითხველთა და კორესპონდენტთა რიცხვი სწრაფად იზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საკრედიტო ღარიბია და ის ვერ აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებას.

სხვა მრავალი კულტურული საქმიანობასთან ერთად, ხსენებულ თემმა შეიძინა სასულე ორკესტრი და დაიქირავა მისთვის ხელმძღვანელი.

დიდი-ჯიხაიშში არის კინოც, სადაც შეძლებისდაგვარად აჩვენებენ კინო-სურათებს. აგრეთვე თემში არსებობს სცენის მოყვარეთა წრე, რომლებიც დროგამოშვებით სდგამენ წარმოდგენებს. ამრიგად კულტურულ-აღმშენებლობითი დარგში თემის საქმიანობა სამაგალითოა.

ლ. ნ—ძე.

ჩვენი აღმშენებლობა

სოფ. გიორგიწმინდა, თბ. მაზრა

სოფელ გიორგიწმინდაში 400-ზე მეტი კომლი მცხოვრებია. ადგილობრივი გლეხობა ძირითადად უმთავრესად ხენა-თესვას, ხოლო ნაწილობრივ მევენახეობა-მესაქონლეობას. სოფელი შეძლების მხრივ საშუალოდ ჩაითვლება. მიუხედავად ამისა, აქ აღმშენებლობითი მუშაობა დღემდე ძალიან სუსტად სწარმოებდა. შეიძლება ითქვას სრულიადაც არა. ხსენებულ სოფელს არ ჰქონდა რიგიანი სკოლის შენობა და 300-ე მოსწავლეს უხდებოდა 2—3 მოქირავებულ ოთახში რამდენიმე წყებად მეცადინეობა. არც კოოპერატივი და სამკითხველოა მოთავსებული შესაფერ შენობაში.

სოფელი კულტურულად ძალზე ჩამორჩენილია. სათემო ხელისუფლება დღემდე ვერ უწევდა შესაფერ ხელმძღვანელობას. აკი ამიტომაც სოფელი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა თემ-აღმასკომის ხელმძღვანელების შესახებ. ასეთი მდგომარეობა შედარებით წარსულთან გამოკეთდა. ადგილობრივი სათემო ხელისუფლება უფრო მეტის ყურადღებით მოეკიდა სოფელს და მის აღმშენებლობითი საკითხებს, და აი მაგალითიც: 1926 წლიდან ადგილობრივმა პოლიტგანმა საქმით ბრძოლის შემდეგ მოამზადა გლეხობაში აზრი სამკითხველოსათვის ბინის აშენების შესახებ. ნაწილობრივ კიდეც მოზიდეს გლეხებმა ქვა-ქვიშა და სხვა საჭირო მასალა, მაგრამ რა გამოვიდა, ამ საქმეს ხელისუფლებამ ვერ მიაქცია ყურადღება. წელს ხელახლა წამოიჭრა საკითხი სამკითხველოს შენობის აგების შესახებ, მაგრამ სამკითხველოს შენობის მაგიერ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სკოლის შენობის აგება. ოქტომბერში საძირკველი ჩაეყარა სკოლის შენობას, რომლის ერთი ოთახი გამოყენებული იქნება აგრეთვე სამკითხველოსათვის.

ადგილობრივმა მასწავლებლობამ დიდი ენერგია გამოიჩინა ამ საქმის დაწყებისათვის.

ალ. ბუ—ლი.

ჩვენი სოფლის ავ-კარგი

სოფ. ვაკიჯვარი, გურია

სოფ. ვაკიჯვრის მცხოვრებთა რიცხვი 200 კომლს უდრის. აღმშენებლობა როგორც სხვა სოფლებში, ისე აქაც გაცხოველებით სწარმოებს. გლეხობამ ათწლეულისათვის ააგო ახალი შენობა, რომელიც დაუჯდა 10.000 მანეთი.

არსებობს კოოპერატივი, რომელიც გლეხობას დიდ სამსახურს უწევს. მასში მოიპოვება ყოველგვარი პირველი მოთხოვნილების საგნები. გლეხობაც გაერთიანებულია წევრებათ. მიმდინარე წელში გლეხობა განიცდიდა სიმინდის ნაკლებობას, მაგრამ კოოპერატივმა ეს საკითხი თავის დროზე მოაგვარა. მან ადრევე მოიმარაგა ჩრდილოეთიდან ჩამოტანილი სიმინდი და დაურიგა ღარიბ გლეხობას.

კოოპერატივის გვერდით ვილაც კერძო ვაჭარს აქვს ფართლეულობის სავაჭრო. რადგან კოოპერატივს ფართალი არ მოეპოვება, ამიტომ გლეხი კერძო ვაჭართან მიდის და მისი მსხვერპლი ხდება. კარგი იქნება, თუ კოოპერატივი პატარა საფართლოსაც გახსნის.

არსებობს სამკითხველოსთვის განსაკუთრებული შენობა, მაგრამ ის ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას და უმეტეს შემთხვევაში დაკეტილია. არ არის ჟურნალ-გაზეთები, ლიტერატურა და სხვ.

დვაბზუს თემის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას აქ ჩამოყალიბებული აქვს აგურისა და კრამიტის მკეთებელთა კოლექტივი. შიგ გაერთიანებული არის 8 გლეხი. ჯერ-ჯერობით კოლექტივის მიერ ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მაგრამ კოლექტივი განიცდის მატერიალურ სივიწროვეს. მას ესაჭიროება ფულადი დახმარება, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს საკრედიტო ამხანაგობამ.

სოფელი უფასო ექიმით სარგებლობს ცხემლის ხიდიდან და ბახვიდან, რომელიც სამოთხი კილომეტრით არის დაშორებული. ამის გამო სამედიცინო დახმარების საქმე შეფერხებულია.

ამ სოფლის წინსვლას აფერხებს აგრეთვე მდინარე ნატანებზე საფეხმავლო ხიდის უქონლობა. ამ საკითხის მოგვარებას ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც თემაღმასკომმა, ისე სამაზრო ხელისუფლებამაც.

ხ. ცინ—ლი.

ხელი შეუწყოთ სკოლის შენობის აგებას

ზედა-სიმონეთი, ქუთ. მაზრა

ორ წელზე მეტია, რაც ადგილობრივმა გლეხობამ განიზრახა თვითდაბეგვრის საშუალებით შვიდწლედისთვის შენობის აგება. ამ მიზნით გამოყოფილი იყო საამშენებლო კომისიაც, მაგრამ დღემდე ამ კომისიას თითქმის არაფერი არ გაუკეთებია.

სათემო საბჭომ, 26 აგვისტოს სხდომაზე გადაარჩია ეს კომისია, რომელშიდაც შეყვანილ იქნა ჩვენს თემზე მიმაგრებული ამხ. კანდელაკი გიორგაძე. ამხ. გიორგაძე უკვე შეუდგა სკოლის შენობის საფუძვლის ჩაყრას. მისი ინიციატივით თემში მოწყობილ იქნა დიდი საღამო-წარმოდგენა, სადაც მოწვეულ იყო ქუთაისიდან სასულე ორკესტრი და სატირა. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო და თემს დაუტოვა დაახლოებით 700 მანეთამდე შემოსავალი. ეს თანხა მთლიანად შვიდწლედის შენობის აგებას მოხმარდება. აგრეთვე სკოლის შენობის აგებისათვის სათემო საბჭომ გადასდო დამატებითი თანხებიც.

მუშაობა მალე დაიწყება, რისთვისაც საჭიროა ყველა ამხანაგებმა, რომლებიც გამოსული არიან ჩვენი თემიდან სხვადასხვა ქალაქებში სამუშაოდ, გაიღონ თავისი წვლილი და დაგვეხმარონ სკოლის შენობის აგებაში.

დუბლიკატი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ყოფ. არმაზის მონასტრის დაცვა

ვინაიდან ყოფ. არმაზის მონასტერი წარმოადგენს ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლს, საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსებული იქნეს კომისია თბილისის აღმასკომის და განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალება ადგილობრივ დაწვრილებით შეისწავლოს ყოფ. არმაზის მონასტერის, როგორც ისტორიული ძეგლის ეხლანდელი მდგომარეობა და შეიმუშაოს შესაფერი ღონისძიებები მის დასაცავად. ამავე კომისიას ევალება გამოარკვიოს, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იქნება ყოფ. არმაზის მონასტრის მახლობლად მუშათა დასასვენებელ სახლის აგება.

კერძო ამნისტიის შემფარდებელ კომისიაში

საქ. ცაკთან არსებულ კერძო ამნისტიის შემფარდებელ კომისიის წევრად არჩეული იქნა ამხ. დ. ფერაძე.

ნივთების ლატარია

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა საინფორმაციო მოხსენება ბავშთა დამხმარე კომისიის ფონდის გასაძლიერებლად ნივთების ლატარიის მოწყობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ლატარიისათვის სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემოწირულ ნივთებს შორის არის ისტორიული მნიშვნელობის და მხატვრულ - მეცნიერულ თვალსაზრისით ძვირფასი ნივთები.

პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსებული იქნეს კომისია ამხ. კ. ხოშტარიას, (თავმჯდომარე), ვ. ბერიძის და ს. კაკაბაძის შემადგენლობით, რომელსაც უნდა დაევალოს ლატარიისათვის შეგროვილ ნივთების შესწავლა-შეფასება და შესაფერი დასკვნების წარმოდგენა. ამავე კომისიას დაევალა შეისწავლოს საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში არსებულ ნივთების მნიშვნელობა მათი ისტორიულ - მხატვრულ და მეცნიერულ თვალსაზრისით.

ა. კ. სახკომსაბჭოში

ტარიფების შეთანხმება

ა. კ. რკინის გზების სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო თათბირს დაევალა მიმდინარე მტკვარსა და რიონზე მომქმედ სანაოსნო საზოგადოებათა ტარიფები შეუთანხმოს რკინის გზის ტარიფებს.

ლითონის ნამტვრევების შეგროვება

ლითონის ნამტვრევების შეგროვებისთვის ყოველმხრივ სადევნებლად ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ გამოყო ცენტრალური კომისია, რომელშიაც არჩეული არიან ამხ. ვარდანიანი (ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან), გაჯინსკი (ა. კ. ვაჭრობის კომისარიატ-დან), სტანსკი (ა. კ. პოლიტსამმართველოდან) გ. ჯავთარაძე (ა. კ. რკინის გზებიდან), რუმიანცევი („აზნავთ-დან"), რადჟუშევი (საკავშირო ლითონ სინდიკატიდან) და ჩილინგაროვი („რუდმეტალტორგი"-დან).

ტყავეულობის და ფართლის შემოზიდვა

ა.-კ. სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მომარაგების გეგმა შესრულებული იქნეს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ა.-კავკასიაში შემოზიდული იქნეს 585 ვაგონი ბამბის ფართლეული, 7.112.000 მანეთის შალის ქსოვილები, 990.000 მანეთის ტყავეული და 3.482.000 მანეთის ფეხსაცმელი.

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაევალა მიიღოს ზომები აღნიშნული საქონლის დროზე და შეუფერხებლად შემოსაზიდათ.

მებამბეობის გასაფართოებლად

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ა.-კ. მებამბეობის ძირითად ოპერატიულ ამოცანათ უნდა ჩაითვალოს ბამბის ნათესების სივრცის გადიდება 171.000 ჰექტარამდე. აქედან აზერბეიჯანში ნათესების სივრცე გაფართოებული უნდა იქნეს 144.000 ჰექტარამდე, სომხეთში 18.000 ჰექტარამდე და საქართველოში 9.000 ჰექტარამდე.

ამ მიზნით ა.-კ. სახკომსაბჭომ დაადგინა წყალთა მეურნეობის სამუშაოებისათვის გამოთხოვილი იქნეს საკავშირო თანხებიდან 15.980.000 მანეთი. გარდა ამისა აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობისთვის გამოთხოვილი იქნება გეგმის გარეშე 1.700.000 მან.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს და რესპუბლიკანურ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცათ მებამბეების მომარაგება აწარმოონ მტკიცე გეგმის თანახმად.

მებამბე გლეხებისათვის შემოზიდული უნდა იქნეს 2.780.000 ფუთი ხორბალი და 23 ვაგონი ფართალი. მებამბეთა მომარაგება უნდა დაიწყოს ნოემბრის დამლევიდან.

მებამბეებს ავანსები შეძლებისდაგვარათ უნდა მიეცეს ხორბლეულით.

საქ. სახკომსაბჭოში

სოფლისა და ტყის მეურნეობაში შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ

სოფლისა და ტყის მეურნეობაში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებათა თაობაზე მიწსახკომის, შრომის სახ. კომისარიატისა და ს. მ. უ. ს-ის დადგენილების პროექტის რედაქციის შემმუშავებელი კომისიის შემადგენლობა შემდეგნაირად შეიცვალა: ამხ. ბ. ქიქინაძის ნაცვლად დაინიშნა ამხ. ელბაქიანი, ხოლო ამხ. ათოევის ნაცვლად—ამხ. ს. თოდრია.

შვეიცარულ ყველის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ შვეიცარულ ყველის დასამზადებლად გამოყოფილი თანხა 75.000 მან. რაოდენობით განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: ბორჩალოს სამაზრო აღმასკომს—20000 მან., (საექსპორტო შვეიცარულ ყველის დასამზადებლად); ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს 10.000 მან. (საექსპორტო შვეიცარულ ყველის დასამზადებლად); დანარჩენ 45.000 მან. გადაეცა „სოფლის კავშირს", რომელსაც წინადადება მიეცა აღნიშნული თანხა განაწილოს თავის სისტემაში შემავალ ყველის დამმზადებელ არტელებს შორის.

ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების შენობის აგება

ნება მიეცა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს, რათა ტროპიკული სნეულებათა ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების შენობის ასაგები სამუშაოები იჯარით მისცეს საამშენებლო-საავტ. საზ-ბა „ოლტბაუგ"-ს.

საამშენებლო მასალის ბაზრის მომწესრიგებელი კომისია

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებული საამშენებლო მასალის ბაზრის მომწესრიგებელი მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის საქართველოს ეკონომიურ საბჭოს წარმომადგენლის კანდიდატათ დაინიშნა ეკ. საბჭოსთან არსებული საამშ.-სატეხ. კომიტეტის ინსპექტორი ინჟ. პეგუშინი.

მანქანების საცდელი სადგურის შენობის აგება ვაკეში

ვაკეში მანქანათა საცდელი სადგურის შენობის ასაგები ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდა 21.063 მან. 50 კაპ. რაოდენობით.

ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი ბათომში

აჭარისტანის სახკომსაბჭომ დაამტკიცა გეგმა, რომლის თანახმად აჭარისტანის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ბათომში უნდა ააგოს ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტი. ინსტიტუტის მოსაწყობად გადადებულია 65.000 მან.

ინსტიტუტის მოწყობილობის მეტი ნაწილი, რომლის ღირებულება შეადგენს რამდენიმე ათეულ ათას მანეთს, უკვე მიღებულია.

ინსტიტუტისათვის შენობის გამოსანახად გამოყოფილია კომისია ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის, ბათომის აღმასკომის, პროფსაბჭოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ჰიდრო-ელს'დგური სვანეთში

„ელექტროსელსტროის" თბილისის განყოფილებამ მოახდინა გამოკვლევები ზემო-სვანეთში ახალი ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ. სადგურის ასაგებ ადგილათ ამორჩეულია მდინარე ფუშკვერი, სოფ. მესტიასთან, სადაც მოთავსებულია სვანეთის მაზრის ცენტრი. სპეციალისტების აზრით ეს ადგილი ზედმიწევნით ხელსაყრელია ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ, რადგან ჯერ ერთი,—მდინარეს დიდი დაქანება აქვს და მეორეც—ზამთრობით მდინარე ამ ადგილას არ იყინება, ვინაიდან მომავალი სადგურის საგუბარის ზემოთ მდინარეს ერთვის ბუნებრივათ ცხელი წყაროები.

ზემო-სვანეთის ჰიდრო-ელსადგურს ექნება 330 ცხ. ძალა. სადგური სინათლეს მიაწოდებს ზემო-სვანეთის თითქმის ყველა მჭიდროთ დასახლებულ ადგილებს. სადგურიდან გაყვანილი იქნება ორი გადამცემი ხაზი—ერთი სოფ. ბეჩომდე და მეორე—სოფ. მულახამდე.

გარდა ამისა სადგური ენერგიას მიაწვდის 2 სახერხ ქარხანას და წისქვილებს.

„ელექტროსელსტროის" თბილისის განყოფილების ცნობით სადგურის აგება დაჯდება არა უმეტეს 135,000 მანეთისა. სადგურის ასაგებათ საჭირო წინასწარი სამუშაოები სავსებით არაა ჩატარებული. მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში განზრახულია უფრო დაწვრილებით იქნეს შესწავლილი ჰიდრო-ელსადგურის ასაგები რაიონი და დაიწყოს სადგურის საამშენებლო პროექტის დამუშავება.

ზემო-სვანეთში ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ ჩატარებული გამოკვლევების ყველა მასალები გადაეცა ს. მ. უ. ს. საელექტროფიკაციო განყოფილებას, სადაც ჩვენს თანამშრომელს სადგურის აგებასთან დაკავშირებით გადასცეს შემდეგი ცნობები:

ზემო-სვანეთის გეოგრაფიული და კლიმატიური პირობების გამო შეუძლებელი ხდება, რომ იქ გაყვანილ იქნეს ელექტრო-გადამცემი ხაზი ჰიდრო-ცენტრალიდან. საქართველოს ჰიდრო-ცენტრალი, როგორც ცნობილია მოეწყობა—ზაჰესის, რიონჰესის, აბჰესის და აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურების დაკავშირებით. ჰიდრო-ცენტრალიდან სვანეთში ელექტრო გადამცემი ხაზის გაყვანა ძალიან ძვირი დაჯდება და გარდა ამისა ზამთრის პერიოდში ხაზის მოვლა შეუძლებელი იქნება. მეორეს მხრივ ზემო-სვანეთში შეუძლებელი ხდება დიზელიანი ელსადგურის აგება, რადგან ადგილობრივ არ მოიპოვება საკმაო სათბობი მასალა, ხოლო მისი მიზიდვა სადგურის ენერგიას გააძვირებს. და ეხეც რომ არ იყოს ზამთრობით უგზოობის გამო, საწვავი მასალის მიზიდვა შეუძლებელია.

ერთად-ერთი საშუალება, რომ სვანეთში შესაძლებელი გახდეს იაფი ელექტრო ენერგიის მიღება, მდგომარეობს ადგილობრივ ჰიდრო-ელსადგურის აგებაში.

ზემო-სვანეთში ელექტრო-სადგურის აგება მნიშვნელოვან გარდატეხას მოახდენს სვანთა ყოფა-ცხოვრებაში და ხელს შეუწყობს სვანი გლეხის მეურნეობის განვითარებას.

ხიდი მდინარე ჭოროხზე

გზატკეცილების სამმართველომ შეადგინა 1915 წელში იმპერიალისტური ომის დროს მდ. ჭოროხზე აფეთქებულ დიდი რკინა-ტინობის ხიდის აღდგენის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

ვინაიდან ხიდის აფეთქების შემდეგ მდინარის კალაპოტი საგრძნობლად შეიცვალა, საჭირო ხდება ორი დიდი რკინა-ტინობის ესტოკადის აღდგენა, რომელთა სიგრძე უდრის 163 მეტრს, მისასვლელ გზების მოსაწყობათ საჭიროა ახალი ესტოკადის გაკეთება, რომლის სიგრძე უდრის 466 მეტრს, გარდა ამისა საჭიროა ნაპირების შეკეთება და სხვ.

შეკეთების შემდეგ ხიდს ექნება 791 მეტრი სიგრძე.

არჩეულია საამშენებლო კომიტეტი ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით.

ხიდის აღდგენა დაჯდება 358.000 მანეთი. (ადს).

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა ფართოვდება.—ქ. გაგრის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებში არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. — რკინის გზის დამზღვევ სალაროში ადგილი აქვს უთავბოლო მუშაობას. — ორთქლმავალთა მოძრაობა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე დღითი-დღე იზრდება

ინსტრუქტორ-მემანქანეების შტატი ზედმეტია

კაზანცევის ავტომატიური მუხრუჭების ხმარება სახავთო საგზო მატარებლებზე დაიწყო ჯერ კიდევ 1925 წლის დასასრულიდან. დღეს საექსპორტო ნავთეულობა ბაქოდან-ბათომამდე გადააქვთ საგზო ავტომუხრუჭებიან მატარებლებით. ცისტერნების ავტომუხრუჭებით მოწყობამ დიდი ნაყოფი მოიტანა: თუ უწინ 14—15 დღე-ღამე სჭირდებოდა საგზო მატარებლების მიმობრუნებას ბაქოდან ბათომამდე, დღეს ეს დრო შემცირებულია და მატარებლების მიმობრუნებას უნდა მხოლოდ 10 დღე. მატარებლების წონაც გადიდებულია 75 ათასი ფუთიდან 90 ათას ფუთამდე.

გარდა ამისა მემუხრუჭეთა რიცხვის შემცირებამ ავტომუხრუჭებიან მატარებლებზე, რკ. გზებს წლიურად ერთ მილიონ მანეთზე მეტი სარგებლობა მისცა.

კაზანცევის საჰაერო ორსადენიანი მუხრუჭები ძალზე მარტივი კონსტრუქციისაა; ამ მუხრუჭების შესასწავლად არსებობს მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციებისა; ისე, რომ ამ მუხრუჭებს დღეს ყველა იცნობს ვისაც კი მასთან რაიმე დამოკიდებულება აქვს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, რატომღაც რკ. გზების სამმართველო არ იღებს ზომებს, რათა ავტომუხრუჭების სარგებლიანობა სავსებით და მთლიანად იქნას გამოყენებული.

დღემდე ხაშურიდან მარელისამდე ინიშნებიან მემანქანე ინსტრუქტორები; ე. ი. თითო ორთქლმავალზე ინიშნება ორი მემანქანე, რაც სრულიად დაუშვებელია: თუ მემანქანემ თავის საქმე არ იცის—იმის მატარებლების ნდობა ყოვლად მიუღებელია. ასეთები სულაც უნდა მოიხსნან სამუშაოდან. მეორეც მატარებლები სურამის უღელტეხილზე იშვება წინადან მიბმულ სამი მძლავრი ორთქლმავლით და მიყვება 12—14 მემუხრუჭე-კონდუქტორი. ამრიგათ სრული და ზედმეტია ორთქლმავლებზე დამატებით ინსტრუქტორების დანიშვნა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მოიხსნა აჭერ სადენზე გადასახურავი ონკანები.

აღნიშნულ ინსტრუქტორების მოხსნის შესახებ ჯერ კიდევ 1927 წ. 17 ოქტომბერს, წევის დარგის სპეციალისტებმაც კი მიიღეს დადგენილება. ამის შემდეგ ხაშურის საუბნო კავშირმაც აღძრა ეს საკითხი, რკ. გზების სამმართველოს წინაშე, მაგრამ დღემდე ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა; მემანქანე-ინსტრუქტორებზე სრულიად მიზანშეუწონლათ იხარჯება წლიურათ 21.000 მან.

გარდა ამისა საჭიროა დაისვას საკითხი მემუხრუჭეთა 30 პროც. შემცირების შესახებ რადგან დღევანდელი პირობები ამის სრულ შესაძლებლობას იძლევიან. სამი მძლავრი ორთქლმავალი და 30 პროც. მუხრუჭების და მუხრუჭება. სრულიათ თავისუფლად ჩაუშვებენ უღელტეხილზე მატარებელს, თუ მატარებლის სვლა არ იქნება 20 კილომეტრზე მეტი საათში. მემუხრუჭეთა შემცირება რკინის გზას წლიურათ 20.000 მან. შემატებს. ამავე დროს მემუხრუჭეების სხვა საქმეზე გამოყენება უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს.

შინაური

ორთქლმავალთა მოძრაობა ფართოვდება

(თბ. დეპო)

თბილისის დეპო ყოველ თვე საშუალო შეკეთებიდან უშვებს ექვს ორთქლმავალს, წინად კი ხუთზე მეტს ვერ უშვებდა. დეპოში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული შრომის ნაყოფიერების ზრდას და ნაწარმოების თვითღირებულების დაწევას. წარსულ წლებში მუშა-ხელოსნები ნარდათ მუშაობდნენ და დაყოფილი იყვნენ ბრიგადებათ. წელს კი ყველა მუშა ცალკე მუშაობს დათვითეული მათგანი ცდილობს რაც შეიძლება მეტი პროდუქტი დაამზადოს. ამან პროდუქციის ხარისხიც გააუმჯობესა და მისი თვითღირებულებაც საგრძნობლადაც გაიაფა.

მოწყობილია გუნდი, რომელსაც ევალება ორთქლმავლების გარეცხა გაგრძელებულია ორთქლმავლებისათვის გასარბენი მანძილი თბილ.-დან განჯამდე და სხ. წინად ორთქლმავლების შეკეთება თბილისის დეპოს გარდა სწარმოებდა აგრეთვე სხვა პატარ-პატარა დეპოებშიაც, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებს იწვევდა. დღეს ორთქლმავლების შეკეთება მხოლოდ თბილისში სწარმოებს. უკანასკნელად სავაგონო პარკი გამოყოფილი იქნა დეპოდან, ამის გამო სავაგონო პარკში საკმაოდ ბევრი მუშა-მოსამსახურე აღმოჩნდა ზედმეტი. საჭირო იყო მათი შემცირება. მაგრამ ადმინისტრაციამ ისინი სამტარებლო სამუშევარზე გადაიყვანა ამით ადმინისტრაციამ გარდა ამისა, რომ გააუმჯობესა მუშაობა და შეამცირა ადმინისტრატიული ხარჯები, მუშა-მოსამსახურეებსაც მისცა სამუშაო.

ორთქლმავალთა მოძრაობა თანდათან იზრდება. ასე მაგალითად 1927—28 წ. თითო ორთქლმავალს გაურბენია 5.323.555 კილომეტრი საერთოდ შედარებით წინანდელთან ორთქლმავლის გარბენა ყოველ თვიურად გადიდებულია 80.000 კილომეტრით. ეს უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ შედარებით წარსულ წლებთან, ბევრად არის გაუმჯობესებული როგორც ორთქლმავლების შეკეთება, ისე მათი მოძრაობაც.

რაც შეეხება დეპოს კანტორის მუშაობას უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში აქაც სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული საქმე. გატარებულია ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება და მოწესრიგებულია საერთოდ მუშაობა, მაგრამ ზედმეტ მუშაობას ბოლო მაინც არ მოეღო. ამ ზედმეტ მუშაობას კი ჰქმნის რკინის გზების სამმართველოს და პროფკავშირის უდროო განკარგულებები. გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ ახალ გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი გაუგებარია. ეს გარემოებაც ხელს უწყობს ზედმეტ სამუშაოების აუცილებლობას. შემდეგში ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

კოლხიდელი.

გაგრის ხე-ტყის ქარხანა

(წერილი აფხაზეთიდან)

ქ. გაგრის ხე-ტყის სახერხი ქარხანა უკანასკნელ ხანამდე დეფიციტიანი იყო. ნედლი მასალის უქონლობის გამო ქარხანა ნახევარზე მეტი გაჩერებული იყო და მუშებიც აუტანელ გაჭირვებას განიცდიდნენ. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ვერ იქნა და ქარხანას ვერ დაუნიშნეს საქმის მცოდნე ხელმძღვანელი; უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოხსნილ იქნა 7 დირექტორი. ასეთ პირობებში რასაკვირველია, რომ შეუძლებელი იქნებოდა ქარხნის საქმიანობის გაუმჯობესება.

დღეს ეს მდგომარეობა გამოსწორებულია ქარხანას განაგებს საკმაოდ გამოცდილი მუშაკი, რომელიც არავითარ ძალას არ ზოგავს ქარხნისა და მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თუ წინად ქარხანა მთელი წლის განმავლობაში ხერხავდა 50 ათას კუბ. საჟენ ხეს, დღეს ერთ თვეში ხერხავს ამდენს. ქარხანაში მუშაობს 250 მუშა-მოსამსახურე და 140 უღელი ხარკამეჩი ხეების გადასაზიდ-გადმოსაზიდავად. შრომის ნაყოფიერება დღე-დღეზე იზრდება და ნაწარმოების ხარისხიც უმჯობესდება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშაობის პირობები ქარხანაში ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ მოგვარებული; ქარხანაში, მუშაობა სწარმოებს ორ ცვლად. ისე, რომ თითეულ მუშას 8 საათის მაგიერ 16 საათი უხდება მუშაობა. გარდა ამისა მუშები ძალიან ცუდ ბინებში ცხოვრობენ. მათი ბინების წინ გამართულია ღორებისა და სხვა საქონლის საბანაო, საიდანაც საშინელი შმორის სუნი ადის სახლებში.

კულტურული მუშაობაც მუშებში საგრძნობლად მოისუსტებს; ქარხანასთან მოწყობილია მუშათა კლუბი, მაგრამ ჯერ ერთი, რომ კლუბს არა აქვს კარები და მეორეც არავითარი კულტურული მუშაობა კლუბში არ სწარმოებს. საჭიროა ამ კლუბის შესაფერისად მოწყობა და სხვადასხვა წრეების ჩამოყალიბება, კლუბთან. ადგილობრივმა პროფორგანომ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ქარხნის მუშა.

შავი-ქვის წარმოება ფართოვდება

(ჭიათურა)

კონცესიონერების მიერ შეჩერებული წარმოება ფეხს იდგამს. შავი-ქვის ტრესტის გამგეობამ ენერგიულათ მოკიდა ხელი საქმეს. დაწყებულია რამდენიმე ქარხნის წინასწარი შეკეთება და საერთოდ ყველა ქარხნის მომზადება მომავალი მუშაობისათვის. მოსახლეობა იღვიძებს, მუშები და ღარიბესი გლეხების სიხარულს საზღვარი არ აქვს. ისინი ერთის მხრივ ხედავენ, რომ მათ სამუშევრები ექნებათ და მეორე მხრივ უხარიათ და ზეიმობენ იმას, რომ წარმოება ჩვენს ხელისუფლების ხელშია, და წარმოების სათავეში კიდევ მათთვის კარგად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ძველი რევოლიუციონერი და ძველი კომუნისტია.

თანდათან ბოლო ელება პროტექციონიზმს. ჭიათურის წარმოების ისტორიას ჯერ არ ახსოვს მუშა-მოსამსახურეთა ასეთი სამართლიანი განაწილება. აქ მთავარ როლს ბირჟა და სამთო-მადნო კავშირის მიერ გამოყოფილი კომისია თამაშობს. პირველ რიგში სამუშევრებზე ეწყობიან ქალაქის უმუშევარი მუშები, კავშირის წევრები, შემდეგ ისეთი მუშები, რომლებსაც სოფელში აქვთ მიწა და მას შემდეგ კი სხვები.

ახლო მომავალში ჭიათურა დიდ საწარმოო ცენტრად გადაიქცევა, მხოლოდ საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ სანამ წარმოება არ გაფართოებულა სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ უმუშევრებს, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან მიუჩინონ სათანადო ადგილი.

ს. სიხარულიძე.

უყაირათობა რკ. გზის დამზღვევ სალაროში

ფინკონტროლის გამოკვლევით, რკინის გზის დამზღვევ სალაროში 1927-28 საბიუჯეტო წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მრავალ უყაირათობას და ავანსების უთავბოლოდ გაცემას, როგორც დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებზე, ისე გარეშე პირებზედაც. ყოველგვარი ავანსების გაცემა სასტიკად აკრძალულია, მაგრამ რკ. გზის დამზღვევი სალარო მაინც აძლევს ექ. კილურაძეს ავანსს 300 მან. რაოდენობით.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეზედ გაცემულია 5.259 მან. 14 კაპ. რომელიც დღესაც არ არის განაღდებული. დებიტორების და კრედიტორების ანგარიშის მიხედვით ჯერ კიდევ 1927 წლის ოქტომბრისათვის სხვადასხვა პირებზე ირიცხებოდა დავალიანება 2.982 მან. და 90 კაპ. აქედან: ვინმე ასლანოვზე ირიცხება—108 მან., მწაცაკანოვზე—200 მან., მალხაზიანზე—50 მან., სახ პოლიტსამართველოს რკ. გზის განყოფილების თანამშრ. 100 მან., ნემსაძეზე (რკ. გზის თბ. საავადმყოფოს მთ. ექიმი) 56 მან. მამედოვზე—50 მან., ზუბიევზე—120 მან., სიდენოვზე—112 მან., სარდლიშვილზე—[illegible] მან., ალიმბაროვზე—482 მან., ლაკოზსკიზე—100 მან., ფრანგიშვილზე—60 მან., ინჟ. ჩარკამეზე—90 მან., ექ. ჭელიძეზე—175 მან. თბ. საუბნო კომიტეტზე— 207 მან. და 42 კ. ხაშურის საუბნო კომიტეტზე—164 მან. და 28 კაპ., სამტრედიის საუბნო კომიტეტზე—138 მან. და 27 კაპ., ბათომის საუბ. კომიტეტზე—138 მან. და 28 კაპ., განჯის საუბ. კომიტ.—138 მან. და 28 კაპ, ლენინაკანის საუბ. კომიტეტზე—207 მან. 42 ., აკიმოვის სახელობის სახელოსნოზე 200 მან. და სხვა.

აღნიშნული თანხა დღესაც არ არის განაღდებული და მისი დიდი ნაწილი გაუნაღდებელ დავალიანებათ უნდა იქნას მიჩნეული.

აღსანიშნავია კიდევ, რომ კარაკლისის დასასვ. სახლში გაყიდეს ერთი ცხენი ვინმე მათევოსიანზე ნისიად, და 180 მან. ცხენის ფასი დღესაც არ არის განაღდებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამზღვევ სალაროს დღემდე არ შეუტანია საბინაო ფონდის ანარიცხი 236.568—90 კაპ. რაოდენობით აღნიშნული თანხის ნაწილი მართალია, მოხმარდა ლიბანის სანატორიუმის დამთავრებას. მაგრამ ეს ნებას არ გვაძლევს ვთქვათ, რომ საბინაო ფონდი მოხმარდა დანიშნულებას.

მომავალში საბინაო ფონდი თავის დროზე უნდა იგზავნებოდეს დანიშნულებისამებრ.

პ. ჩ—ძე.

ახალგაზრდათა შორის მომუშავეთა კონფერენცია

მეორე დღე

გუშინ, დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. **დავიდიანის** მოხსენება პროფკავშირში გაერთიანებულ ახალგაზრდებს შორის მუშაობის შესახებ.

პროფკავშირებში გაერთიანებულ ახალგაზრდებს შორის მუშაობა

წინა წლებში პროფკავშირების ხაზით მოწვეული ყრილობები—ამბობს მომხსენებელი—საჭიროთ სთვლიდენ ახალგაზრდებს შორის მუშაობის გაძლიერებას. ამ მიზნით გადაწყდა კომკავშირის წარმომადგენლობის ინსტიტუტის შექმნა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებთან და ცენტრალურ გამგეობებთან. იმ თავითვე გადაწყვეტილი იყო აგრეთვე, რომ ახალგაზრდათა შორის მუშაობის დარგში ყოფილიყო სრული შეთანხმება და კონტაქტი კავშირის ცენტრალურ გამგეობებსა და წარმომადგენლებს შორის, მაგრამ ახალგაზრდობის წარმომადგენლობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის ზოგიერთ კავშირებში თავი იჩინა სრულმა გულგრილობამ ინსტიტუტისადმი. ზოგიერთ პროფორგანიზაციის უარყოფითი დამოკიდებულება იქამდი მივიდა, რომ უმჯობესად სცნობენ წარმომადგენლობის გაუქმებას და მის ნაცვლად ტეხნიკური მუშაკის დაქირავებას. გულგრილობა ახალგაზრდათა შორის მუშაობისადმი დღემდე გრძელდება, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ ამ კონფერენციას არ ესწრებიან ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლები. მიუხედავად ასეთი პასივობისა ცენტრალური გამგეობის მხრით, მუშაობამ ახალგაზრდებს შორის საკმაო ნაყოფი გამოიღო. ახალგარზდების კვალიფიკაცია პროფესიონალურ მომზადების დარგში იმდენად ამაღლდა, რომ მათ ირჩევენ არა მარტო, როგორც კომკავშირის წარმომადგენლებს, არამედ როგორც გაწვრთნილსა და საუკეთესო პროფკავშირთა მუშაკებს. მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ კვალიფიკაციის ამაღლება საყოველთაო მოვლენა იყოს. არის ადგილები, სადაც ახალგაზრდა პროფმუშაკთა მომზადების დონე დაბალია მიზეზი ის არის, რომ პროფმუშაობისათვის გამოყოფილ ახალგაზრდებს ხშირად სცვლიან, გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე და მათ საკმაო დრო არ რჩება, რომ შესაფერად მოემზადონ და გაიწვრთნან. ამიერიდან მიღებული უნდა იქნას ზომები, რომ ახალგაზრდებს [illegible] მუშაობა პროფხაზით არჩევნებიდან არჩევნებამდი მაინც.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ახალგაზრდების პროფესიონალური ინტერესების დაცვის საკითხზე და ამბობს რომ ამ მხრივ მიღწევები თვალსაჩინოა. ხელფასის საერთო დონე გაიზარდა, შრომის პირობები გაუმჯობესდა, კულტურული მუშაობა გაძლიერებულია. მაგრამ კიდევ ბევრი რამ რჩება ამ დარგში გასაკეთებელი. მაგ. [illegible] დრომდი შეგირდები კავშირის წევრათ ხდებიან მხოლოდ ერთი წლის მუშაობის შემდეგ, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს საერთო ხაზს. მით უმეტეს დაუშვებელია [illegible] შეგირდობის მხრით სწავლის [illegible] გაივლის. [illegible] შინა-მრეწველთა შორის. ბევრი [illegible] მხარეები აქვს სატარიფო მუშაობასაც. [illegible] შეგირდების [illegible] ისეთი მუხლები, რომელიც საჭირო არ არის. რადგან ამ მუხლებით გათვალისწინებული [illegible] ახალგაზრდათა ხელფასის თუ შრომის პირობების გასაუმჯობესებლად [illegible] კოლხელშეკრულებებში, რომელთა დასადებათ ახლო მომავალში დაიწყება კამპანია, შეტანილ უნდა იქნეს მუხლები, რომელნიც ახალგაზრდათა ნივთიერ მდგომარეობას, მათი შრომის პირობების უფრო მეტად გააუმჯობესებს, ვიდრე ამას შრომის კანონმდებლობა გულისხმობს. ავიღოთ მაგ. ახალგაზრდობის ჯავშნის საკითხი. ჯავშნის რაოდენობა არ შეიძლება ყველა წარმოებისათვის სტაბილიური დარჩეს. ჩვენში თანდათან ვითარდება მრეწველობის სხვადასხვა დარგები და ჯავშნი, რომელიც რამდენიმე წლის წინად იყო გამომუშავებული, დღეს მრავალ წარმოებისათვის გამოუდეგარია. მაგ., საფეიქრო მრეწველობა წინ წავიდა და მისთვის ახალგაზრდობის ჯავშნის 4 პროცენტით განსაზღვრა. ამ მრეწველობის მდგომარეობას უკვე აღარ შეეფერება. უნდა გადიდდეს ჯავშნის რაოდენობა ყველა იმ დარგებისათვის, რომელთა განვითარება მოსალოდნელია ამ უახლოეს წლებისათვის.

ახალგაზრდობის მტკივნეული საკითხია უკვე მომზადებულ ახალგაზრდა მუშაკების ჯავშნიდან მოხსნა და მათი გადარიცხვა მტკიცე შტატში. ბევრ ახალგაზრდებს ჯავშნი განვლილი აქვთ, მაგრამ მათი გადაყვანა საშტატო თანამდებობაზე დიდხანს გვიანდება. ეს საკითხიც მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში კოლხელშეკრულებათა დადების დროს.

ახალგაზრდობის მომზადებაში, მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდ როლს თამაშობს ოსტატი. წინანდელი კოლხელშეკრულებები ითვალისწინებდნენ იმ ოსტატის დაჯილდოებას, რომელიც განსაკუთრებით ყურადღებით ეპყრობა ახალგაზრდების გაწვრთნას. ეხლაც ეს მუხლი აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი კოლხელშეკრულებებში. მარტო ოსტატი ვერ ასწევს ახალგაზრდის კვალიფიკაციას, თუ ახალგაზრდა განსაკუთრებული მუყაითობით, მოვალეობის სრული შეგნებით არ ეპყრობა დაკისრებულ საქმეს. იმის გამოსარკვევად, თუ როგორია შრომის დისციპლინა ჩვენს ახალგაზრდებში, მათი მოპყრობა საწარმოო იარაღებისადმი, ჩავატარეთ კონკურსი, რომელმაც ძალიან კარგი ნაყოფი გამოიღო. ასეთ კონკურსებს ჩვენ მომავალშიაც ვერ აუხვევთ გვერდს.

ჩვენი ახალგაზრდობის ერთი საჭირბოროტო საკითხია პროფტეხნიკური განათლება. ის სკოლები, ან დროებითი კურსები, რომელიც ახალგაზრდებისთვის არის მოწყობილი, საჭიროებას ვერ აკმაყოფილებენ. ამ დარგში აუცილებლად დაცული უნდა იქნეს გეგმიანობა. პროფტეხნიკური სკოლები ან კურსები უნდა გაიხსნას იმ დარგებისათვის, სადაც მეტი მუშა-ხელია საჭირო.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ახალგაზრდათა შორის მუშაობის საკითხს და ამბობს, რომ ამ დარგში უფრო მეტი აქტივობის გამოჩენაა საჭირო. ახალგაზრდა ქალების რიცხვი წარმოებებში უნდა გადიდდეს და ამავე დროს მათ უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომ ახალგაზრდა ქალები შერჩნენ იმ ხელობას, რომელსაც ირჩევენ. ეხება რა შრომის დაცვის მდგომარეობას, მომხსენებელი საჭიროდ სცნობს, რომ შრომის ინსპექტორებმა გააძლიერონ თავისი ზედამხედველობა განსაკუთრებით იმ შეგირდების მიმართ, რომელნიც კერძო ხელოსნებთან და შინა-მრეწველებთან მუშაობენ, რადგან არსად ისე არ ირღვევა შრომის კანონმდებლობა, როგორც კერძო სახელოსნოებსა და საწარმოებში.

კამათი

ამხ. დავიდოვის მოხსენების შესახებ ილაპარაკა 12 დელეგატმა. თითქმის ყველა ორატორი ერთხმად აღნიშნავდა, რომ წერილობითი და ცოცხალი კავშირი ადგილებზე მომუშავე ამხანაგებთან სუსტია. ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლები არა თუ არ მიდიან პროვინციებში, არამედ თბილისშიაც კი არ ეცნობიან ახალგაზრდათა შორის მომუშავეების საქმიანობას. ცოცხალ კავშირს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ საქმისთვის ხშირად გამოყოფილი არიან მოუმზადებელი ამხანაგები, რომელნიც ვერ ერკვევიან ცირკულიარებსა და დირექტივებში.

მოუგვარებელია არა თუ ახალგაზრდა მუშების დაწინაურების, არამედ მათი საშტატო თანამდებობაზე გადარიცხვის საქმე. ზოგიერთი საწარმოების ადმინისტრატორები უმჯობესათ სცნობენ შრომის ბირჟიდან გამოიწვიონ სრულიად უცოდინარი მუშა, ვიდრე თავის საწარმოში სამუშაო მისცენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში კურსდამთავრებულს, ან ჯავშნზე ნამყოფ ახალგაზრდას, ეს იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთა კვალიფიკაცია მაღალია, კატეგორიაც მეტი იქნება, მაშასადამე მათ ჯამაგირი მეტი უნდა მიეცეს. ყურადღება არ ექცევა აგრეთვე ახალგაზრდების წინ წაწევას, მათთვის კატეგორიების გადიდებას, რადგან ბევრი ადმინისტრატორი ვერ შეგუებია იმას, რომ ახალგაზრდის ხელფასი მოზრდილი მუშის ხელფასს გაუთანაბრდეს. ახალგაზრდობის დაწინაურებას საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ეწინააღმდეგებიან იმ მოსაზრებით, თითქოს ახალგაზრდა მუშაკს ავტორიტეტი არ ექნებაო.

ორატორები მოითხოვენ აგრეთვე მეტი ყურადღება მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას და ოსტატებსა და შეგირდებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას. ზოგიერთი ორატორი აღნიშნავს ახალგაზრდა მუშათა ხელფასის სიჭრელეს. ერთ და იმავე სამუშაოზე ახალგაზრდები სხვადასხვა ადგილზე არათანაბარ ხელფასს ღებულობენ. შემდეგ ორატორები შეეხენ ახალგაზრდობის შრომის პირობებს და ერთხმად მოითხოვეს, რომ გაძლიერდეს მუშაობა კერძო საწარმოებში მომუშავე ახალგაზრდებს შორის, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი კავშირის წევრები. ასეთივე ენერგიულ მოთხოვნას აყენებს დელეგატთა უმრავლესობა ახალგაზრდა მუშა-ქალების საწარმოებზე მიმაგრების საკითხში. ისინი საჭიროდ სცნობენ, რომ დაცულ იქნეს საწარმოებზე მისამაგრებელ ახალგაზრდა ქალთა ნორმა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში თანდათან მცირდება. მათი აზრით ქალებისათვის უნდა შეიქმნეს შრომის ისეთი პირობები, რომელიც აიძულებს მათ წარმოებაში მუშაობა არჩიონ საოჯახო-სამეურნეო საქმიანობას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: მუაზარაშვილმა (გორი), ლაზარევმა (ბორჯომი), თავართქილაძემ (ბათომი) კაფმანმა (თბ. რკინისგზის სახელოსნოები) ჯავახიშვილმა, სიმონიშვილმა (თბ. არსენალი), მარკმანმა (პროფსაბჭო), გველესიანმა (შორაპნის მაზ.), თალაკვაძემ (პროფსაბჭო) მჭედლიძემ (აჭარისტანი), დგებუაძემ (სენაკის მაზრა) და ვარლამიშვილმა (კომკავშირის ცეკა).

ფოსტა-ტელეგრაფის საქმე ა.-კავკასიაში

ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველო ა.-კავკასიაში ფოსტა - ტელეგრაფის საქმის გასაუმჯობესებლად წელს შეუდგება დიდ საამშენებლო მუშაობას.

ამ სამუშაოთა შორის ყველაზე უფრო დიდ მნიშვნელოვანათ უნდა ჩაითვალოს ორი დიდი საქალაქო ავტომატიური სატელეფონო სადგურის მოწყობა: თბილისსა და ბაქოში. თბილისი ავტომატიურ ტელეფონის სადგურის მოწყობაზე წელს დაიხარჯება 1.400.000 მანეთი. ბაქოს ავტომატიურ ტელეფონის სადგურის მოწყობაზე—1.600.000 მან.

განზრახულია აგრეთვე თბილის-ერევანის ტელეგრაფისა და ტელეფონის პირდაპირი მაგისტრალის მოწყობა, რა მიზნითაც ხარჯთაღრიცხვით გადადებულია 340.000 მანეთი. უკვე დაწყებულია ბაქო-ევლახის ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზის გაყვანა.

ქუთაისსა და განჯაში გაყვანილი იქნება საქალაქო ტელეფონის ახალი ქსელი. ახალი ქსელის გასაყვანად გადადებულია: ქუთაისისათვის — 75.000 მანეთი და განჯისათვის—60.000 მანეთი, განზრახულია აგრეთვე ლენინაკნის, ოზურგეთის და ქუბის (აზერბ.) მაზრების ტელეფონიზაცია. ხაშურში, შორაპანში, ოზურგეთში, ქემდანიში და კარაკლისში აგებული იქნება ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების ახალი შენობები.

ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველომ დაადგინა ააშენოს ახალი შენობები ბაქოსა და თბილისის რკ.-გზის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებისათვის.

საერთოთ ფოსტა-ტელეგრაფის საქმის გაუმჯობესების საქმეზე წელს ამიერ-კავკასიაში დახარჯული იქნება 5.070.000 მან. (საქართველოში—2.280.000 მან., აზერბეიჯანში—2.182.000 მანეთი და სომხეთში—593.000 მანეთი).

ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი და გასავალი

ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველომ ჯამი გაუკეთა გასულ საოპერაციო წლის ფინანსიური ოპერაციების, როგორც შემოსავლის, აგრეთვე გასავლის ნაწილს.

მთელ ამიერ-კავკასიაში-საოლქო სამმართველოს შემოსვლია—7.357.000 მანეთი, აქედან საქართველოში—3.510.000 მანეთი, აზერბეიჯანში—3.237,000 მანეთი და სომხეთში-610.000 მანეთი.

მთელი შემოსავლიდან ტელეგრაფის შემოსავალი შეადგენს—1.985.000 მანეთს, ტელეფონის შემოსავალი—1.482.000 მანეთს და ფოსტის შემოსავალი—3.890.000 მანეთს.

მიმდინარე სამეურნეო წლის ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევია 8.175.000 მან. რაოდენობით ისე რომ შემოსავალი ნავარაუდევია თითქმის ერთი მილიონით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ხარჯთაღრიცხვით გასავალი შეადგენს 11.708.000 მანეთს. აქედან 5.070.000 მან. ნავარაუდევია კაპიტალურ ხარჯებისათვის. თბილისისა და ბაქოს ავტომატიური ტელეფონის სადგურების მოსაწყობად საკავშირო სახკომსაბჭო ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველოს აძლევს სესხს 1.760.000 მანეთის რაოდენობით.

ამხ. საკიანის გამოგონება

ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის თანამშრომელმა საკიანმა გამოიგონა ავტომატიური სასწორი დაზღვეული კორესპონდენციის ასაწონათ და ავტომატიური პიუპიტრი დეპეშებისათვის, მათი აპარატებით გადაცემის დროს.

ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველოს საექსპერტო კომისიამ სცნო, რომ ამხ. საკიანის გამოგონებას შეუძლია ფოსტა-ტელეგრაფს მოუტანოს საგრძნობი ეკონომია.

საერთაშორისო სატუბერკულოზო კონგრესი

ამ დღეებში რომიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს დელეგატი ტუბერკულოზის საერთაშორისო კონგრესზე დოც. ი. აბაკელია, რომელმაც კონგრესის მუშაობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— საერთაშორისო სატუბერკულოზო კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა რომში. კონგრესმა იმუშავა 5 დღე. ამ ხნის განმავლობაში კონგრესზე გაკეთებულ იქნა რამოდენიმე მოხსენება ტუბერკულოზთან ბრძოლის საკითხებზე. უმთავრესი საკითხები, რომლებზედაც კონგრესმა შეაჩერა თავისი ყურადღება — ეს იყო: ბრძოლა ტუბერკულოზთან სოფლად, ქირურგიული ტუბერკულოზი და ბავშთა ტუბერკულოზი.

საბჭოთა კავშირიდან კონგრესს დაესწრო 4 დელეგატი: რუსეთიდან, უკრაინიდან, საქართველოდან და ა.-კ. რკინის გზებიდან.

კონგრესის დახურვის შემდეგ დელეგატების სხვადასხვა ჯგუფებმა დაათვალიერეს იტალიის სანატორიუმები, სამკურნალო დაწესებულებები, გაეცნენ წითელი ჯვრის მუშაობას და სხ.

პირადათ მე დაინტერესებული ვიყავი ტუბერკულოზიანთა სანატორიუმების მუშაობასთან გაცნობით და დედათა და ბავშთა დაცვის საქმით. უნდა ვაღიარო აშკარად, რომ თუმცა იტალიის სანატორიუმები პირველხარისხოვან სანატორიუმათ ითვლება ევროპაში, მაგრამ საქართველოს სანატორიუმები მათ არ ჩამორჩება. არც მოწყობილობით, არც ადგილმდებარეობით და არც მკურნალობის მეთოდებით.

კონგრესს სულ დაესწრო 39 ქვეყნის წარმომადგენელი.

საბჭოთა მომავალი არჩევნები

დადგენილება № 84.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ცენტრალური დაწესებულებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ საბჭოთა არჩევნებისათვის დახმარების გაწევის შესახებ

იმ მიზნით, რომ მომავალი (1928—1929 წლის) საბჭოთა არჩევნების წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, თვით არჩევნების წარმოება და არჩევნების შედეგების გამოკვლევა ორგანიზაციულ-ტეხნიკური მხრით წარმატებით იქნეს ჩატარებული, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს ქვემოდ ჩამოთვლილ ორგანოებს, საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის 30 მუხლის თანახმად, მიაწოდონ საქალაქო, სარაიონო, სათემო, ან სასოფლო საარჩევნო კომისიებს კუთვნილებისამებრ ცნობები:

ა) სასამართლო ორგანოებმა—იმ პირთა შესახებ, რომელნიც სასამართლოს განაჩენით უფლება აყრილი არიან, ან ვისზედაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი მათი განდევნის შესახებ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან;

ბ) საფინანსო ორგანოებმა იმ პირების მიერ საშემოსავლო და სარეწაო გადასახადის გასტუმრების შესახებ, ვინც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს მოგების გამოსარჩენად. ან ვინც არაშრომითი შემოსავლით ცხოვრობს. აგრეთვე იმ პირთა მიერ პატენტების აღების შესახებ, ვინც კერძო ვაჭრობას და აგრეთვე სავაჭრო და საკომერციო შუამავლობას ეწევა;

გ) დამზღვევმა სალაროებმა—იმ პირთა მიერ დაზღვევის თანხების შეტანის შესახებ, ვინც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს მოგების გამოსარჩენად;

დ) სამეურვეო ორგანოებმა — იმ სრულწლოვან მოქალაქეთა შესახებ, რომელთათვისაც დაწესებულია მეურვეობა ან მზრუნველობა;

და ე) ჯანმრთელობის ორგანოებმა —იმათ შესახებ, ვინც სულით ავადმყოფათ ან ჭკუანაკლებად იქნება ცნობილი.

2. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს დაევალება ხელმძღვანელობა გაუწიონ საარჩევნო კომისიებს არჩევნების საარიცხვო ფორმების სისწორით შედგენის საქმეში. გარდა ამისა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სტატისტიკური განყოფილება ვალდებულია შეკრიფოს, წესრიგში მოიყვანოს და დაამუშაოს არჩევნების შედეგების აღრიცხვის ყველა მასალა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელობით.

3. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით შეიმუშაონ და მათ ქვემდებარე ორგანოებს მიაწოდონ 1-ლ მუხლში გათვალისწინებული ცნობების შეკრებისა და საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემის წესები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი

„წერა-კითხვის" საზოგადოების კვირეულისათვის

დადგენილება № 85

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

„წერა კითხვის" საზოგადოების კვირეულის ჩატარების შესახებ

„წერა-კითხვის" საზოგადოების მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი მიზნებისა და იდეების პოპულიარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს „წერა-კითხვის" საზოგადოებას მოაწყოს საქართველოს სსრ-კის ტერიტორიაზე კვირეული 1928 წ. ნოემბრის 24-დან 30-დე თანჩართვით შემდეგ მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე:

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში „წერა-კითხვის" საზოგადოებას ნებადართული აქვს:

ა) მოაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან: ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებათა სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრების სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. დაიბეგროს ნოემბრის 24—30-მდე თანჩართვით „წერა-კითხვის" საზოგადოების სასარგებლოდ:

ა) სპეციალური გამოსაღებით ყოველგვარ გასართობსა და სანახაობებზე (თეატრი, კინო, ცირკი, დოღი და სხვ.) შესასვლელი ბილეთები, ბილეთების ღირებულების 10%-ს რაოდენობით;

ბ) სპეციალური გამოსაღებით ყველა რესტორანისა, სასტუმროს და სასადილოს ბრუნვა ერთი კვირის საშუალო ბრუნვის 10%-ს რაოდენობით;

გ) სპეციალური გამოსაღებით აბანოებში ცალკე ნომრების სარგებლობით მიღებული შემოსავალი ნიხრით დაწესებული ღირებულების 10%-ის რაოდენობით.

4. წინადადება მიეცეს თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს გამოუშვას კვირეულის განმავლობაში მთავარი ხაზებით მოძრაობისათვის ტრამვაის ორი ვაგონი, რომლის მთელი შემოსავალიც გადასცეს „წერა-კითხვის" საზოგადოებას.

5. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს „წერა-კითხვის" საზოგადოების საამისოდ ცალკე მოწყობილი კვირეულის ჩამტარებელი კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ი. ვარძიელი.

1928 წლ. ნოემბრის 13.
თბილისი—სასახლე.

ა.-კ. პროფსაბჭოში

სომხეთის პროფკავშირთა საგანგებო ყრილობა

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს დადგენილების თანახმად სომხეთის პროფკავშირთა საგანგებო ყრილობა მოწვეულია 18 ნოემბრისათვის. ა. კ. პროფსაბჭოდან ყრილობას დაესწრება ამხ. ხარაბაძე.

საკავშირო ეკონომთათბირი

ამხ. ხარაბაძის ნაცვლად საკავშირო მასიურ ეკონომთათბირზე მონაწილეობის მიღება დაევალა ამჟამად მოსკოვში მყოფ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მდივანს ამხ. **შეფტელს.**

ა. კ. პროფსაბჭოს წარმომადგენელი ა. კ. რადიოსაბჭოში

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს წარმომადგენლად ა. კ. რადიო-საბჭოში გამოყოფილია ამხ. ხოჯამირიანი.

საქ. პროფკავშირთა მე-7 ყრილობა

საქ. პროფკავშირთა მე-7 ყრილობის მოწვევის დღეთ ა. კ. პროფსაბჭომ დაამტკიცა 20 ნოემბერი.

ამასთანავე დაადგინა სთხოვოს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს გამოგზავნოს ყრილობაზე პრეზიდიუმის წევრი, სათანადო მოხსენებების გასაკეთებლად.

ახალი საშუალება მალარიის წინააღმდეგ

პროფ. ს. ვირსალაძისა და ექ. ს. კანდელაკის მოხსენება

პლაზმოხინი და მისი მნიშვნელობა მალარიის მკურნალობაში

15 ნოემბერს გაიმართა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა პროფ. ს. ვირსალაძის და ექ. ს. კანდელაკის მოხსენებანი ახალი პრეპარატით—პლაზმოხინით მალარიის მკურნალობის შესახებ.

პროფ. ს. ვირსალაძის მოხსენება

უკანასკნელი მსოფლიო ომის შემდეგ მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად ქიმიური დამუშავების გზით აღმოჩენილი იქნა მრავალი ქინაქინის მსგავსი პრეპარატები და მათ შორის პლაზმოხინიც. ვინაიდან მცენარიდან მიღებული ქინაქინა გადიდებულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა და თანაც ძვირი ჯდებოდა, ქიმიკოსები შეეცადნენ, სინტეთიური გზით მიეღოთ ისეთი ნივთიერება, რომელიც ქინა-ქინის მაგიერობას გასწევდა. და მართლაც, გერმანიაში აღმოჩენილი იქნა პლაზმოხინი, რომელიც გერმანელი მეცნიერების მიერ იქნა შესწავლილი, როგორც ლაბორატორიულად, ისე კლინიკურად. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში პლაზმოხინით მკურნალობა გატარებულია 3000 ავადმყოფზედა შედეგი ამ მკურნალობისა ფრიად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. გამოირკვა რომ პლაზმოხინი მალარიის ზოგიერთ ფორმებზე უფრო ენერგიულად მოქმედებს, ვიდრე ქინაქინა და ამავე დროს პლაზმოხინის სამკურნალო დოზაც ნაკლებია საჭირო. პირადად მომხსენებელს პლაზმოხინით მკურნალობა გაუტარებია 94 ავადმყოფზე. მისი დაკვირვებით პლაზმოხინი ძალიან კარგად მოქმედობს მალარიის ორ ფორმაზე tertjana და guartana), ხოლო ტროპიკული მალარიის შიზონტებზე (პლაზმოდიის ახალგაზრდა ფორმა) მისი მოქმედება უფრო სუსტია, ვიდრე გამეტებზე (პლაზმოდიის მომწიფებული ფორმა).

რაც შეეხება გართულებას პლაზმოხინით მკურნალობის დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან იშვიათად ეს პრეპარატი იძლევა ავადმყოფის მოწამვლის სურათს (სილურჯე, ტკივილები კუჭის მიდამოებში და სხვ.), მაგრამ წამლობის შეწყვეტისთანავე ყველა ეს მოვლენები ჩქარა გაივლის ხოლმე.

დასასრულ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიუხედავად პლაზმოხინის მოქმედების ბევრი დადებითი მხარეებისა, საბოლოო დასკვნის გამოტანა ჯერ-ჯერობით ნაადრევია და ამიტომ მისი ფართოდ ხმარებაში გადატანა მიზანშეუწონელია. საჭიროა მისი შესწავლა გაგრძელდეს კლინიკურ და ლაბორატორიულ პირობებში.

ექ. ს. კანდელაკის მოხსენება

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ ადამიანის გამძლეობა მალარიისადმი დაქვეითებულია, მაგრამ მეორეს მხრივ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ადამიანის ორგანიზმში მალარიის წინააღმდეგ ერთგვარი იმუნიტეტი მუშავდება. სხვათა შორის ეს მტკიცდება იქიდან, რომ ზოგიერთ პირებს მალარიის პლაზმოდიების სისხლში ხელოვნურად შეყვანის შემდეგ მალარიის ნიშნები არ გამოაჩნდათ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ქინა-ქინის უარყოფით მხარეებს და განმარტავს, თუ რამ გამოიწვია ქინა-ქინის ხელოვნურად (სინთეტიურად) მიღების ცდები.

უკანასკნელ ხანებში ქიმიური გზით მიღებული პლაზმოხინი საპატიო ადგილს იკავებს მალარიის მკურნალობაში, რასაც ამტკიცებს უცხოეთის მეცნიერთა გამოკვლევები და კლინიკური დაკვირვებები.

თვით მომხსენებელს პლაზმოხინით მკურნალობა გაუტარებია 128 ავადმყოფზე, შედეგი, ისე, როგორ პირველ მომხსენებელს, მასაც დამაკმაყოფილებელი მიუღია. მალარიის ყველა ფორმების დროს პლაზმოხინი ძალიან ჩქარა იწვევს პლაზმოდიების გაქრობას სისხლში, გადიდებული ელენთის შემცირებას, წონის მომატებას და სხვ. კარგად იტანენ პლაზმოხინით მკურნალობას აგრეთვე ბავშვებიც, რომლებიც სიამოვნებით იღებენ პლაზმოხინს მწარე ქინა-ქინის ნაცვლად.

დასკვნაში მეორე მომხსენებელიც რჩევას იძლევა, თავი შევიკავოთ ამ პრეპარატის საბოლოო შეფასებისაგან. საჭიროა განგრძობილი იქნას პლაზმოხინის შესწავლა, ვიდრე იგი ფართოდ იქნება გავრცელებული.

ორივე მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ექ. ცქიმანაურმა, ექ. ვ. ანთაძემ, ექ. ბალარჯიშვილმა, პროფ. ლოლობერიძემ, პროფ. ალადაშვილმა და სხვ.

ყველა ორატორი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა სიფრთხილე პლაზმოხინის ხმარების დროს და მისი კლინიკური და ლაბორატორიული შესწავლის გაგრძელება.

ქრონიკა

ქალთა კომისიის პლენუმი

საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში დღეს, საღამოს ექვს საათზე შესდგება ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების გამაუმჯობესებელ კომისიის პლენუმი.

დღის წესრიგი: 1) ამხ. ვ. კვირიკაშვილის მოხსენება საბჭოთა არჩევნებში მუშა და გლეხ ქალების მონაწილეობის შესახებ, 2) საბინაო კავშირის მოხსენება მშრომელ ქალთა საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ და სხ.

თბ. აღმასკომში

◆ **მუშათა ახალი თეატრი.** კომუნალური განყოფილება შეუდგა ნაძალადევში მუშათა ახალ თეატრის შენობის აგებას.

◆ **კრემატორიუმი.** კრემატორიუმის აგების დაწყება განზრახულია 1929—30 წელში.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზები.** ტრამვაის დირექციას წინადადება მიეცა შეადგინოს გარეუბნებში ტრამვაის ახალი ხაზების გაყვანის გეგმა.

◆ **თბ. მაზრის კეთილმოწყობა.** საგეგმო კომისიაში ამ დღეებში შესდგება სპეციალური თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება თბილისის მაზრის კეთილმოწყობის გეგმა.

მიწათ. მოქ. კომისარიატში

◆ **ღვინის მოსავალი.** მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, ღვინის მოსავალი საქართველოში წელს საშუალო, ზოგ რაიონებში საშუალოზე კარგი.

◆ **შემოდგომის თესვა.** მიწათმოქმედების კომისარიატში მიღებული ცნობებით ახლო ხანში დამთავრდება. თესვა წარმატებით სწარმოებს.

დედათა და ბავშვთა დაცვა

◆ **სოციალური რჩევის საბჭო.** საბებიო ინსტიტუტთან ჯანმრ. სახ. კომისარიატის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება ხსნის სოციალურ რჩევის საბჭოს.

◆ **მაღაზია.** მუშკოოპმა სოლოლაკში გახსნა სპეციალური მაღაზია, რომელშიაც შეღავათიან ფასებში იყიდება დედათა და ბავშვთათვის საჭირო ყოველგვარი ნივთები.

სხვადასხვა

◆ **უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით** შრომის კომისარიატმა წინადადება მისცა ადგილებს შეადგინონ ზამთრის პერიოდში საზოგადო სამუშაოების მოწყობის გეგმა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** მოსკოვიდან—სხირტლაძეს, გორიდან—ბუბულიას, ჭრებალოდან—სამარდაშვილს, გომბორიდან—ისაევს, ბათომიდან—გორგაძეს.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, საღამოს 8 ს. გ. ბაქრაძე წაიკითხავს მოხსენებას ქართულ ბიბლიოგრაფიულ ტერმინოლოგიაზე.

◆ **კონფერენცია.** დღეს, სახელმწიფო ბანკის კულტკუთხეში შესდგება აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანებების დელეგატთა რესპუბლიკანური კონფერენცია.

შემთხვევები

უეცარი სიკვდილი

გუშინ, დილით, კალინინის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა გალუსტ არუთინის ძე ჩამოიანცი (მცხ. მალაკნის ქუჩა № 50). გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

რეციდივისტები

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: დიმიტრი ვასილის ძე სმირნოვი და ოგანეზ მიკირტის ძ. მიკირტიჩიანცი.

ქურდობა

გაქურდეს ნანელა გაბუნიას ბინა (ყორღანოვის ქუჩა № 3); მოპარულია 80 მანეთის ნივთები.—სოფიო გიუნაშვილს მუშკოოპის მეშვიდე მაღაზიაში ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები.—გაქურდეს მელიტონ განჩხაევს ბინა (რიონჩესის ქუჩა № 520); წაიღეს 200 მანეთის ნივთები.—გარდა ამისა, 15 ნოემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6 შემთხვევა.

ჯიბგირობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ბლეჭში იაგორის ძე ხუციშვილი და მამედ ქერიმ-ოღლი, რომლებსაც ბრალდებათ ჯიბგირობა.

კულტგანმანათლებელი დაწესებულებების გახსნა ფშავ-ხევსურეთში

საქართველოს ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების გამაუმჯობესებელმა კომისიამ ფშავ-ხევსურეთში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებისა და საბებო-საექიმო პუნქტის გასახსნელად დაარსა სპეციალური კომისია.

გუშინ, დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით შესდგა აღნიშნულ კომისიის სხდომა, ამხ. ქ. ხომერიკის თავმჯდომარეობით. ფშავ-ხევსურეთში წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის, სამკითხველოს და საბებო-საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. თენიეშვილმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიამ დაადგინა: სოფ. ართხმოში დაარსდეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები და სამკითხველო.

წინადადება მიეცა „მთიელთა საზოგადოებას“ გამონახოს ერთი მთიელი ქალი, რომელიც შესძლებს როგორც წ.-კ. უც. სალიკვიდაციო პუნქტის, ისე სამკითხველოსათვის ხელმძღვანელობის გაწევას. ამავე საზ-ბას დაევალა შესაფერი ბინების გამოძებნა ახალ შენობების აგებამდე.

ლიკპუნქტისა და სამკითხველოს შესანახათ შესაფერი ხარჯების გაღება ყოველთვიურად დაეკისრა ქალთა კომისიას, გლეხკომს, წითელ ჯვრის საზ-ბას, „მთიელთა საზოგადოებას“ და საზ-ბა „წერა-კითხვას“. როგორც ლიკპუნქტის, ისე სამკითხველოს მომარაგება საჭირო ნივთებით და წიგნებით დაეკისრა პოლიტგანათლების მთავარსამმართველოს.

კომისიამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ცაკის წინაშე, რათა წინადადება მიეცეს ყაზბეგის თემაღმასკომს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ლიკპუნქტის და სამკითხველოს მოწყობის საქმეს ართხმოში.

აღნიშნული დაწესებულებები გაიხსნება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

დასასრულ გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ყუმარაულის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების, გზატკეცილების სამმართველოს, წითელი ჯვრის და ქალთა კომისიის წარმომადგენლები. კომისიას დაევალა 2 კვირის განმავლობაში გამოიმუშაოს შესაფერი ღონისძიებები სოფ. ჯუთაში საბებიო პუნქტის, ლიკპუნქტის და სამკითხველოს გასახსნელად და გზის გასაყვანად.

სასამართლო

„თეთრი დუქნის“ გმირების გასამართლება
(საჩვენებელი პროცესი)

ავტო-კლუბის დარბაზში ზღვა ხალხია დამსწრე საზოგადოების დიდი ნაწილი უადგილობის გამო ფეხზე სდგას.

საღამოს 7 ნახ. საათზე სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. **ზერიშვილი** მორიგ სხდომას გახსნილად აცხადებს.

იწყება მხარეების კამათი. სიტყვა ეძლევა პროკურორს ამხ. **ჯანჯღავას.**

— მოსამართლენო, იწყებს თავის სიტყვას ამხ. ჯანჯღავა, მეორე დღეა, რაც სასამართლო გამოძიებას აწარმოებს და უნდა ითქვას რომ სასამართლომ შესძლო ყოველი წვრილმანის გამორკვევა ისე, რომ სათანადო მსჯავრის გამოსატანად მას ბევრი ფიქრი და მსჯელობა აღარ დასჭირდება.

პროცესის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დახასიათების შემდეგ პროკურორი გადადის წარდგენილ ბრალდებათა დეტალურ განხილვაზე და თითეულ ბრალდებულის ცალკე დახასიათებაზე.

საბრალმდებლო სკამზე **ზის ხუთი** თანამდებობის პირი. მართალია, — ლაპარაკობს პროკურორი,—საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით პირველ რიგში და მთავარ ბრალდებულად თითქოს შოფერი არაქელაშვილი უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. მთავარი დამნაშავე აქ არის მუშკოოპის სატრანსპორტო განყოფილების გამგე **არსენიშვილი,** რომლის უშუალო განკარგულებაში იყო ავტომობილი და რომლის ნებადაურთველად არავის შეეძლო მისი გამოყენება სასეირნოდ. ბრალდებულების პირველი ჩვენებაც მოწმობს იმას, რომ პირველად არსენიშვილი ჩაჯდა ავტომობილში და მის ხელქვეით შოფერს არაქელაშვილს უბრძანა „თეთრი დუქნისაკენ“ გაქანება. აშკარაა, რომ არსენიშვილმა აქ ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა.

მეორე ადგილი დანაშაულის მიხედვით უჭირავს **შოფერ არაქელაშვილს,** მან არ გამოიჩინა საჭირო სიფრთხილე, არ მისცა გამაფრთხილებელი ნიშანი წინ მიმავალ ურემს მას ავტომობილი მიჰყავდა წესდებით აკრძალული სისწრაფით და დაჯახების დროს არ. თუ არ მიაქცია ყურადღება მომხდარ უბედურ შემთხვევას, არამედ არც კი შეაჩერა მანქანა, დასტოვა უმწეო მდგომარეობაში გლეხი და შეუდგა ბოროტმოქმედების კვალის დაფარვას.

შემდეგ ამხ. ჯანჯღავა ეხება დანარჩენ ბრალდებულებს: **გრძელიშვილს, ერმოლოვს** და **პურადაშვილს** და მოჰყავს ადგილები მათივე ჩვენებებიდან, მიუთითებს იმაზე, თუ როგორ წინააღმდეგობაში ვარდებიან ბრალდებულები, როცა ისინი სინამდვილის დაფარვას ცდილობენ.

პროკურორი დამტკიცებულად სთვლის იმას, რომ დაჯახება სულ ყველამ კარგად იგრძნო, სულ ყველამ დაინახა, სულ ყველამ გაიგონა ფეხგადამტვრეულ გლეხის ყვირილი. იქვე ახლო მყოფ გლეხების ჩოჩქოლი. მონადირის თოფის სროლა, მაგრამ მათ განზრახ ჩააქრეს სინათლე, რომ მანქანის ნომერი არავის დაენახა, მიატოვეს სასიკვდილო მდგომარეობაში გლეხი და გამოიქცნენ. ვინ დააზარალეს მათ? დააზარალეს ღარიბი გლეხი, რომელსაც ერთი წყვილი კამეჩისა და ურმის მეტი არაფერი გააჩნდა და ისიც გაუნადგურეს.

ესეთი პირები, ლაპარაკობს დასასრულ პროკურორი, რომლებიც პირად განცხრომისათვის იყენებენ სახელმწიფო ქონებას და რომლებიც ზნედაცემულ ქალებთან არყით ქეიფზე უფრო ფიქრობენ, ვინემ თავიანთ მოვალეობის პირნათლად შესრულებაზე, არც ერთ საბჭოთა დაწესებულებებისათვის არ გამოდგებიან და ისინი ღირსეულად უნდა დაისაჯონ.

პროკურორის სიტყვის შემდეგ ლაპარაკობს სამოქალაქო მოსარჩელე დადიანი, რომელიც ითხოვს გლეხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

—:—

კოოპერატივის გამქურდველები

ზუგდიდის მაზრის სასამართლომ ამხ. ე. როდონაიას თავმჯდომარეობით გაასამართლა ნიკოსიის თემის მცხოვრებლები: **იულო ზოსიმეს ძე თოდუა და გიორგი თემურაზის ძე მითაგვარია.**

აღნიშნულმა პირებმა ა.-წ. 16 სექტემბერს შეადგინეს სოფელ ახალ-აბასთუმნის კოოპერატივის გაქურდვის გეგმა. ერთი შეიარაღდა ნაგანის სისტემის რევოლვერით, მეორე სათანადო ტეხნიკურ ხელსაწყოებით და ნაშუაღამევს შეუდგნენ „მუშაობას“.

კოოპერატივი გარედან დაკეტილი იყო ორი ბოქლომით. ბოროტმოქმედებმა გასტეხეს ორივე ბოქლომი, შევიდნენ სავაჭროში, გაავსეს ორი ტომარი ფართლეულით და სხვა საქონლით და გაიტაცეს. მაღაზია მიატოვეს გაღებული.

საქონელი იმ ღამესვე გადამალეს. ზოგი ყუთში ჩაალაგეს და მიწაში ჩამარხეს, ზოგი ტყეში შეინახეს.

ეს ამბავი მეორე დღესვე ეცნობა მაზრის მილიციას, რომელმაც სასწრაფოდ მიიღო ზომები და ბოროტმოქმედების კვალს მიაგნო.

ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ დანაშაულში.

ზუგდიდის მაზრის სასამართლომ დამნაშავეებს მიუსაჯა ხუთ-ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და აგრეთვე გატაცებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ზერ.

ხელოვნება

თბილისის მუშათა თეატრი

„წრისოთხკუთხედი“ —კატაევის კომედია
დადგმა—გოლდენვეიზერი ს.—მხატვარი რობერტი

მუშათა მაყურებელში, ცხადია, თავიდანვე უნდა განმტკიცდეს ის აზრი, რომ საბჭ. თეატრი არის თეატრი მასებისათვის, რეალური ცხოვრების შემოქმედებითი ტრიბუნა, და ამ თეატრმა უნდა მოგვცეს როგორც ყოფის, აგრეთვე ახალი ადამიანის, მორალის და ცხოვრების ყველა ნაწილების ნიმუშები.

კატაევის პიესა „წრის ოთხკუთხედი“ ამ მხრივ არ გამართლდება, განსაკუთრებით კომედიის დარგში.

ამ პიესის კომიზმი მთლიანად დამყარებულია მოსწრებულ სიტყვა-პასუხზე (რაც უფრო ლიტერატურას ნიშნავს). ფონად გამოყენებულია სინამდვილისა და თეორიის შეუსაბამობა. მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული ოჯახის შექმნის საკითხს. მომქმედნი არიან ახალი ადამიანები; ორი პარტიული ახალგაზრდა ცხოვრობენ ერთ ცუდ ოთახში. კარგი მეგობრობა აქვთ. შემდეგ დაცოლიანდებიან. ერთი შეირთავს წვრილ-ბურჟუაზიიდან გამოსულ ქალს, რომელიც მხოლოდ ქმრის ჯანმრთელობაზე და ოჯახის მოწყობაზე ზრუნავს, მეორე კომკავშირელ ქალს, რომელიც მხოლოდ წიგნების კითხვით ცხოვრობს და ოჯახის არა გაეგება რა. რამდენიმე ხნის შემდეგ ცოლ-ქმარნი გაიყრებიან ერთი მეგობრის ცოლი გაჰყვება მეორეს, ამ უკანასკნელის ცოლი—პირველს. და ისევ იმ ოთახში განაგრძობენ ცხოვრებას.

მომქმედნი სრულიად არ გვანან ცოცხალ და მოაზროვნე ადამიანებს. ძალიან მოხერხებულად და ზოგჯერ გესლიანათ არის დაცინილი ახალი ყოფის ნაკლოვანებანი.

პიესა მთლიანად ახალ იდეამისზე დაწერილ შარჟს წარმოადგენს. ცხადია, რომ შარჟი ვერ შექმნის ნაკლის ცოცხალ სახეს და ვერ შეასწორებს მას. მაყურებელი [illegible] იცინის, მაგრამ ეს არ არის ჯანსაღი სიცილი. მაყურებელი დასცინის მომქმედთა სიბრიყვეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოცდილება მათზე არ მოქმედობს და ოთხივე ისევ განაგრძობენ ამ სიბრიყვის წრეში ტრიალს.

როგორც ავტორის, ეგრეთვე დამდგმელის აზრი ყოფილა მოეცათ ჩვენი ახალგაზრდობის ყოფიდან მხიარული და ოხუნჯობით გამახვილებული თეატრალური სანახაობა. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთებულია, მაგრამ სიუჟეტის ფანტასტიურობა ძალზე ამცირებს პიესის რეალურ მნიშვნელობას.

სიუჟეტის ერთფეროვნებას არღვევს სატირულ ხაზებში გამოყვანილი „დამთხვეული“ პოეტი, რომლისთვისაც არსებობს მხოლოდ ექსპრომტი და პოემა.

მუშათა თეატრის ტრადიციულად გამართული მარჯვე ხელი განსაკუთრებული სიძლიერით მოსჩანს.

თეატრალური კომპოზიცია, რომელიც მოითხოვს რეჟისორის, აქტიორის და მხატვარის ერთსულოვნებას,—ამ პიესის დადგმაში განხორციელებულია.

ყოველ წვრილმანში მოსჩანს აქტიორების დიდი შრომა საკუთარ თავზე. განსაკუთრებით ამ თეატრალურ უბრალოებამდე მისვლაში, რომელსაც იძლეოდნენ ლიუბიმოვი, სნეჟინა და ბორინი.

ბ. გ.

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

სიმფონიური კონცერტი ჩაიკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად

ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, სახელმწიფო ოპერამ, პ. ი. ჩაიკოვსკის გარდაცვალების 35 წლის თავთან დაკავშირებით, გამართა სიმფონიური კონცერტი, რომელიც რუსეთის ამ დიდი კომპოზიტორის თხზულებებისაგან შესდგებოდა.

ჩაიკოვსკის შემოქმედების დამახასიათებელ ნიშნებს შეადგენენ: მელოდიურობა, გულწრფელობა, ლირიზმი, ემოციონალური კოლორიტი, მშვენიერი გარმონიება, შესანიშნავი საორკესტრო დამუშავება.

თუ ჩაიკოვსკის ოპერებს აღფრთოვანებულ თაყვანისმცემლებთან ერთად ყავს ისეთებიც, რომლებიც მათში ნაკლსაც ხედავენ (ეს შეეხება ოპერების არასცენიურობას.) სამაგიეროდ მას დამსახურებული აქვს ერთ ერთი უდიდესი მუსიკოსის რეპუტაცია მსოფლიო მასშტაბით. ამიტომ გასაგებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სახელმწიფო ოპერა, ჩაიკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად, სწორედ მისი სიმფონიურ თხზულებებზე შეჩერდა.

კონცერტის პროგრამაში იყო: მე-6, ეგრედ წოდებული „პათეტიური“ სიმფონია და სიმფონიური ფანტაზია „ფრანჩესკა და რიმინი“.

მეექვსე სიმფონია ჩაიკოვსკის „გედის სიმღერად“ ითვლება. ეს მისი უკანასკნელი შემოქმედებაა. ეს სიმფონია პირველად შესრულებულ იქნა თვით ავტორის დირიჟორობით 1839 წლის 16 ოქტომბერს, ხოლო 25 ოქტომბერს მისი ავტორი უკვე აღარ იყო ცოცხალი. ჩაიკოვსკის მეტად უყვარდა ეს სიმფონია. აი რასა სწერდა თვით ის ხსენებული სიმფონიის შესახებ: „მე დაბეჯითებით ვთვლი მას ყველაზე უკეთეს და ყველაზე „უგულწრფელეს“ ნაწარმოებად ყველა ჩემს ნაწარმოებებში. მე ის მიყვარს, ისე, როგორც არასოდეს არ მყვარებია არც ერთი სხვა ჩემი მუსიკალური ქმნილება“-ო. მეორე თხზულებაში, რომელიც შესრულებულ იქნა, „ფრანჩესკა და რიმინი“-ში აწერილია ფრანჩესკოსა და პაოლოს (დანტეს „ღვთიური კომედია“-დან) სიყვარულის ისტორია. ამათ, ერთმანეთს ჩახვეულებს მისჯილი აქვთ საუკუნო ტრიალი ჰაერში ჯოჯოხეთის ქარბუქში, რომელშიაც დასტრიალებენ დანტეს ჯოჯოხეთის ცოდვილნი.

დირიჟორმა პავლოვ-არბენინმა ორივე სიმფონიური თხზულება დიდი აღფრთოვანებით ჩაატარა. სიმფონიაში, არბენინის გადმოცემით, განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა უკანასკნელმა ნაწილმა. დირიჟორმა მოახერხა და იპოვა ჩაიკოვსკის მუსიკაში თანამედროვეობის გამოხმაურება, და მას დიდი გამარჯვება ხვდა წილად.

კონცერტში სოლისტებად გამოვიდნენ დეჟიუნსკაია (არია კანავკასთან—„პიკის ქალი“-დან) და ალექსეევი (ლენსკის არია—„ევგენი ონეგინი“-დან) [illegible] ექსპრესიით იმღერეს თავიანთი არიები (საზოგადოების მოთხოვნით გაიმეორეს), მაგრამ სამწუხაროდ, რატომღაც, თავი შეიკავეს, რომ გამოეყენებიათ ჩაიკოვსკის რომანსების მდიდარი საუნჯე.

კონცერტის დაწყების წინ ა. პავლოვ-არბენინმა თბილი სიტყვებით დაახასიათა ჩაიკოვსკის შემოქმედება და მისი მნიშვნელობა საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის. მაგრამ არ იყო დამარწმუნებელი პავლოვ-არბენინის აზრი, თითქოს მუსიკოსის ნაწარმოებთა ხასიათი აიხსნებოდეს მისი უბედო სიყვარულით და იმ გარემოებით, რომ მას, თითქოს, მეგობრები არ ჰყავდა.

პ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სახელმწიფო ოპერაში.** სახელმწიფო ოპერის თეატრში დღეს მე-4 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „აიდა“ ქ. დერჟინსკაიას მონაწილეობით. ხვალ აბონემენტის გარეშე ვ. სლივინსკის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინი“, ახალი დადგმა ბოგოლიუბოვის.

◆ **„ანზორ“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ანზორ“.

◆ **„რელსები გუგუნებენ“.** დღეს მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რელსები გუგუნებენ“

◆ **შუბერტის ხსოვნის აღსანიშნავად** მეორე სახ. სამუსიკო მუშფაკში კვირას, 18 ნოემბერს დღის 12 საათზე შესდგება ლექცია-კონცერტი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მოსაკეცი ანგარი

შეერთებულ შტატებში ფართოდ ვრცელდება საავიაციო ტურიზმი. ამ საქმის ხელის შესაწყობად ერთმა საავიაციო ფირმამ გადასწყვიტა გამოუშვა მოსაკეცი ანგარი (ანგარი ჰქვია შენობას, სადაც აეროპლანებს ათავსებენ), რომელიც დაკეცილი სახით ადვილად ეტევა აეროპლანზე.

ამრიგად სასეირნოდ გაფრენილი პირი და მისი აეროპლანი ცუდი ამინდის დროს უზრუნველყოფილია თავშესაფარით. მოსაკეცი ანგარი წარმოადგენს რეზინაგადაკრულ მატერიიდან დამზადებულ სპეციალური ფორმის კარავს.

მუმიების პოვნა პერუში

პერუს (რესპუბლიკაა სამხრეთ-ამერიკაში) არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორმა რესპუბლიკის სამხრეთ პროვინციებში აღმოაჩინა 500 სამარხი 1074 შენახული მუმიით (გამხმარი გვამებით). მუმიები აღმოჩენილია [illegible] მდგომარეობაში.

სურათების გადაცემა რადიოთი

სურათების გადაცემამ რადიოთი (შორ მანძილზე) ფართო გამოყენება ჰპოვა სიტყვიერ ცნობების გადაცემის დარგში. ამ მიზნით მანქანაზე გადაბეჭდილ ცნობას ფოტოგრაფიულად იღებენ (პატარა ზომისას) და გადასცემენ რადიოთი. მიმღებ სადგურში სურათს ადიდებენ და გადასცემენ ადრესატს. ამჟამად მთავარ გადამცემ სადგურებში შემოიღეს სურათების გადაცემის გაუმჯობესებული სისტემა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გადასაცემ ცნობას სტენოგრაფიული ნიშნებით სწერენ და ამ სახით გზავნიან რადიოთი. ეს შესაძლებლად ხდის ცნობის გადასაცემად საჭირო დროის შემცირებას ხუთჯერ. თუ წინეთ ხუთი წუთის განმავლობაში შეიძლებოდა 600 სიტყვის გადაცემა, ახლა შეიძლება ამავე დროის განმავლობაში 2,800 სიტყვის გადაცემა.

რკინის გზებზე

გუბის-წყალის ხიდი

ამხ. პეტროვსკის სახელობის ქარხნიდან (უკრაინაშია) ა. კ. რკინის გზებზე, გადმოგზავნილია გუბის-წყლის რკინის გზის ხიდისათვის საჭირო ახალი რკინის ნაწილები.

მატარებელი № 9—10

აქამდე მატარებელი № 9—10 შესდგებოდა მხოლოდ პლაცკარტიანი ვაგონებისაგან.

8 ნოემბრიდან მატარებლის შემადგენლობაში ბათომ-თბილისს შორის ჩართული იქნება ოთხი ხმელი უპლაცკარტო ვაგონი.

ვაგონების გაჩერების თავიდან აცილებლად

ვაგონების სადგურებში ხანგრძლივი გაჩერების თავიდან ასაცილებლად, ამიერ-კავკასიის რკინის გზების შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის ბიურომ შეიმუშავა ვაგონების დატვირთვა-განტვირთვის სტანდარტული დრო.

მზადება ნამქერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის

ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობა შეუდგა სამზადისს თოვლის ნამქერების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ორთქლმავლის გადავარდნა

სადგ. საგირში მანევრებს წარმოების დროს ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი.

გადავარდნილი ორთქლმავლის ამოსაღებად აჯიქაბულიდან გაიწვიეს დამხმარე მატარებელი.

ორთქლმავლის ამოღებამდე მატარებლების მოძრაობა სწარმოებდა ერთი ხაზით.

ახალი დრეზინა

ამ დღეებში ა. კ. რკინის გზებზე, გზათა კომისარიატიდან მიღებული იქნება ახალი „ავსტრო-დეიტლერი“-ს სისტემის ავტო-დრეზინა.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 17 ნოემბერი

დღეს, 17 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი, რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი, ამინდის ბიულეტინი და ერთი კვირის პროგრამის გადაცემა: კონცერტი სტუდიიდან; პროფ. სამოილოვიჩის ლექციის ტრანსლაცია რუსთაველ. თეატრის საკონცერტო დარბაზიდან; ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ფიზკულტურა და სპორტი

მსაჯთა კოლეგია—გემო-კვების მუშაკები

კვირას, 18 ნოემბერს, „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება ორიგინალური შეჯიბრება ფეხბურთში. ეთამაშებიან მსაჯთა კოლეგიის გუნდი და გემო-კვების მუშაკები.

მსაჯთა გუნდში შედიან: ლარიონოვი (მეკარე), ბლანკმანი და ოოხავა (მცველები) მდივანი, ორეხოვი და კრავჩენკო (შუალებ), გალპერინი, ფაჩულია, ჟორდანია, ბიაზი და კაციტაძე (მარბები).

გემო-კვების მუშაკების გუნდი გამოვა თავისი ძირითადი შემადგენლობით.

შეჯიბრება დაიწყება დღის 1 საათზე. მსაჯი იქნება ამხ. სამუშა.

რკინის გზელთა გუნდის გამგზავრება

გუშინ საღამოს ბათომში გაემგზავრა ორი შეჯიბრების ჩასატარებლად რკინის გზელთა გუნდი, რომელშიაც შედიან: **ხოლონინი, ოტტო, გლუშჩენკო, სპირანი, რამიშვილი, კარტაშოვი, როსტიაშვილი, სოროვი, რ. მდივანი რ. ფალავანდიშვილი და ხვედელიძე.**

პირველობის გათამაშება ტენისში

დამთავრდა პროფკავშირების პირველობის გათამაშება ტენისში. პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის გუნდი.

შრომის ბირჟაში

დღეს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

მშენებელ მუშაკთა სექციიდან—საბა ჭელიძეს, არსენ ციხელაშვილს, სარქის არაქელოვს, ნიკიფორე მორუსიძეს, არუთინ კაპაპოვს, ალექსი რუნიხინს, პოლოს ბაბანოვს, გრიგოლ ბასილაშვილს, ანდრო ჯიჯიშვილს, არტაშ შატვეროვს, მელიქ პანიევს, პროკოფი გურგენიძეს, ვლადისლავ ციხოვსკის, სერგო მაისურაძეს, აბრამ ელიბეკოვს, პეტრე იაიჭენაკოვს, პეტრე იელიევს.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან—არჩილ მჭედლიძეს, ანდრო მალაშხიას; ივანე თვალაძეს; ელენე ეზოაშვილს, ჩოლეჯჩიანცს, ფილიპე გურგენიძეს, ალექსი ახვლედიანს, არუთინოვს; ოსიპ კარაპეტიანს; აგნია კულიკოვსკაიას; ბარბალე ეგიევას. ალექსანდრე სახანბეროძეს, ვასილ ბალდასაროვს, ალექსანდრე ბაბულიანს. სერგო სამხარაძეს, თამარა კორინთელს, ედიკაროვს, ლიუბა ახობაძეს, სტეფანოვს, თამარა ფოფხაძეს, დარო ასრაბიშვილ-ელიავას, თამარ კლაცს, ლუკა ადეაძეს; ლორთქიფანიძეს, არმენაკ ბერბერიანს, ნიჟარაძე-კალანდარიშვილს.

პარტიული კალენდარი

დღეს, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 20) შესდგება საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა.

დღეს, შაბათს, 16 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ს აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ბოჭორიძე, ეული, მდივანი (თბ. კომიტ.), სალუქვაძე (სახ. უნივერსიტეტი), მახარაძე (ქ. ქ. ცეკა) და რადიანი.

—:—

დღეს, 17 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია პედ. ფაკ. კომუჯრედის საერთო კრება. ქ. ქ. უჯრედებთან ერთად დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

—:—

ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართულ მუშ. ფაკის ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს რომ დღეს საღამოს 9 საათზე მოწვეულია ბიურო კოლექტივის სხდომა.

—:—

დღეს, 17 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება სოც. ეკ. ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. ორივე უჯრედების გაერთიანებული დახურული სხდომა.

—:—

ს. ს. პ. ი სამთო ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს ყველა წევრ კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება უჯრედის დახურული კრება.

—:—

თბ. ს. უ. სამკურნალო ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 17 ნოემბერს საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის მორიგი კრება. დღის 1 საათზე შესდგება ბიუროს სხდომა.

შაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ს. ს. პ. ინსტიტუტის დიდ სამხაზველო დარბაზში შესდგება ტეხნიკური სამეცნიერო წრის წევრთა საერთო კრება.

სახ. უნივ. სტუდენტთა [illegible] აცხადებს, რომ დღეს შაბათს, 17 ნოემბერს, დღის 1 საათზე კლუბში მოწვეულია სტიპენდიანტ ქალების საერთო კრება.

ღრმად დამწუხრებული დედა მაგდალინა, დები ელენე ქმრით, სოფიო, ძმები: შალვა ცოლით და კონსტანტინე; დეიდა ეფემია ასათიანისა ქმარშვილით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

გიორგი (გოგი) გიორგაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს ქალაქის პირველ საავადმყოფოდან (ყარამიანცის) 2 საათზე სიონის ქუჩით კუკიის სასაფლაოზე. 4896

ღრმად დამწუხრებული მარიამ, ნიკოლოზ და ქეთო სოკოლოვები, თამარა და ისაკი ჩეკურიშვილები ქალით და სიძით, რაზილი, ანა, ლავრენტი და ლევან ასათიანები შვილებით, ანა და ზაქარია ფორაქიშვილები შვილით აუწყებენ ძვირფას ნათესავის და მეგობრის

გიორგი (გოგი) გიორგაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს ქალაქის პირველ საავადმყოფოდან (ყარამიანცის) 2 საათზე სიონის ქუჩით დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 4896

ღრმად დამწუხრებული შვილები: სოფიო, ვანო და ზოსიმე ჩაჩვაძეები, რძალი ოლღა ჩაჩვაძისა და შვილიშვილები: იურა და ქენია ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ სოფ. ჩიბათში (ოზურგეთის მაზრა) გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ლიზა დავითის ასული ჩაჩვაძისა

დაკრძალვა კვირას 18 ნოემბ. ს. ჩიბათის სასაფლაოზე გამოსვენება დღის 4 საათ

რუსთაველის სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 20 ნოემბერს პრემიერა მე-2 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა

ხ ო ზ ი ქ ა ს

„ხოჭოების დოლი“ კომ. 3 მოქ.

დადგმა ალ. ახმეტელის. და ქ. პატარიძის

მხატვარი ირ. გამრეკელი მუსიკა ი. გოკიელის

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები თეატრის სალაროში 11—3 საათ. და 6—10 საათამდე

აბონემენტების მე-3 გადასახადის ვადა გაგრძელებულია 18 ნოემბრამდე

ანონსი: ხუთშაბათს 22 ნოემბერს 1-ლი აბონემენტის მე-2 წარმოდგენა „ხოჭოების დოლი“

2—1 ნ. 1800

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, მეოთხე აბონენტის პირველი წარმოდგენა რესპუბლიკის დამსახ. არტისტის ქ. გ. დერჟინსკაიას მონაწილ. **აიდა**

18-ს აბონემენტის გარეშე ლენინგრადის ყოფ. მარინის თეატრის პრემიერი ვ. რ. სლივინსკის მონაწილეობ. **ევგენი ონეგინი**

ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების 6 წილი დატოვებულია ჩვეულებრივი წესით გასასყიდათ. დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს [illegible] აბონემენტებში მესამე გადასახადის შეტანის უკანასკნელი ვადა. რის შემდეგაც ფასგადაუხდელი აბონემენტი გაიყიდება საერთო წესით.

ნ. 1823

სახკინმრეწვის კინოები

გამთიადი	მხატვრული სურათი	მისი აღმატებულება
არფასტო	სათავგადასავლო სურათი	ზვენიგორა დოვჟენკოს დადგმა
სოლეი	ნიკოლოზ კოლინი სურათში	საყვარელი მაზანდარა
აპოლო	მხატვრული ბოევიკი	ტუმპე პანოვის მონაწილეობით
პალასი	ანა სტენ და გ. მიჩურინი სურათში	ჩემი შვილი
მინიონი	ოსი ოსვალდი სურათში	მისი კაპრიზი
დარბაზი	გლორია სვენსონი სურათში	რა საჭიროა ცოლის გამოცვლა
პროლეტარი ავლაბარი		კაცი № 14

პირველი სეანსის დასაწყისი 6 საათზე 30 წუთზე სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან 0—9

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს. განახლებული სანახაობანი

ახალი გასტროლები 3 განყ. 14 ნომერი

ნ. ტალარინის და პავლის დებიუტი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

კვირას 18 ნოემბერს,

დღის სანახაობანი ბავშვებისათვის

დასაწყ. 2 ს. ბავშვები უფასოდ. მონაწილეობს მთელი დასი და გასტროლიორები.

დირექცია ი. ზ. კუჭრიაშვილი, ნ. 1821 3—1. მმართველი მ. ი. ტადე.

3—1



ჩამოვიდა და დღეიდან ღიაა ყოველდღე

დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე

„ჟოკეი კლუბის“ (ყ. არტოს) ბაღში

საბჭოთა კავშირში უდიდესი

მოძრავი სამეცნიერო-საჩვენებელი

სამხეცე „ცხოველთა სამეფო“ ნატურალისტ ზოოლოგის გ. ი. გოიკოს ხელმძღვ-ბით

დიდძალი ყოველგვარი ზღვისა და ხმელეთის ცხეცები, ფრინველები, მაიმუნები, ქვეწარმავლები.

მხეცების კვება საღამოს 9 საათზე. ნ. 1839



სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები.

1. ი. სტალინი—ლენინიზმის საკითხები (ყდით) 3 მან.
2. კერჟენცევი და ლეონტიევი—ლენინიზმის ანბანი (ერთიანი პოლიტ. სახელმძღვანელო). 1 მ. 50 კაპ.
3. ა. ლუნაჩარსკი—კულტურა ჩვენში და დასავლეთში 30 კაპ.
4. ანტირელიგიური ქრესტომატია (ც. კ. საგიტ. გან. მიერ მიღებული სახელმძღვანელო). 2 მან.

ნ. 1845 3—1

ყველამ უნდა ნახოს

რესპუბლიკის სახალხო მსახიობები

ვ. ი. კაჩალოვი და ვს. ე. მეიერხოლდი

და მსახიობი ანა სტენ

„მეჟრაბპომ-ფილმ“-ის

მსოფლიო სურათში

„თეთრი არწივი“

ორშაბათიდან 19 ნოემბრიდან

კინო-თეატრებში

„აპოლო“, „არფასტო“ და „სოლეი“

ნ. 1850

ქ. თბილისის გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. მეგრელიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 19 ნოემბერს 1928 წ. დღის 3 საათზე სოფ. დიღომში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ლევან მზარეულიშვილის მოძრავ ქონებას: 140 ფუთ თივას, ერთ კამოდს და ერთ ხელით საკერ ზინგერის მანქანას № A2497473. შეფასებულს 140 მანეთად, მინადორა მექათმიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილ. გარე-უბნის სახალხო სასამართლოსაგან 26 სექტ. 1928 წ. თარიღით, № 875 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4892

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი შ. ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 19 ნოემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 17 მიმოსვლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბრეგვაძის ოთხ ქონებას: ბუფეტის შკაფს, სასადილო მაგიდას, კედლის სარკეს, ნიკელის საწოლებს და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 680 მანეთად, სურათ გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 13 ნოემბრის 1928 წ. თარიღით, № 6276 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4897

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

კბილის ექიმი დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

თვალის ექიმი მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. ნ. 4 25—1

ექიმი ს. ანდრეევისა დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ტელეფონი—11—78. ნ. 25—

საქ. სახვაჭრობა

ფიჭვის და ნაძვის დახერხილ მასალაზე—კოჭებზე, ფიცრებზე და რეიკებზე

იღებს სასწრაფო შეკვეთებს,

რასაც აცნობებს:

სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და ყველა მომხმარებლებს

მიიღება შეკვეთები:

მაგარ და ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის მასალებზე

რუსეთში გასატანად

შეკვეთები: თბილისი კეცხოველის ქ. № 5. 2—1 ნ. 1849. სახვაჭრობა

ფ. მახარაძე

თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა

მოსამზადებელი ხანა (1870—1890)

ფასი 25 კაპ.

იყიდება გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34).

0—1. მთავარი კანტორა.

იყიდება სახლი

ქალ. ოზურგეთში, ღომსკოძის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—3 „კომუნისტ“-ის მთავარი კანტორა.

შაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში დანიშნულია

განცხადებების შემკრებ აგენტების **კრება**

დასწრება სავალდებულოა ვინც არ გამოცხადდება მოხსნილ იქნებიან სამუშაოდან.

2—1 მთავარი კანტორა.

გაზეთზე ხელის მოწერის შემკრები აგენტი

ნოე ევგენის ძე მითაგვარია

მოხსნილია სამუშაოდან და მაზე გაცემული მოწმობა 11 ოქტომბრის თარიღით № 1618

გაუქმებულია

2—1 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

ექიმი **ა. ს. ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფ. დილის 9—12-მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 3 25—15

ექიმი **პ. ი. ჯალალოვი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება სიფილისი, შეშხაპუნება „914“, ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. ჰამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ექიმი **ი. ი. ზერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი **ი. ვ. ხანდამოვი**

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა. ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესახურეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად 25—1 ნ. 5

ლოგოპედი **ა. ა. კაიშაური**

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 13.2 13—1 ნ. 1809

ექიმი—ვენეროლოგი **ნინო მირიანაშვილი**

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 —12 —საღ. 7 ½—8 ½ საათ ტელეფ.—12—67. ნ. 3 25—2

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

ექიმი **ი. პ. მჭედლიშვილი**

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა

ღებულობს 5—6 ს. ვარდა კვირისა, სანაპირო ქ. № 7 (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 ნ. 7 25—1

დაიკარგა, აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 14/16134 დავით შაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4887

დაიკარგა, სამხედრო სამსახურის წიგნაკი № 850 გაცემული სენაკის სამხედრო კომისარიატიდან ვარლამ ნესტორის ძე გურუნავას სახელზე, ჩ. გ. 4898

დაიკარგა, პირადობის მოწმობა № 92 ილოდიონ ბოჭორიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4893

დაიკარგა, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების წიგნაკი ალექსანდრე სარდიონის-ძე სარალიძეს სახელზე, ჩ. გ. 4891

დაიკარგა, უვადო პირადობის მოწმობა № 3172, მიცემული ვალ. ახალსენაკის მაზრის მილიციის სამმართველოდან გრიგოლ კანტურიას სახელზე. ჩ. გ. 4894

დაიკარგა: საბინაო დავთარი— სახლი № 3 შინდისის მე 1 შ. სახვევი ვანო ოთარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4888

დაიკარგა: უმუშევრობის წიგნაკი № 3327 მიცემული თბილ. შრომის ბირჟიდან ანასტასია გერიტიშვილის სახელზე. ჩ. გ. 4888

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.